პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 მაისი **ორშაბათი** 2010

№ 119 (13 107) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვენცია ევროპაში





## ჟოზე მადრიდში დარჩა

დღეს მოლაპარაკება, ხვალ ან ზეგ კონტრაქტი

» გვერდი 5



დიეგო მილიტოს გადამწყვეტი დარტყმა

CHAMPIONS LEAGUE

ფინალის irგვლივ

» გვერდი 8-9



## მილანში ალეგრი, ინტერში სინიშა, რაფა ან კაპელო...

» გვერდი 6

## მოძმანაშვილი ბრინჯაოთი ბრუნდება

» გვერდი 10

JUDO GRAND SLAM

## ორი მედალი რიოდან

» გვერდი 10



დავით მოძმანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები | საქართველო-კამერუნი | ამხანაგური მატჩი

# ნაკრებს ასზე მეტი ქართველი უქომაგებს

## ეტო'ოს გარდა, კამერუნს ზუაც დააკლდა



ხვალ საქართველოს ნაკრები ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებას კამერუნთან ამხანაგური მატჩით დაასრულებს. **თემურ ქეცბაიამ**, რომლის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია, შაბათს და კვირას გუნდი თითოჯერ ავარჯიშა. საწვრთნელ პროცესში ყველა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის **ნიკა ჩხეიძის** ინფორმაციით, ყველა მოთამაშე მწყობრშია და მაქსიმალურადაა მობილიზებული. ზალცბურგის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქი კარპუნი, სადაც საქართველოს ნაკრებია დაბანაკებული, მთებშია და შესაბამისად, ტემპერატურაც მაღალი არ არის, პირიქით, სიგრილეა და მოსამზადებლადაც მშვენიერი პირობებია.

ჩხეიძის თქმით, 25 მაისის მატჩისადმი ევროპის შუაგულში მცხოვრები ქართველების ინტერესი საკმაოდ დიდია. როგორც ირკვევა, „ავსტრიელი" ჩვენებურების გარდა, ლინცში „გერმანელი" ქართველებიც ჩავლენ. ლინცის „დოლომიტენშტადიონზე", რომელიც სულ რალაც 4 750 მაყურებელს იტევს, ასზე მეტ ქართველს ელიან.

პლუს ამას, ბევრს აინტერესებს, უჩვენებს თუ არა რომელიმე ქართული ტელეარხი საქართველო-კამერუნის ამ მატჩს. სამწუხაროდ, ამ საკითხზე სასიამოვნო ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ გვაქვს. არადა, მატჩს ავსტრიის, ჰოლანდიის, დანიის, იაპონიისა და კამერუნის არხები და ტელეკომპანია „ალ ჯაზირა" გადასცემენ. ცნობისთვის, მოახლოებული მუნდიალის E ჯგუფში კამერუნის მეტოქეები ჰოლანდია, დანია და იაპონია იქნებიან. შესაბამისად, ამ ქვეყნების ტელეარხების დაინტერესებაც სრულიად გასაგებია.

ბოლოს კი ორიოდ სიტყვით მეტოქეზეც ვთქვათ. კამერუნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ლე გენმა** ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილესა და აწ უკვე გამარჯვებულ **სამუელ ეტო'ოს** ერთკვირიანი შვებულება რომ გამოუწერა, უკვე ვწერდით. ახლა ირკვევა, რომ ეტო'ოს გარდა, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ლე გენი ვერც „ბაზელის" 18 წლის ფორვარდი **ჟაკ ზუას** გამოცდის. ამ უკანასკნელმა შეკრების დროს მუხლის ტრავმა მიიღო და ლე გენმა სამკურნალოდ შინ გაუშვა.

**დავით ცაბაძე**

U 21 | საქართველო-შვეიცარია

# გაბელია გარანტიებს არ იძლევა

## ორმხრივი მატჩი წვიმამ ჩაშალა. კიდევ ერთი მილანელი ქართველი...

**გუშინ ოთარ გაბელიამ ახალგაზრდული ნაკრების 26 კანდიდატს საგურამოში მოუყარა თავი და ორმხრივი მატჩი ჩაატარა. ეს იყო 30 მაისს ეროვნულ სტადიონზე შვეიცარიასთან გასამართი შესარჩევი მატჩის გენერალური რეპეტიცია...**

**A ნაკრები-B ნაკრები 2:2**

გოლები: ბეგლარიშვილი, დაუშვილი - ოქრიაშვილი, შონია

A ნაკრები: კეკელიძე (ბათუმი) - **კვეკვესკირი** (ბაია), **გეთიაშვილი** (დინამო), **ხიდაშელი** (ზესტაფონი) - **შარიქაძე** (გაგრა), **ივანიშვილი** (ვოლენი), **დაუშვილი** (ზესტაფონი), **ძალამიძე** (ცსკა მოსკოვი), **ბეგლარიშვილი** (ფლორა) - **გოცირიძე** (დნიპრო).

B ნაკრები: ნადირაძე (დინამო) - **ბენაშვილი** (ზესტაფონი), **ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ხუხუა** (ბათუმი), **გურული** (ტორპედო) - **ჭედია** (ოლიმპი), **ოქრიაშვილი** (გაგრა), **შონია** (სპარტაკი), **სიჭინავა** (კოლხეთი ფ), **ბაკაშვილი** (მილანი) - **ეხვაია** (ბაია).

შეცვლაზე ითამაშეს: ოთარაშვილი (დინამო), **ნ. ჯიშკარიანი** (გაგრა), **კანდელაკი** (სპარტაკი), **ფირანიშვილი** (ნორჩი დინამოელი).

ძლიერი წვიმის გამო მატჩი 72-ე წუთზე შეწყდა, მოედანი აღარ ჩანდა და ოთარ გაბელიამ ფეხბურთელები მოედნიდან გაიყვანა. ამის შემდეგ ახალგაზრდულის მთავარ მწვრთნელთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა:

**- ბატონო ოთარ, სასურველი კანდიდატებიდან ყველა შეამოწმეთ?**

- ცხინვალის „სპარტაკის" ფეხბურთელი დეკანოიძე მომეწონა, მაგრამ ბოლო ტურში კოჭი იტკინა და ვერ გამოცხადდა. ველოდებით „დიორი ეტოს" ფეხბურთელებსა (მეკარე გიორგი ბახტაძე, მცველი ლაშა თოთაძე და ნახევარმცველი გიორგი განუგრავა - ავტ) და ლისაბონის „ბენფიკას" მცველის ბაქარ მირცხულავას ჩამოსვლას. კამერუნთან მატჩის შემდეგ კი, 26 მაისის ღამეს, ჯანო ანანიძე, როინ კვასხვაძე და რეზო ბარაბაძე შემოგვიერთდებიან.

**- როგორი შთაბეჭდილება დატოვა ბექა გოცირიძემ?**

- ბუნებრივია, ამხელა პაუზის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის სასურველ ფორმაში, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, როგორ აღიდგინა კონდიციები.

**- ქართველი გულშემატკივრებისთვის ბაკაშვილი აბსოლუტურად უცნობია...**

- ეს ბიჭი 1991 წელს დაბადებული ნახევარმცველია და „მილანის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობს. ახლახან დამიკავშირდნენ და მასზე ინფორმაცია მომაწოდეს. ბუნებრივია, დავინტერესდი და გავსინჯე... ნორმალურად გამოიყურებოდა, თუმცა ახალგაზრდულში სათამაშოდ დიდი შრომა დასჭირდება.

**- გასინჯულებიდან ვინ მოგეწონათ?**

- ვერ ვიტყვი, თითქოს რომელიმემ იმედი გამიცრუა, მაგალითად - ფოთელმა სიჭინავამ, ბათუმელმა მცველმა ხუხიამ, ტორპედოელმა გურულმა, გაგრელმა შარიქაძემ...

**- შვეიცარიასთან მატჩისთვის მათგან რომელიმეს დაიტოვებთ?**

- ვფიქრობთ... ჯერ არ გადაგვიწყვეტია. საბოლოოდ, 22-კაციანი სია შედგება და შეკრებას 25 მაისს „ბასაზე" დავიწყებთ.

**- ყველა ფეხბურთელზე დაკვირვება მოასწარით? თამაში ხომ ვერ ჩაამთავრეთ...**

- 72 წუთი დასკვნებისთვის სავსებით საკმარისი იყო. თუმცა შემიძლია, გითხრათ, რომ ნაკრებში ნათამაშები ზოგიერთი ფეხბურთელით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ. ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს შვეიცარიასთან მატჩში ვინმეს ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს.

**- სომხებმა და ესტონელებმა ჯგუფში ვითარება საკმაოდ არიეს...**

- მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამ ჯგუფს ფავორიტი არ ჰყავს. სომხებმა გასვლაზე ესტონეთს 3:2 მოუგეს, ხოლო გამწარებულმა ესტონეთმა თურქეთს შინ 1:0 სძლია. მართლაც ძალიან არეული ვითარებაა. ჩვენი შანსისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ხომ ხედავთ, სომხები როგორ გაძლიერდნენ, სამი კაცი მთავარი ნაკრებიდან დაიმატეს...

**მერაბ მამულაშვილი**

**მეტოქეები**

**ესტონეთი-თურქეთი 1:0**

გოლი: 1:0 საავი (13)

გაძევება: მოროზოვი (90. ესტონეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 7 | 5 | 1 | 1 | 14-6 | 16 |
| 2. ესტონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-11 | 12 |
| 3. თურქეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| 4. სომხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-16 | 10 |
| 5. საქართველო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| 6. ირლანდია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-13 | 4 |

საერთაშორისო ტურნირი



პელეს თბილისურ ტურნირზე ველოდებით

# კალენდარი შეთანხმებულია

## სამხრეთ ამერიკიდან სიტყვიერი თანხმობა მიღებულია

გასულ თვეში უკვე ვწერდით, საქართველოს სპორტის, ტურიზმის, კულტურისა და საქმიან ურთიერთობათა საერთაშორისო ფონდის თავკაცი **ნიკო პატარქალიშვილი დიეგო მარადონას** თბილისში ჩამოყვანის შემდეგ ახალ საქმეს რომ შეეჭიდა. კერძოდ, პატარქალიშვილს ჯერ კიდევ 2008 წელს უნდოდა საქართველოში ოთხთა საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, რომელშიც ჩვენი 21-წლამდელების გარდა, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებდნენ მონაწილეობას. უფრო მეტიც, ამ გათამაშებას ფეხბურთის მეფე **პელე** დაესწრებოდა. ეს უკვე გაცნობეთ და მას მერე რამდენიმე კვირა გავიდა და ამ საკითხში უკვე საგრძნობი წინსვლაა. მეტი თვალსაჩინოებისათვის, სჯობს, თანმიმდევრობით მივყვეთ.

ნიკო პატარქალიშვილმა 20 აპრილს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა ამ ოთხთა ტურნირის მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარების თაობაზე. ფედერაციის ხელმძღვანელობამ მას ტურნირის ორგანიზების კონკრეტული გეგმა და კალენდარი მოსთხოვა. პატარქალიშვილმა ფედერაციას 10 მაისს უკვე მხარეებთან შეთანხმებული ტურნირის კალენდარი გაუგზავნა, ფედერაციამ კი მას მონაწილე გუნდების ტრანსპორტირების, თბილისში ცხოვრებისა და კვების, ასევე ჰონორარის ხარჯები მოსთხოვა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ საქმეში ნიკო პატარქალიშვილმა უცხოელი პარტნიორი კომპანია „ინტერ ამერიკა სპორტი" ჩართო. ბრაზილიურ, არგენტინულ და ურუგვაულ მხარეებთან სწორედ ეს კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს.

*„თბილისში საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ორგანიზებისთვის სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ხშირი საქმიანი კონტაქტი მაქვს. უკვე ვესაუბრე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექტორ ალექსანდრე შახოვსა და მიხეილ მესხის სახელობის არენის ხელმძღვანელ გივი ჭანტურიძეს. ეს ტურნირი ორ არენაზე ჩატარდება და სტადიონები უკვე დაბევებულია. „ინტერ ამერიკა სპორტი" ბრაზილიურ, არგენტინულ და ურუგვაულ მხარესთან აგრძელებს მოლაპარაკებას. ამ კომპანიას სამივე მხარისგან უკვე აქვს სიტყვიერი თანხმობა თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე. მალე სამივე მხარისგან წერილობით დასტური მოგვივა. მონაწილეთა ჰონორარის ხარჯებიც ვიცით. არგენტინამ და ურუგვაიმ უკვე გამოგვიგზავნეს მგზავრობის ხარჯები, მომდევნო კვირაში ბრაზილიიდანაც გამოგვიგზავნიან"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ნიკო პატარქალიშვილმა.

ტურნირი მიმდინარე წლის 14-20 ოქტომბერს თბილისში ჩატარდება და გათამაშების კალენდარი ასეთია:

| | |
|---|---|
| **14 ოქტომბერი** | |
| **ეროვნული** | |
| საქართველო-ბრაზილია | 20:00 |
| **16 ოქტომბერი** | |
| **ეროვნული** | |
| არგენტინა-ურუგვაი | 20:00 |
| **18 ოქტომბერი** | |
| **მიხეილ მესხი** | |
| ბრაზილია-ურუგვაი | 17:00 |
| **ეროვნული** | |
| საქართველო-არგენტინა | 21:00 |
| **20 ოქტომბერი** | |
| **მიხეილ მესხი** | |
| საქართველო-ურუგვაი | 17:00 |
| **ეროვნული** | |
| ბრაზილია-არგენტინა | 21:00 |

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნიკო პატარქალიშვილის ჩანაფიქრია, ამ ტურნირს ფეხბურთის მეფე პელე დაესწროს. პატარქალიშვილს უკვე ჰქონდა კონტაქტი პელეს წარმომადგენელთან, რომელმაც ჩანაფიქრი მოიწონა და სთხოვა მას მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაკავშირებოდა, რათა პელე ტურნირის დეტალებს უფრო კონკრეტულად გასცნობოდა და საქართველოში სტუმრობაც სამომავლო გეგმაში ჩაესვა.

*„ჩვენი სურვილია, ეს ტურნირი და ფეხბურთის მეფე პელეს საქართველოში მოწვევა მაღალ დონეზე ჩატარდეს. ყოველივე ეს ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟის ქვეშ გვინდა ჩატარდეს და ქვეყნის პირველ პირს ამის თაობაზე სათანადო წერილითაც ვთხოვეთ. პრეზიდენტს უყვარს ფეხბურთი და ისეთი საპატიო პერსონის მოწვევისას, როგორიც ფეხბურთის მეფე პელეა, ვიმედოვნებ, მხარს დაგვიჭერს. წელს 23 ოქტომბერს პელე 70 წლის ხდება და ამ იუბილეს საქართველოში წინასწარ მივულოცავთ. ეს საქმე მაღალ დონეზე უნდა გაკეთდეს და ამ პროცესში სახელმწიფო სტრუქტურები, კომპანიები და ბანკები უნდა ჩაერთონ. „ყავა პელეს" საქართველოში წარმომადგენელ დიმიტრი ბარნაბიშვილთან უკვე მქონდა საუბარი, ის მხარში გვიდგას და სხვა კომპანიების თანადგომის დიდი იმედი გვაქვს"*, - საუბრის ბოლოს აღნიშნა ნიკო პატარქალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი


ალექს ფრაგა (მარცხნივ) და ანდერსონ აკინო ჯერჯერობით ბრაზილიაში რჩებიან

# აკინო და ფრაგა აღარ ბრუნდებიან?

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ანდერსონ აკინო** მშობლიურ „ატლეტიკო პარანენსეს“ დაუბრუნდა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და საქართველოში დაბრუნების სურვილით არ იწვის.

ბრაზილიის ჩემპიონატის მონაწილე „პარანენსე“ ამჟამად პარანის შტატის ჩემპიონატში მონაწილეობს და ამჟამად მეორე ადგილზეა. საქართველოდან გამგზავრებული აკინო პარანის პირველობაზე დასვენების გარეშე ჩაერთო. ცნობილი გახდა, რომ აკინომ „ატლეტიკო პარანენსეში“ უკვე ივარჯიშა და ვიდრე საინტერესო წინადადებას მიიღებს, კარიერას სწორედ იქ გააგრძელებს.

სხვათა შორის, „ატლეტიკო პარანენსეს“ ფეხბურთელები მხოლოდ საქართველოში არ გაუშვია და რაც ყველაზე საინტერესოა, აკინოსა და **ალექს ფრაგას** გარდა, კლუბის მიერ სხვა ქვეყნებში განათხოვრებული მოთამაშეებიც გახდნენ ჩემპიონები. მაგალითად, „პარანა-ონლაინის“ ინფორმაციით, მეკარე **გალატომ** ბულგარული ოქრო მოიგო „ლიტექსის“ შემადგენლობაში, უკრაინის ჩემპიონის ტიტული კი დონეცკის „შახტარში“ მოთამაშე **ჟადსონმა** და **ფერნანდინიომ** მოიპოვეს.

**გოჩა ალადაშვილის** დახმარებით, ქართულმა გუნდმა სოლიდური პარტნიორი მოძებნა და იმედია, აკინოსა და ფრაგას საკითხი დადებითად გადაწყდება. თუმცა გამგზავრებამდე აკინომ, დაბრუნებაზე რომ ვკითხეთ, უხალისოდ გვიპასუხა - ბრაზილიელ პლეიმეიკერსა და საქართველოს XXI ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ამის სურვილი აშკარად არ ეტყობოდა.

მისგან განსხვავებით, დაბრუნების მეტი სურვილი აქვს ფრაგას, რომელიც საქართველოს ჩემპიონობამ ძალიან გაახარა და ეს „პარანა-ონლაინთან“ ინტერვიუშიც განაცხადა: *„მეც და აკინოსაც უცხო ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამ სიამაყით აღგვავსო. კარიერის ეს ბოლო მიღწევა ძალიან მახარებს“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ფესტივალი

# ...იმაზე, რომ მკვდარი ჯერ კიდევ... ცოცხალია

## გერმანელი სპონსორი ფესტივალს მომავალშიც დაეხმარება


რიხარდ ზალერი

ორი კვირის წინ, „ლელოსთან“ ინტერვიუში, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის საორგანიზაციო საკითხების თავმჯდომარე **ევგენი სტოლიტენკო** გაოცებას ვერ მალავდა - საქართველოში სულ 56 გუნდია, უკრაინაში კი 6 500 და ჩვენს ნაკრებს ფრედ როგორ ეთამაშებითო?!

ამ ყველაფერს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა, რაც „ოუფენ ფან ფუტბოლის“ ქართული ფილიალის თანამშრომელმა **ბადრი მაჭავარიანმა** მოგვითხრო: *„კიევში „ოუფენ ფან ფუტბოლის“ შეკრებაზე გავემგზავრე. სტოლიტენკოს „ლელოში“ გამოქვეყნებული მისი ინტერვიუ ჩავუტანე. როცა ვუთარგმნიდი, უკრაინული ფეხბურთის ლეგენდა ოლეგ ბლოხინი მოგვიახლოვდა და სტოლიტენკომ უთხრა, იცოდი, რომ საქართველოში მხოლოდ 56 საფეხბურთო გუნდიაო? ბლოხინს ჩაეცინა - კიდევ კარგი, მეტი არ ჰყავთ, თორემ ეგენი ისეთი ნიჭიერები არიან, ნაგვლეკავდნენო“.*

მაჭავარიანის მონათხრობი გუშინ თბილისში დასრულებულმა **ნოდარ ახალკაცის** სახელობის საერთაშორისო საბავშვო ფესტივალმა გამახსენა. ფესტივალი ფიფას დაფინანსებითა და სპორტული ნაწარმის გერმანული კომპანია „ზალერის“ პატრონაჟით თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა. ჩვენ მართლა არ გვყავს ბევრი გუნდი, ინფრასტრუქტურა და მოედნები სამარცხვინო მდგომარეობაშია, ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ სამაგიეროდ, უამრავი ნიჭიერი ბავშვი გვყავს და ეს ამ ფესტივალმაც დაამტკიცა.

გუშინ საღამოს სამი ფინალი გაიმართა. 2002 წელს დაბადებულთა შორის გამარჯვებული გახდა თბილისის „ბაქსვუდი“, რომელმაც ზუგდიდის „ბაია“ 9:4 დაამარცხა. დაიმახსოვრეთ თბილისელი **ლუკა ხვისტანი** და ზუგდიდელი „გატუზო“ **გიორგი ჩუხუა** - ისინი ასაკისთვის უჩვეულოდ კარგი საფეხბურთო აზროვნებით გამოირჩევიან და იმედია, მომავალში აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას. და საერთოდ, 8 წლის ბავშვებმა ისე გამართულად და ლამაზად ითამაშეს, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც შეშურდებოდა ბევრს.

2001-წლიანების ფინალში **კოტე მელქაძის** მიერ გაწვრთნილმა „ოლიმპმა“ „ნორჩ დინამოელს“ 6:2 მოუგო, 2000-წლიანებში კი თენგიზ სულაქველიძის სახ. აკადემიამ „35-ე სკოლას“ 4:0 სძლია.

გამარჯვებულები „ზალერის“ მეპატრონე **რიხარდ ზალერმა** დააჯილდოვა და თითოეულ მონაწილეს სპორტული ფორმები და ბურთები აჩუქა.

*„თბილისის ფედერაციის გენერალური მდივანი გოჩა თამაზაშვილი ჩემი მეგობარი და პარტნიორია. მან უდიდესი სამუშაო გასწია, ბრწყინვალე იდეა ჰქონდა და ამან უდაოდ გაამართლა. ბავშვებს იმიტომ ვეხმარებით, რომ ნამდვილი ფეხბურთის სულისკვეთებით გაიზარდონ, რომ სტიმული ჰქონდეთ. მომავალშიც დავეხმარები ფესტივალს, სადაც ახალ-ახალ ტალანტებს ეძებენ - საქართველოში გამორჩეული ბავშვები იბადებიან“,* - გვითხრა ბატონმა ზალერმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ალექსანდრე ამისულაშვილი

# ახლიდან უნდა დავამტკიცო, რომ ნაკრების ღირსი ვარ

**ხვალ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილე კამერუნის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ თამაშისთვის თემურ ქეცბაიამ ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილიც გამოიძახა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოკავკასიური კლუბის მცველს კარგა ხანია, არ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, საინტერესოა, რა აზრისაა ის ქვეყნის მთავარ გუნდზე, მის მომავალზე, რაზე ისაუბრა თემურ ქეცბაიასთან. გარდა ამისა, ამისულაშვილს სატრანსფერო და საკლუბო თემაზეც ვკითხეთ. ინტერვიუ კი კამერუნთან მომავალ მატჩზე საუბრით დავიწყეთ.**

**- როგორ მიდის კამერუნთან მატჩისთვის მზადება?**

- ჩვეულებრივად, 18 მაისიდან ავსტრიაში ვართ და გეგმის მიხედვით ვემზადებით. მინდა დაგარწმუნოთ, რომ გუნდში სრული მობილიზება და საბრძოლო განწყობაა. ვვარჯიშობთ ბურთით, ვამუშავებთ კომბინაციებსა თუ სათამაშო ელემენტებს, სტანდარტულ სიტუაციებს... ერთი სიტყვით, სამუშაო პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და ჩემი აზრით, ეს შეკრება ჩვენს გუნდს ნამდვილად გამოადგება.

**- შეკრება კამერუნთან ამხანაგური მატჩით დასრულდება...**

- ძალზე საჭირო მატჩია და კარგი იქნებოდა, მექსიკასთანაც გვეთამაშა, ან ნებისმიერ სხვა ნაკრებთან. მოსამზადებელი შეკრება გაგრძელდებოდა და გაცილებით სასარგებლო შეკრება გამოვიდოდა, მაგრამ... რას ვიზამთ? კამერუნთან თამაშით უნდა დავკმაყოფილდეთ. თუმცა უკეთესი იქნება, შესარჩევის დაწყებამდე რაც შეიძლება მეტი ამხანაგური შეხვედრა გავმართოთ.

**- მაგრამ მუნდიალის მონაწილე კამერუნი ძლიერი გუნდია და ნესით, ეს სპარინგიც სასარგებლო იქნება...**

- რა თქმა უნდა. კამერუნის ნაკრები ძლიერი გუნდია და ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი. ამდენად, რთული გამოცდა გველის. ძლიერ მეტოქესთან თამაშში უფრო კარგად გამოჩნდება ჩვენი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ მატჩის შემდეგ ყველამ უფრო მეტად უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რადგან შესარჩევი ციკლის დაწყებამდე 3 თვეა დარჩენილი და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- ესტონეთთან 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვისაც იყავით ნაკრებში გამოძახებული, მაგრამ ვერ ჩამოხვედით. ოფიციალურ მიზეზად მაშინ ტრავმა დასახელდა. მაგრამ მერე ითქვა, ამისულაშვილს საპასპორტო პრობლემაც ჰქონდაო... მაინც რა იყო თქვენი ჩამოუსვლელობის ჭეშმარიტი მიზეზი?**

- ტრავმაც მქონდა და საპასპორტო პრობლემაც... არადა, მერწმუნეთ, მართლა ძალიან მინდა ეროვნულში თამაში. ისედაც საკმაო ხანია, არ მითამაშია ნაკრებში, იყო პერიოდი, საერთოდ არც მიძახებდნენ... მოდი, აღარ ვილაპარაკებ წარსულზე, რაც იყო, იყო... ახლა ნაკრებთან ერთად ვემზადები და ეროვნული გუნდისთვის ყველაფერს გავიღებ. ერთი რამაა სამწუხარო - კიდევ ერთხელ მაქვს დასამტკიცებელი, რომ ქვეყნის მთავარი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ.

**- ნალჩიკის „სპარტაკში“ ძირითადად ცენტრალური მცველის პოზიციას განდობენ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ფლანგებზეც გიწევთ თამაში. თავად როგორ ფიქრობთ - სად არის თქვენთვის იდეალური ადგილი?**

- გუნდს დასჭირდა და ორივე ფლანგზე ვითამაშე, თუმცა ეს ერთი-ორჯერ მოხდა. ცენტრალური მცველის პოზიცია კი, ასე ვთქვათ, ჩემი პოზიცია. მიმაჩნია, რომ ამ ადგილზე უფრო სასარგებლო ვარ. ნაკრებს რაც შეეხება, აქაც ასე ვიტყოდი - როგორც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ და სადაც გუნდს დავჭირდები, იქ ვითამაშებ.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. რუსული პრემიერლიგის სასტარტო ტურებში ნალჩიკის „სპარტაკი“ ლიდერი იყო, მაგრამ მერე პოზიციები დათმო. რით ახსნით ამას?**

- კი, ასე იყო, სეზონი მართლაც ჩინებულად დავიწყეთ და ერთი ხანობა, დაუმარცხებლებიც ვიყავით, მაგრამ მერე ქულები დავკარგეთ და ეს სატურნირო მდგომარეობაზეც აისახა. კაცმა რომ თქვას, სხვა ფავორიტებზე ნაკლები შემადგენლობა ნამდვილად არ გვყავს, მწვრთნელი იური კრასნოჟანიც გამოცდილი სპეციალისტია... ასე რომ, ჩვენი გუნდის ლიდერთა შორის ყოფნა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ახლა მე-4 ადგილზე ვართ და ჩვენ წინ მყოფი „რუბინი“ მხოლოდ ერთი ქულით გვისწრებს. ჯერ ყველაფერი წინ არის...

**- მაინც რა მიზნისთვის იბრძვის ნალჩიკის „სპარტაკი“?**

- ჩვენთვის ჩემპიონობა არავის დაუსახავს მიზნად, უბრალოდ, ყველა მატჩზე მოსაგებად გავდივართ მოედანზე. ასე იქნება მომდევნო შეხვედრებშიც და ვნახოთ, რას მივაღწევთ საბოლოოდ. ბუნებრივია, გვინდა, ცხრილში უკეთეს პოზიციაზე ვიყოთ და რამდენად გამოგვივა ეს, მომავალი გვიჩვენებს.

**- რაც შეეხება სატრანსფერო თემას. ნალჩიკურ კლუბთან მალე გიმთავრდებათ კონტრაქტი. რას აპირებთ?**

- ხელშეკრულების ვადა 1 აგვისტოს იწურება. სიმართლე გითხრათ, ამაზე ჯერ არ მიფიქრია...

**- ნალჩიკის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ არა ერთი მსურველი გყავთ. კლუბის სპორტული დირექტორის ალექსანდრ ზარუცკის თქმით, თქვენი გადაბირება „ტერეკს“, „რუბინს“, „კრილიასა“ და მოსკოვის „დინამო“ სურთ. ამას გარდა, ორი ვარიანტიც გაქვთ ევროპიდან, ერთ-ერთი გერმანული კლუბია. თუმცა სპორტულმა დირექტორმა ისიც თქვა, რომ „სპარტაკი“ ახალ 2-წლიან კონტრაქტს გთავაზობთ გაუმჯობესებული პირობებით...**

- კონტრაქტის დასრულებამდე ჯერ კიდევ 2 თვეა. ასე რომ, აჩქარება საჭირო არ არის და საამისოდაც არ მაქვს საქმე. მით უმეტეს, ნალჩიკელებსაც არ უნდათ ჩემი დათმობა. ახლა სატრანფერო თემაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, ნაკრებში ვარ და კამერუნთან თამაშზე ვარ კონცენტრირებული.

**- ევროპიდან რა ვარიანტები გაქვთ? რომელი გერმანული კლუბია თქვენით დაინტერესებული?**

- არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. ან კი რა უნდა ვთქვა, როცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია?! კიდევ ერთხელ ვამბობ - მოსაფიქრებლად კიდევ 2 თვე მაქვს. ჩაილის სანაკრებო შეკრება და ეს ამხანაგური მატჩი, რუსეთის ჩემპიონატში პაუზა ივლისამდეა და დავფიქრდები, ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და გადავწყვეტ, ნალჩიკში დავრჩები თუ სხვაგან გადავალ.

**დავით ცაბაძე**


ალექსანდრე ამისულაშვილი

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# ფანკლუბების პრეზენტაცია

11 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და საფეხბურთო ტემპერატურაც სულ უფრო მატულობს. ისევე, როგორც წინა მუნდიალის დროს, ფანკლუბები ახლაც შეიქმნება. მეტიც, ზოგიერთი ნაკრების ფანკლუბი უკვე დაფუძნებულია, ზოგისაც მალე დაფუძნდება. ასე მაგალითად, შაბათს „სპორტკაფეში“ ორი გუნდის - არგენტინის და ესპანეთის ნაკრებთა ფანკლუბები დაფუძნდა.

არგენტინის ნაკრების ფანკლუბი მიხეილ ახვლედიანის თაოსნობით შეიქმნა და მასში ისეთი ცნობილი პერსონები გაერთიანდნენ, როგორებიც არიან - **ლევან ყიფიანი, დავით ტურაშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, გოგი ქავთარაძე** (სფფ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი), **ვახტანგ გეგელია, დევი დობორჯგინიძე, ნიკა სახვაძე, თემურ ღლანიძე**... მათ არგენტინული ფეხბურთის ლეგენდები - **მარადონა, კემპესი, პასარელა, არდილესი** და სხვები გაიხსენეს.

„არგენტინელები“ ესპანელებმა შეცვალეს, ოღონდ, ნამდვილმა ესპანელებმა. ამ ნაკრების ფანკლუბს ეროვნული ნაკრების ყოფილი კალათბურთელი **პაატა გურასპაული** უხელმძღვანელებს. მის შტაბში საქართველოში ევროკავშირის მისიის ესპანელი წარმომადგენლები არიან. როგორც მათ აღნიშნეს, 2 წლის წინ ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდა, ახლაც ძლიერი გუნდი ჰყავს და მსოფლიო თასის მოპოვებისთვის იბრძოლებენ.

ესპანეთის ნაკრების ფანკლუბის წევრები თანახმანი არიან, ფინალში არგენტინას ეთამაშონ, თუმცა პირველობას არავის დაუთმობენ. ასე რომ, მუნდიალის მსვლელობისას არგენტინისა და ესპანეთის ნაკრებთა ფანკლუბები „სპორტკაფეში“ მიადევნებენ თვალს „თავიანთი“ გუნდების მატჩებს და იქ სხვა გულშემატკივრებსაც ელიან.

**დავით ცაბაძე**

# სხვადასხვა გემოვნება

**ორი სეზონი ჩაატარა „გაგრამ“ უმაღლეს ლიგაში და ორივეჯერ აუტსაიდერის სტატუსი ჰქონდა. წინა სადებიუტო სეზონში თერთმეტგუნდიანი ჩემპიონატი რომ გვქონდა, „გაგრამ“ IX ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგიდან გავარდა. თუმცა, მერვე ადგილზე გასულ „მესხეთს“ ლიცენზირებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და პირველ ლიგაშიც სწორედ ახალციხის გუნდი დაქვეითდა, „გაგრამ“ კი კვლავაც უძლიერესთა შორის.**

**თითქმის ანალოგიური სიტუაციაა ამჟამადაც: „გაგრამ“ ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში ბოლო ადგილი დაიკავა და... ისევ და ისევ, სხვა გუნდების „იმედად“ უნდა იყოს! ანუ, იქნებ, ახლაც შეექმნას რომელიმე გუნდს ფინანსური პრობლემები, ან, ლიცენზირება ვერ გაიაროს, - საპირისპირო შემთხვევაში კი „გაგრა“ მომავალ სეზონს პირველ ლიგაში დაიწყებს. არადა, გუნდს მთელი ჩემპიონატი ისე რომ ეთამაშა, როგორც აპრილ-მაისში, დიდი შანსი იყო უმაღლეს ლიგაში ადგილი შეენარჩუნებინა.**

**სამწუხაროდ, მთელი სეზონის განმავლობაში „გაგრა“ ერთობ არასტაბილურად ასპარეზობდა თანაც, ხშირ შემთხვევაში, ქულებს უშუალო კონკურენტებთან კარგავდა და საერთოდაც: „გაგრა“ იყო ერთადერთი გუნდი, ჩემპიონატში სტუმრად ვერც ერთი თამაში რომ ვერ მოიგო. ეგ კი არა, ცოტაც და... „ევროპული მასშტაბის“ ანტირეკორდსაც დაამყარებდა: 8 ნოემბრიდან მოყოლებული „გაგრას“ 19-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა. მსგავსი შედეგით კი ევროპაში ვერავინ „დაიკვეხნიდა“...**

## სამწვრთნელო კარუსელი

ზემოთ არასტაბილურობა ვახსენეთ და, ვფიქრობთ, „გაგრას“ წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს იყო. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ სეზონის განმავლობაში გუნდმა... სამი მწვრთნელი გამოიცვალა! ჩემპიონატი უკრაინელმა **ვიქტორ კაშჩეიმ** დაიწყო, დეკემბრიდან გუნდის გაძღოლა **კახა კარანაძეს** მიანდვეს, ხოლო ამა წლის გაზაფხულიდან „გაგრას“ უკვე **ანატოლი პისკოვეცი** მოძღვრავდა. ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს ფეხბურთელებისათვის ერთი სეზონის განმავლობაში სამ სხვადასხვა „გემოვნების“ მწვრთნელთან მუშაობა.

რა თქმა უნდა, კაშჩეის, კარანაძესა და პისკოვეცს ფეხბურთისადმი განსხვავებული ხედვა ჰქონდათ; ჰოდა, ამის გამოც იყო, რომ „გაგრას“ ფეხბურთელთაგან მხოლოდ ერთი-ორმა შეძლო და სამივე მწვრთნელის მუშაობის პერიოდში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობდა. ახლა კი სამივე სპეციალისტის „მონაგარს“ შემოგთავაზებთ და დასკვნები თვითონ გამოიტანეთ; ვიქტორ კაშჩეის ხელმძღვანელობით „გაგრამ“ 17 მატჩი ჩაატარა: 3



ანატოლი პისკოვეცი

მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და 10 წააგო; ბევრად უარესი შედეგი ჰქონდა კახა კარანაძეს: 10 შეხვედრიდან „გაგრამ“ ორი ფრედ ითამაშა, 8 წააგო და ვერც ერთი მოიგო! სამაგიეროდ, ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა ანატოლი პისკოვეცი: საქართველოს ჩემპიონატში ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული უკრაინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „გაგრამ“ 9 მატჩი ჩაატარა, აქედან 2 მოიგო, 3 ფრედ ითამაშა და 4 წააგო.

მოკლედ, პროცენტულად ყველაზე კარგი შედეგი პისკოვეცმა აჩვენა და ამას გარდა, თამაშის ხარისხითაც „გაგრა“ მხოლოდ სეზონის ფინიშზე თუ გამოირჩეოდა. რაც მთავარია, ბოლო ოთხი-ხუთი შეხვედრა გუნდმა, ფაქტობრივად, ერთი და იმავე შემადგენლობით ჩაატარა; არადა, ასეთი რამ „გაგრაში“... ჩემპიონატის დაწყებიდან არ ყოფილა. ვერც იქნებოდა - სეზონის განმავლობაში „გაგრას“ მაისურა 47(!)-მა ფეხბურთელმა მოირგო!

დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ მართლაც „არანორმალური“ რიცხვია, ჰოდა, რომელ სტაბილურობასა და საერთოდ, რომელ შედეგზეა საუბარი...

## გაუმართლებელი სტრატეგია

წინა სეზონშიც და ამ ჩემპიონატშიც კლუბის ხელმძღვანელებმა ერთი და იგივე სტრატეგია აირჩიეს: ძირითადი აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთეს. სამწუხაროდ, საქმისადმი მსგავსი მიდგომა თითქმის ყველგან და ასევე თითქმის ყოველთვის... კრახით მთავრდება. გამონაკლისი არც „გაგრა“ იყო: გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს პერსპექტივა ნამდვილად არ დაეწუნებოდა, მაგრამ 19-20 წლის ბიჭებს ათთვიანი მარათონული ტურნირის ერთ დონეზე ჩასატარებლად არც საკმარისი ფიზიკური მომზადება ექნებოდათ და არც საშემსრულებლო ოსტატობა.

რა თქმა უნდა, სეზონის დასაწყისშივე იყო რამდენიმე „გამონათება“ - უპირველეს ყოვლისა, მეორე ტურში „ვიტ ჯორჯიას“ განადგურებას (4:0) ვგულისხმობთ; თანაც, იმ მატჩში „პოკერი“ შეასრულა „გაგრას“ უდავო ლიდერმა **გიორგი გაბედავამ**. სამწუხაროდ, ჩემპიონატის ბოლომდე „გაგრამ“ ერთი-ორჯერ შეძლო და ლიდერებთან ფრედ დაასრულა შეხვედრა, მაგრამ ამჯერად გუნდში ახალგაზრდებთან ერთად გამოცდილი მოთამაშეებიც იყვნენ. არადა, სეზონის დასაწყისიდანვე „გაგრაში“ ოთხი-ხუთი მეტ-ნაკლებად გამოცდილი ფეხბურთელი რომ ჩარიცხულიყო, დარწმუნებული ვართ, გუნდი ბევრად უკეთეს შედეგს მიაღწევდა.

ისე, სამსაჯო თემასაც აუცილებლად უნდა შევეხოთ; ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ იყო ცოტა ისეთი მატჩები, სადაც მსაჯები, რატომღაც, „გაგრას“... საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს რომ იღებდნენ. იმას ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ გუნდი პირველ ლიგაში მხოლოდ არბიტრების შეცდომების გამო გავარდა; თუმცა, სულ მცირე, სამი-ოთხი მატჩი მაინც იქნებოდა, - სამსაჯო ლაფსუსების გამო „გაგრამ“ ქულები რომ დაკარგა.

აქვე, გუნდის სატრანსფერო პოლიტიკასაც უნდა შევეხოთ და „გაგრას“ ლეგიონერებიც ვახსენოთ; სამწუხაროდ, უცხოელთაგან მხოლოდ **ნიკოლაი ნაკონეჩნი** გამოადგა გუნდს - უკრაინელმა „საყრდენმა“ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და „გაგრას“ ერთ-ერთ შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის ორ თანამემამულეზე - **ვასილი გრიგოროვიჩსა** და **ოლექსანდრ ომელიანოვს** ერთი თვე „უთმინა“ მათმავე... ჩამომყვანმა პისკოვეცმა და მერე, უკან, სამშობლოშივე გააბრუნა!

პირველ ეტაპზე გუნდში კიდევ ერთი უკრაინელი ასპარეზობდა - ნახევარმცველი **სერგეი ბერბატი**, ვინც ურიგო ფეხბურთელი არ გახლდათ, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში დიდხანს არ გაჩერებულა. კამერუნელი მარჯვენა მცველ **ჩენსუს** „გაცნობა“ კი ვერავინ მოასწრო - 19 წლის ბიჭმა სადებიუტო შეხვედრაშივე (თან, მატჩის დასაწყისში) მძიმე ტრავმა მიიღო და მეტი აღარც უთამაშია. „ვერაფერი ბრაზილიელი“ გამოდგა **მოიზესი**, ყოველ შემთხვევაში, მის პოზიციაზე მოასპარეზე „გაგრას“ ახალგაზრდა ფეხბურთელები ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. საერთოდ კი, გიორგი გაბედავას წასვლამ „გაგრას“ ასპარეზობაზე უარყოფითად რომ იმოქმედა, ფაქტია - ახალგაზრდა ფეხბურთელი გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც იყო და საერთოდ, უპირობო ლიდერი...

**ადგილი XXI ჩემპიონატში: 10**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 5 | 9 | 22 | 30-59 | 24 |

**გაგრას ყველა მატჩი**

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დინამო-გაგრა | 2:0 |
| II ტური | გაგრა-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| III ტური | ზესტაფონი-გაგრა | 1:0 |
| IV ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:1 |
| V ტური | ბაია-გაგრა | 2:2 |
| VI ტური | გაგრა-ლოკომოტივი | 2:0 |
| VII ტური | სამტრედია-გაგრა | 4:3 |
| VIII ტური | სპარტაკი-გაგრა | 3:1 |
| IX ტური | გაგრა-სიონი | 1:1 |
| X ტური | გაგრა-დინამო | 0:0 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-გაგრა | 5:1 |
| XII ტური | გაგრა-ზესტაფონი | 0:1 |
| XIII ტური | ოლიმპი-გაგრა | 5:0 |
| XIV ტური | გაგრა-ბაია | 1:0 |
| XV ტური | ლოკომოტივი-გაგრა | 1:0 |
| XVI ტური | გაგრა-სამტრედია | 1:1 |
| XVII ტური | გაგრა-სპარტაკი | 1:2 |
| XVIII ტური | სიონი-გაგრა | 1:1 |

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XIX ტური | დინამო-გაგრა | 4:1 |
| XX ტური | გაგრა-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XXI ტური | ზესტაფონი-გაგრა | 4:1 |
| XXII ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:2 |
| XXIII ტური | ბაია-გაგრა | 2:1 |
| XXIV ტური | გაგრა-ლოკომოტივი | 0:1 |
| XXV ტური | სამტრედია-გაგრა | 1:0 |
| XXVI ტური | სპარტაკი-გაგრა | 0:0 |
| XXVII ტური | გაგრა-სიონი | 1:2 |
| XXVIII ტური | გაგრა-დინამო | 0:1 |
| XXIX ტური | ვიტ ჯორჯია-გაგრა | 2:0 |
| XXX ტური | გაგრა-ზესტაფონი | 0:0 |
| XXXI ტური | ოლიმპი-გაგრა | 3:0 |
| XXXII ტური | გაგრა-ბაია | 1:1 |
| XXXIII ტური | ლოკომოტ.-გაგრა | 1:1 |
| XXXIV ტური | გაგრა-სამტრედია | 2:1 |
| XXXV ტური | გაგრა-სპარტაკი | 4:1 |
| XXXVI ტური | სიონი-გაგრა | 2:0 |

მეკარეები: რევაზ თევდორაძე - 28, ლადო ნადირაშვილი - 5, ზვიად სტურუა - 5;

მცველები: თორნიკე შალიკაშვილი - 25, ჯემალ გაბუნია - 22 (1 გოლი), გიორგი ტყეშელაშვილი - 21 (2), ნიკოლოზ ჯიშკარიანი - 16, ირაკლი ქორთუა - 14, დავით გიგაური - 14, ლაშა თოთაძე - 14 (1), გიორგი ჭაავა - 14, ცოტნე ხარაბაძე - 13, თემურ რაქვიაშვილი - 11, აკაკი კუპრეიშვილი - 10, ვალტერ ხორგუაშვილი - 6, გიორგი ელბაქიძე - 4, ნემო შელია - 3, ვასილი გრიგოროვიჩი - 2, გიორგი ბაგალიშვილი - 2, ჩენსუ ჩასემი - 1, ლაშა კალანდაძე - 1.

ნახევარმცველები: ლევან შარიქაძე - 22, თორნიკე ოქრიაშვილი - 22 (1), მიხეილ კობერიძე - 20 (3), ზვიად ჩხეტიანი - 15 (1), პავლე ხორგუაშვილი - 10, გურამ გოგიჩაიშვილი - 9 (1), ანტონიო მოიზესი - 9, თორნიკე მოსიაშვილი - 9, ნიკოლაი ნაკონეჩნი - 8, ნიკოლოზ კვასხვაძე - 8, ირაკლი შალიკაშვილი - 8, ბიჭიკო გედენიძე - 6 (1), გიორგი გულორდავა - 5, ნოშრევან ჯიშკარიანი - 4, სერგეი ბერბატი - 4, გიორგი ცაავა - 1, ზურაბ ქურდობაძე - 1.

თავდამსხმელები: ილია პავლიაშვილი - 30 (4), აბაიომი ოვონიკოკო - 25 (1), გიორგი გაბედავა - 19 (10), თორნიკე თუხარელი - 10, შალვა კვანტალიანი - 8 (4), ირაკლი კიკნაძე - 5. ალექსანდრ ომელიანოვი - 4, გიორგი ჭოხონელიძე - 2, მიხეილ ჯიშკარიანი - 1.

## მეკარეები

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: „გაგრას“ წარუმატებელი ასპარეზობა ამ გუნდის მეკარეების არადამაჯერებელი თამაშით ნამდვილად არ იყო განპირობებული. პირიქით: ყველაზე ნაკლებ კრიტიკას სწორედ ეს რგოლი იმსახურებდა; ერთი მხრივ, ყოველივე ეს გასაკვირი არავისთვის უნდა ყოფილიყო: **რევაზ თევდორაძეც, ლადო ნადირაშვილიც** და **ზვიად სტურუაც** ურიგო მეკარეებად ნამდვილად არ მიიჩნევიან და საკუთარი შესაძლებლობები გასულ სეზონშიც არაერთხელ დაამტკიცეს.

სეზონის დასაწყისში ძირითადი მეკარე თევდორაძე იყო. XI ტურის შემდეგ („ვიტ ჯორჯიასთან“ დიდი ანგარიშით წაგების მერე) კარში უკვე ნადირაშვილი ჩადგა, რომელმაც მოგვიანებით მძიმე ტრავმა მიიღო და ისევ თევდორაძე გახდა ძირითადი მეკარე. სეზონის ბოლოს კი მწვრთნელები გამოცდილ ზვიად სტურუას ენდობოდნენ.

## მცველები

ზემოთ შემადგენლობის გაუთავებელი როტაცია რომ ვახსენეთ, ყველაზე მეტად სწორედ ამ რგოლს ეხებოდა. ამასთან, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „გაგრას“ დაცვის ხაზი, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა: სხვადასხვა გუნდში გადასული ფეხბურთელების (**დავით გიგაური, თემურ რაქვიაშვილი, აკაკი კუპრეიშვილი, ლაშა თოთაძე**) ნაცვლად ძირითადში ადგილი დაიმკვიდრეს ახალგაზრდებმა (**ნიკოლოზ ჯიშკარიანმა, ცოტნე ხარაბაძემ, ირაკლი ქორთუამ**).

ასევე საკმაოდ ახალგაზრდაა **თორნიკე შალიკაშვილიც**, მცველებიდან ყველაზე მეტი მატჩი ვინც ჩაატარა. პისკოვეცის მოსვლის შემდეგ კვლავაც გაიმყარა საკუთარი პოზიციები **გიორგი ტყეშელაშვილმა** - წინა სეზონში გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად რომ მიიჩნეოდა, მაგრამ კაშჩეისა და კარანაძის ხელმძღვანელობით იშვიათად უწევდა თამაში.

სხვათა შორის, სეზონის ბოლოს (უფრო ზუსტად, პისკოვეცის მოსვლის შემდეგ) „გაგრა“ სამმცველიანი ტაქტიკით ასპარეზობდა და ამ „ნოვაციამ“ რამდენიმე შეხვედრაში გაამართლა კიდეც.

## ნახევარმცველები

მწვრთნელების ცვლა არანაკლებ მტკივნეულად ამ რგოლსაც შეეხო: სამივე სპეციალისტს გუნდის ნახევარდაცვა თავისებურად წარმოედგინა; აქედან გამომდინარე, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელს ნახევარდაცვაში სხვადასხვა პოზიციაზე უწევდა თამაში. სეზონის ბოლოსკენ ამ რგოლის უდავო ლიდერად იქცა **ნიკოლაი ნაკონეჩნი** - გამოცდილმა უკრაინელმა „საყრდენმა“ ჩემპიონატში მხოლოდ 8 მატჩი ჩაატარა, მაგრამ თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად საკმარისი იყო.

ტრავმის გამო ბევრი გაუცდა ახალგაზრდა **ლევან შარიქაძეს**, არადა, ამ ბიჭს საკმარისზე მეტი პოტენციალი გააჩნია. პირველი ეტაპის მიწურულს კი გუნდის ძირითადში დებიუტი ჰქონდა 17 წლის **თორნიკე ოქრიაშვილს** და სულ მალე ეს პატარა ბიჭი „გაგრას“ ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა! ეგ კი არა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი და „სეზონის აღმოჩენის“ ნომინანტობაზეც სამართლიანი პრეტენზია უნდა ჰქონდეს.

ოქრიაშვილი „არასტანდარტული“ აზროვნებით გამოირჩევა, ეფექტური დრიბლინგიც ეხერხება და არც პასის კულტურა დაეწუნება; მოკლედ, საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია და მიღწეულით თუ არ დაკმაყოფილდება, ბევრად უფრო მაღალ დონეზეც შეეძლება თამაში.

## თავდამსხმელები

ძნელი სათქმელია, „გაგრა“ შეინარჩუნებდა თუ არა უმაღლეს ლიგაში ადგილს, **გიორგი გაბედავა** სეზონის ბოლომდე რომ შეენარჩუნებინა. თუმცა ერთ ფაქტს კი ვერსად გავექცევით: მეტოქეთა კარში გატანილი გოლების (30)... მესამედი სწორედ გაბედავაზე მოდის, თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალგაზრდა ფორვარდმა მხოლოდ 19 მატჩი ჩაატარა...

გაბედავას გარდა, უნდა აღვნიშნოთ მოუღლელი შემტევი **ილია პავლიაშვილიც** - ერთადერთი ფეხბურთელი, სამივე მწვრთნელისგან ნდობას რომ იმსახურებდა; ნიგერიელ **აბაიომი ოვონიკოკოს** მონდომება არ დაეწუნებოდა, მაგრამ ფორვარდისთვის ერთი გოლი ვერაფერი შედეგია. სეზონის ბოლოსკენლა მისცეს თავის გამოჩენის საშუალება შალვა კვანტალიანს და ჭაბუკმა თავდამსხმელმაც რვა მატჩში ოთხი გოლის გატანა მოახერხა...

**გია ტუხაშვილი**



გიორგი გაბედავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიუმფატორი

# მოურინიოს ბოლო დღე ინტერში

## მილიტო: ალბათ, დავრჩები...

**მოხდა ის, რაზეც იტალიურ პრესაში უკვე დიდი ხანია იწერება. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის დასრულებისთანავე ჟოზე მოურინიომ პირდაპირ განაცხადა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი დღე „ინტერში". ძნელი სათქმელია, იტყოდა თუ არა ამას ჟოზე, ფინალი რომ „ბაიერნს" მოეგო, მაგრამ დღეს ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა.**



მასიმო მორატის ჟოზე მოურინიოსთან განშორება ძალიან გაუჭირდება

ფაქტია, რომ პორტუგალიელმა სპეციალისტმა გუნდს ყველაფერი მოაგებინა და „ინტერს" წარმატების ზენიტში მყოფი ეთხოვება. ლიგის არაერთი გამარჯვებული გვინახავს, მაგრამ ის, რაც ბერნაბეუზე ხდებოდა, მართლაც ჯერ არნახული გახლდათ. ტრიბუნებზე შეკრებილი მილანელები არათუ ცრემლებს ვერ იკავებდნენ, ტიროდნენ და აშკარა იყო, რომ ცხოვრების უმთავრესი ოცნება აისრულეს. აღარაფერს ვამბობთ **ხავიერ ძანეტისა** და მისი სახის გამომეტყველებაზე - თასის აღმართვისას მთლად ნორმალურის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და ეს არც გვიკვირს. „ინტერს" აქამდე მხოლოდ ორჯერ ჰქონდა მოგებული ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირი, მათ შორის უკანასკნელი 1965 წელს. ერთხელ **ჟოზე მოურინიომ** ასეთი რამ თქვა - თაობები გაიზარდნენ ისე, რომ ამ დღეს არ მოსწრებიან, ჩვენ ისტორიას ვქმნითო. ჟოზემ მართლაც შექმნა ისტორია და ტიფოზები სიცოცხლის ბოლომდე მისი მადლობელი დარჩებიან. აი, რა თქვა ნამატჩევს პირენეელმა:

*„მინდა ხაზი გავუსვა, რომ აქამდე „რეალის" მესვეურებთან არანაირი შეთანხმება არ მქონია. სეზონის გადამწყვეტი მატჩებისთვის ვემზადებოდით და ნამდვილად ვერ მივცემდი თავს იმის უფლებას, რომ ასეთ დროს მადრიდელებთან მოლაპარაკებებზე მეფიქრა. თუმცა, უნდა დავადასტურო, რომ თუ სადმე მსურს კარიერის გაგრძელება, პირველ რიგში ეს სამეფო კლუბია. ჩემპიონთა ლიგა ორ გუნდთან ერთად მოვიგე და მსურს, ეს მესამედ გავაკეთო. „რეალი" ჩემთვის ახალი გამოწვევა იქნება და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში დავიწყებთ მოლაპარაკებებს. იქამდე კი მინდა მადლობა გადავუხადო „ინტერის" თითოეულ ფეხბურთელს, მათ ბოლომდე იბრძოლეს და ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა".*

ჟოზემ იმ ემოციებზე ისაუბრა, რომელიც მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ დაეუფლა: *„თავი ვერ შევიკავე და ცრემლები წამსკდა. არა იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, უბრალოდ, გავაცნობიერე, რომ ეს იყო ჩემი უკანასკნელი დღე „ინტერში". ამან დიდი სევდა მომგვარა, მაგრამ ასეთია ცხოვრება და ვერაფერს შევცვლით. ჩემი აზრით, „ინტერს" დიდი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც გუნდს ახალი გამარჯვებებისკენ გაუძღვება. მის ხელთ დიდი რესურსი იქნება, ბრწყინვალე ფეხბურთელები, რომლებსაც ყველაფრის მოგება შეუძლიათ. ჩვენ ეს უკვე დავამტკიცეთ და ჰეთთრიკი შევასრულეთ. ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ტურნირია, ვიდრე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი და ევროპის სუპერთასის გათამაშება. ასე რომ, მილანიდან ვალმოხდილი მივდივარ".*

ჟოზე საუბრის ხასიათზე გახლდათ და ასე გააგრძელა: *„აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ „ინტერი" ნამდვილი იტალიური გუნდია, რომელმაც ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე ასახელა. დღეს იტალია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საუკეთესო საფეხბურთო ქვეყანაში ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში ბევრს არ ვუყვარვარ, ამაყი ვარ, რომ კალჩოს წარმატებაში საკუთარი წვლილი შევიტანე".*

დაბოლოს, პორტუგალიელმა სამომავლო გეგმებზე და ესპანურ პერსპექტივებზე ისაუბრა: *„იტალიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობდი და მიუხედავად დიდი კრიტიკისა, ხალხის სითბო არასდროს მომკლებია. რატომღაც მგონია, რომ პირენეებზე გაცილებით უფრო ცივად მიმიღებენ. ეს არ მაშინებს, პირიქით, ახალი გამოწვევაა, რომელსაც სიამოვნებით მივიღებ. არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ მსურს ევროპის სამ უძლიერეს ჩემპიონატში გავიმარჯვო და ვფიქრობ, მიზანს მივაღწევ კიდეც. ესპანეთში ჯერ არ მიმუშავია და დადგა დრო, ესეც გამოვცადო. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ხვალ გავიღვიძო და ჩავთვალო, რომ კარგი იქნება, თუ სკუდეტოს ზედიზედ მესამედ მოვიპოვებ".*

უკანასკნელი ფრაზა აშკარად ამოვარდნილია კონტექსტიდან და მაშინ, როცა მოურინიომ ნახევარ საათზე მეტხანს ისაუბრა ესპანურ პერსპექტივებზე, ასეთი დაბოლოება მოულოდნელი იყო... თუმცა ასე თქვა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ არაპროგნოზირებადი ადამიანია. და მაინც, მოურინიომ „ინტერი" დატოვა და კარიერას „რეალში" გააგრძელებს.

გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რეალის" მესვეურებს **დიეგო მილიტოსთანაც** ჰქონიათ ფარული მოლაპარაკებები. ეგ კი არა, თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, წინასწარი შეთანხმებისთვისაც მიუღწევიათ. ტრანსფერი ლამის გაჩარხულად გამოაცხადეს, როდესაც მილიტომ ჟურნალისტებთან გასაუბრება გადაწყვიტა და შემდეგი განაცხადა:

*„მადრიდელები მართლაც არიან ჩემით დაინტერესებულნი და კონტაქტზეც გამოვიდნენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. „ინტერთან" კიდევ სამწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და სიმართლე გითხრათ, მილანიდან აზარგების სურვილი არ მაქვს. საერთოდ, გამორიცხული არაფერია, მაგრამ სავარაუდოდ, კარიერას „ნერაძურიში" გავაგრძელებ".*

და ვინ იქნება „ინტერის" ახალი თავკაცი? - ყველაზე ხშირად ისევ და ისევ **სინიშა მიხაილოვიჩზე** საუბრობდნენ, რომელიც თურმე ნომერი პირველი კანდიდატი ყოფილა. ვერ ვიტყვით, რომ სერბი მსოფლიო დონის სპეციალისტად ითვლება, მაგრამ პერსპექტიულია და როგორც იტალიაში ამბობენ, საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს. ერთობ ნაყოფიერად იმუშავა ჯერ „ბოლონიაში", შემდეგ კი „კატანიაში". კარგა ხანს სწორედ „ნერაძურიში" მუშაობდა და **რობერტო მანჩინის** თანაშემწის ფუნქციებს ასრულებდა.

პრესაში აქტიურად განიხილება **რაფაელ ბენიტესისა** და **ფაბიო კაპელოს** კანდიდატურები. ესპანელი, სავარაუდოდ, წავა „ლივერპულიდან" და თუ „ინტერისგან" შეთავაზება მიიღო, ალბათ დათანხმდება კიდეც. რაც შეეხება კაპელოს, აქ ცოტა რთულად გვაქვს საქმე. ფაბიოს თქმით, საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას აღარ აპირებს და შესაძლოა, მუნდიალის შემდეგ, სულაც პენსიაზე გავიდეს. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

**ლაშა წიკლაური**

# დღეს პელეგრინის გააგდებენ

## მოურინიო წელიწადში 10 მილიონს მიიღებს

ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა - მადრიდის „რეალში" **ჟოზე მოურინიო** მიდის. ახლა ეს ტრანსფერი მხოლოდ ორი პიროვნების ექსტრავაგანტულმა ხასიათმა შეიძლება ჩაშალოს, პირველი „სამეფო კლუბის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესია**, მეორე კი თავად ჟოზე.



ჟოზე მოურინიოსა და ფლორენტინო პერესის შეხვედრა დაჯილდოების დროს

ფინალის შემდეგ პორტუგალიელმა სპეციალისტმა, რომელმაც „ინტერს" ორ წელიწადში ყველა პრიზი მოაგებინა, რისი მოგებაც შეიძლება, ცხადად თქვა: *„ჩემი სამუშაო „ინტერში" ამით დასრულებულია. ახლა მოტივაციისათვის ახალი დიდი კლუბი მჭირდება. მაგალითად, რა სჯობს „ბარსელონას" წინააღმდეგ ესპანეთის ჩემპიონატში გუნდის გამოყვანას, ეს ხომ დიდი გამოწვევაა",* - განაცხადა მოურინიომ. *„ინტერი" ყოველთვის მეყვარება, აქ მე ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რასაც ვერ ვიტყვი იტალიის საფეხბურთო გარემოზე: მწვრთნელების, პრეზიდენტების, ჟურნალისტების გამონათქვამები ხშირად ნერვებს მიშლიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იტალიურ ფეხბურთსაც მსურს მადლობა გადავუხადო - აქ გატარებულმა დრომ უკეთესი მწვრთნელი გამხადა. ახლა კი ერთი-ორი დღე მჭირდება ყველაფრის კარგად მოსაფიქრებლად, ახალი ამოცანის დასასახავად სხვა ქვეყანაში. „ინტერს" ყველაფერი გავუკეთე, რაც შემეძლო, ამიტომ თავს თავისუფლად ვგრძნობ, მე „ნერაძურის" „ვალი" აღარა მაქვს. ჩემი სურვილია სამი სხვადასხვა კლუბის თავკაცის რანგში მოვიგო ჩემპიონთა ლიგა. ჩემით მხოლოდ მადრიდის „რეალია" დაინტერესებული, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია".*

უფრო მკაფიოდ მწვრთნელს თქმა არც შეეძლო, მით უფრო, რომ „ზატ აინცთან" ინტერვიუში მან პირდაპირ დაადასტურა, რომ „რეალში" მიდის. ჟოზე თვალცრემლიანი გამოეთხოვა „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ინტერის" ტიფოზებს. მატჩის შემდეგ კი გუნდის კაპიტანმა **ხავიერ ძანეტიმ** თქვა: *„ძალიან მწყდება გული, რომ მოურინიომ „ინტერის" დატოვება განიზრახა, მაგრამ ეს მისი არჩევანია. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის არჩევანს. ვემშვიდობებით დიდებულ მწვრთნელსა და არანაკლებ პიროვნებას",* - განაცხადა არგენტინელმა, რომელმაც ფინალში მე-700-ედ მოირგო „ინტერის" მაისურა.

„ინტერის" მარჯვენა მცველმა **დუგლას მაიკონმა** მედიას თავად შეახსენა თავი და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჟოზე მოურინო „რეალში" გადავა, ის მწვრთნელს ახალ კლუბშიც გაჰყვება. *„ჯერჯერობით კონტრაქტი „ინტერთან" მაქვს, მაგრამ თუ ჟოზეს უნდა ჩემი წაყვანა, მოგვიწევს ამ თემაზე მორატისთან დალაპარაკება".*

ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც **მანუელ პელეგრინის** უკვე დღეს მოხსნიან „რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. ჩილელის აგენტი დღეს ჩავა მადრიდში, კონტრაქტის გაწყვეტის დეტალების შესათანხმებლად. კლუბი კიდევ ერთ ადამიანთან წყვეტს კონტრაქტს - ლეგენდარულ **რაულ გონსალესთან**. რაული თავის აგენტ **ხინეს კარვახალთან** ერთად შაბათს შეხვდა „რეალის" ხელმძღვანელობას. 33 წლის ფორვარდს კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებს „სამეფო კლუბთან", თუმცა „რეალის" ხელმძღვანელობამ მას ბოლო წლის გაუქმება და თავისუფალი აგენტის სტატუსით მისი გაშვება შესთავაზა ფეხბურთელსა და მის აგენტს. რაულმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. „რეალს" ალბათ ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტიც** დატოვებს, რომლის სანაცვლოდაც „მანჩესტერ იუნაიტედი" 23 მილიონ ევროს სთავაზობს ესპანურ გრანდს.

მაგრამ, მოდით, ისევ ჟოზე მოურინიოს დავუბრუნდეთ - „სანდეი თაიმსი" პორტუგალიის „რეალური" გეგმების ნაწილს გვაცნობს. მოურინიოს პირველ შენაძენად ბრაზილიელ **მაიკონს** მიიჩნევენ, ჟოზე მარცხენა მცველის ყიდვასაც აპირებს და უპირველეს კანდიდატად „ლაციოს" სერბ ფეხბურთელ **ალექსანდრ კოლაროვს** მიიჩნევენ. ნახევარდაცვაში ჟოზეს **დანიელე დე როსისა** („რომა") და **სტივენ ჯერარდის** („ლივერპული") შეძენა სურს.

„ინტერი" იმავე ღამეს გაფრინდა მილანში, ჟოზე მოურინიო კი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად მადრიდში დარჩა. ფინალის დასრულებიდან 48 საათზე ნაკლებ დროში ის „რეალთან" 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. პორტუგალიელი წელიწადში 10 მილიონ ევროს მიიღებს. მაგრამ თავად მწვრთნელი ჯერ პერესთან შეხვედრას ელის:

*„სანამ პერესს არ შევხვდები, ზუსტად არ მეცოდინება, რა სურს „რეალს", რამდენად ემთხვევა ჩვენი სურვილები ერთმანეთს. ამიტომაც ჯერ ვერ ვიტყვი, რომ „რეალის" მწვრთნელი ვარ".*

საბუკმეკერო კანტორა „უილიამ ჰილი" აღარ იღებს ფსონებს ჟოზე მოურინიოს მადრიდში გადასვლაზე...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სამწვრთნელო სვლები**

# ალეგრი თითქმის მილანში...


მასიმილიანო ალეგრი

„სქაი იტალიას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **სილვიო ბერლუსკონი** აქტიურად შეუდგა „მილანისთვის“ მთავარი მწვრთნელის ძიების პროცესს. ეს საკითხი პირად კონტროლზე აუყვანია და გუშინ პირველ კანდიდატურას - **მასიმილიანო ალეგრის** შეხვედრია.

შეხვედრის დეტალები პრესისთვის უცნობია, მაგრამ კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, დონ სილვიო მეტად კმაყოფილი დარჩენილა. ამბობენ, ბერლუსკონისა და ალეგრის მოსაზრებები ბევრ რამეში დაემთხვა ერთმანეთსო. სილვიო და მასიმილიანო დუმილს ამჯობინებენ და ჯერ-ჯერობით პრესისთვის კომენტარი არ გაუკეთებიათ. სამაგიეროდ **ადრიანო გალიანიმ** გამოიდო თავი და შემდეგი განაცხადა:

*„მწვრთნელის ძიება გრძელდება და როგორც ჩანს, დასკვნით ფაზაშია შესული. ალეგრი ძალიან კარგი სპეციალისტია და მას ყველა ის თვისება აქვს, რომელიც დიდი გუნდის გაძღოლას სჭირდება. „კალიარიში“ საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა და ის, რომ სარდინიული კლუბი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, მთლიანად ალეგრის დამსახურებაა. ერთი სიტყვით, მასიმილიანოზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელი აუცილებლად ის იქნება. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მივიღებთ“.*

ბერლუსკონის დავუბრუნდეთ, ვინც ალეგრისთან შეხვედრამდე მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა. სილვიომ **ლეონარდოს** მიერ გაწეული სამუშაო შეაფასა:

*„ლეო ძალიან კარგი ადამიანია და მას უდიდეს პატივს ვცემ. ის ნამდვილი მილანელია და ყოველთვის ჩვენი დიდი ოჯახის წევრი იქნება. რაც შეეხება მის სამწვრთნელო საქმიანობას, პოტენციალი აშკარად აქვს, მაგრამ ზედმეტად ჯიუტია. როდესაც ახალბედა ხარ და ბევრი რამე ჯერ კიდევ სასწავლი გაქვს, რჩევები აუცილებლად უნდა გაითვალისწინო. არაერთხელ ვთხოვე, რომ დაეჯერებინა ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც თვითონ თვლიდა საჭიროდ. არასწორად მიუდგა საქმეს და ამად იყო, რომ უტიტულოდ დავრჩით“.*

**ლაშა წიკლაური**


არსენალის ახალწვეული მარუან შამახი

**[illegible]**

# შამახმა თოფი დაიჭირა

„არსენალმა“ „ბორდოს“ თავდამსხმელი **მარუან შამახი** დაიმატა - შამახი თავისუფალი აგენტი გახლდათ. 26 წლის ფორვარდს ჩრდილოლონდონურ გუნდში 29 ნომრიანი მაისურა შეხვდა. „მეთოფეთა“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თქვა:

*„ძალიან გვიხარია, შამახი ჩვენთან რომ ითამაშებს. ამ ფეხბურთელის შეძენას ბოლო ხანს ძალიან ვცდილობდით, მისი თამაში მოგვწონს და გარწმუნებთ, რომ იგი „არსენალს“ დიდ ძალას შემატებს. შამახმა თავისი მაღალი კლასი ბოლო წლებში „ბორდოსა“ და მაროკოს ნაკრებში თამაშით დაამტკიცა“.*

შამახმა, რომელსაც ჟირონდელთა შემადგენლობაში 293 თამაშში 79 გოლი აქვს გატანილი, თქვა: *„მე ოცნება ამიხდა. „არსენალში“ გადასვლა უდიდესი სიამოვნებაა. მე ზოგადად ინგლისში კი არა, კერძოდ „არსენალში“ მინდოდა გადმოსვლა, რადგან ეს გუნდი ზღაპრულ ფეხბურთს თამაშობს და მე მას ბავშვობიდან ვქომაგობ. „ერთი სული მაქვს, როდის გავალ „ემირეიტ სთედიუმზე“ „მეთოფეთა“ ფანების წინაშე. ამ გარემოს შესახებ ბევრი დიდებული რამ მსმენია და მოუთმენლად ველი იმ წამს, როდესაც მეც მას ვეზიარები“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

# უდინეზე გვიდოლინს ჩააბარეს


ფრანჩესკო გვიდოლინი

იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალი სეზონიდან „უდინეზეს“ **ფრანჩესკო გვიდოლინი** გაწვრთნის. გამოცდილმა სპეციალისტმა „პარმაში“ ძალიან ნაყოფიერად იმუშავა, გუნდი სერია A-ში აიყვანა და ამ სეზონში საკმაოდ მაღალი პოზიციაც დააკავებინა. პროგრესის მთავარი შემოქმედი სწორედ გვიდოლინი გახლდათ, რადგან ემილიური კლუბი ნამდვილად არ გამოირჩევა მაღალი კლასის შემსრულებელთა სიმრავლით.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, „პარმეზანული“ კლუბის მესვეურებმა მწვრთნელის მოთხოვნა ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილეს და ფრანჩესკოს კარისკენ მიუთითეს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა უდინური კლუბის ვარიანტი და გვიდოლინსაც ბევრი აღარ უფიქრია. აი, რას ამბობს „უდინეზეს“ პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო:**

*„გვიდოლინი ადრეც მუშაობდა ჩვენთან და კარგად ვიცით მისი შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, გუნდს განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანს. განვლილი სეზონით უკმაყოფილო ვარ, რადგან სერია A-ს სატურნირო ცხრილში მხოლოდ მეთოთხმეტე პოზიცია დავიკავეთ. რაღა დაგიმალოთ და, გაცილებით ამბიციური გეგმები გვქონდა. იმედია, გვიდოლინის თავკაცობით „უდინეზე“ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდება და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს“.*

შეგახსენებთ, რომ სინიორ ფრანჩესკო უდინურ კლუბში 1998/99 წლებში მუშაობდა, ახალი კონტრაქტის მიხედვით კი „ფრიულიზე“ 2012 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩეს.

**ლაშა წიკლაური**

**ბაიერნი**

# ნერგილი დასმულია...

## რიბერიმ რეკორდმაისტერს ბედი კიდევ 5 წლით დაუკავშირა

წაგებული ფინალის შემდეგ „ბაიერნის“ ფანებს შეუძლიათ, გული ამ ინფორმაციით მაინც დაიმშვიდონ: გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ **ფრანკ რიბერი** რეკორდმაისტერში რჩება. რიბერიმ „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლამდე აქვს. ინფორმაცია „ბაიერნის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ რიბერიმ ახალ კონტრაქტს ხელი ფინალამდე მოაწერა.

*„გვიხარია, მსოფლიოში ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რიბერის სჯერა „ბაიერნის“ სამომავლო უდიდესი გეგმებისა,“* - აცხადებს მიუნხენური გრანდის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

*„ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ყველანაირ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღება. ფანებმა უნდა მაპატიონ ის, რომ გადაწყვეტილების მიღება დამიგვიანდა. ვფიქრობ, მეპატიება, რადგან ეს ჩემს კარიერაში ფაქტობრივად უკანასკნელი დიდი კონტრაქტია. ბედნიერი ვარ, რომ მიუნხენში ვრჩები,“* - ეს კი თვითონ ფეხბურთელის სიტყვებია.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რიბერის ხელფასი წელიწადში 10 მილიონი ევრო (ბრუტო) იქნება. შეგახსენებთ, რომ ფრანგი დრიბლიორი მიუნხენურ კლუბში 2007 წლიდან თამაშობს. ბუნდესლიგაში 72 მატჩში 24 გოლი აქვს გატანილი. ახალი კონტრაქტის გაფორმებით, ხანგრძლივ საპნის ოპერას ბოლო მოეღო. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში მიდიოდა ბჭობა იმის შესახებ, რომ რიბერი მადრიდის „რეალში“ გადავიდოდა.

**გოტფრიდ ლენცი**


ფრანკ რიბერი

# დი კარლო სამპდორიაში

## მაძარის ახალი კონტრაქტი შესთავაზეს

„ნაპოლიმ“ ახლად დასრულებულ სეზონში მეექვსე ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ეს ყველაფერი **ვალტერ მაძარის** დამსახურებაა, რომელმაც კრიზისში მყოფი გუნდი ჩაიბარა და წარმატებებისკენ გაუძღვა. მართალია, ნეაპოლელებს ჯერ ტიტული არ მოუგიათ, მაგრამ უმძიმესი სტარტის გათვალისწინებით, ევროსაგზურის მოპოვება ნამდვილად წარმატებაა. ეს ჯეროვნად დააფასა კლუბის პრეზიდენტმა და ვალტერს ახალი ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. აი, რას ამბობს პრესასთან საუბარში **აურელიო დე ლაურენტისი:**

*„მაძარიმ დიდი სამუშაო გასწია და შედეგიც დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. კარგა ხანს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოდით, რაც სეზონის სტარტის გათვალისწინებით, ნამდვილად გასაოცარი გახლდათ. მთავარი მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილი ვარ და რა გასაკვირია, რომ ახალი ხელშეკრულება გავაფორმეთ. ამ დღეებში დავსხდებით და სატრანსფერო პოლიტიკაზე ვიმსჯელებთ. მსურს, რომ გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდეს“.*


ვალტერ მაძარი

მაძარის ახალმა ხელშეკრულებამ ძალიან დასწყვიტა გული „სამპდორიას“ მესვეურებს. თურმე, გენუელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ვალტერთან საერთო ენას გამონახავდნენ და მისთვის ასე ნაცნობ გარემოში დააბრუნებდნენ. ეს ამბავი არ გამოვიდა და ლიგურიელებს ისღა დარჩენიათ, სხვა კანდიდატები ეძებონ. როგორც იცით, „სამპა“ **ლუიჯი დელ ნერიმ** დატოვა და ბუნებრივია, მას შემცვლელი სჭირდება.

ჟურნალისტთა მტკიცებით, ყველაზე რეალური შანსი **მიმო დი კარლოს** აქვს, რომელიც „კიევოში“ ილვწის. სახელდება სინიშა მიხაილოვიჩის კანდიდატურაც, ეს ალბათ იმ შემთხვევაში, თუ სერბმა „ინტერის“ მესვეურებთან ვერ გამონახა საერთო ენა. „სამპას“ პრეზიდენტის **რიკარდო გარონეს** თქმით, კიდევ ორი სპეციალისტის კანდიდატურა განიხილება, თუმცა მათი გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა. სავარაუდოდ, „სამპდორიას“ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

**ლაშა წიკლაური**

**ამბები**

### ჰაჯი 6 თვით მოკვეთეს

„ნანსის“ ბოლო ორი სეზონის ბომბარდირი **იუსუფ ჰაჯი** მკაცრად დასაჯეს, ფორვარდს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ჩემპიონატის ბოლო მატჩში მაროკოელი ჰაჯი „ვალანსიენთან“ მატჩში რეფერი **კრისტიან ჟილარმა** მოედნიდან გააძევა. საპასუხოდ კი ჰაჯიმ რეფერის ხელი ჰკრა. *„ასეთი ინციდენტი ფრანგულ ფეხბურთში დიდი ხანია არ გვინახავს, დამნაშავე მკაცრად უნდა დაისაჯოს“*, - განაცხადა ფრანგ მსაჯთა კომიტეტის შეფმა **პასკალ ლარიბიანმა**. 30 წლის ჰაჯი, რომელმაც ბოლო სეზონში 11 გოლი გაიტანა, 7 ნოემბრამდეა დისკვალიფიცირებული.

### ჟიბრილს არლი ეძახის

ლიგა 1-ის დებიუტანტი „არლ-ავინიონი“ ერთი ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელებას გეგმავს. კლუბის პრეზიდენტმა **ჟან-მარკ კონრადმა** განაცხადა, რომ მან უკვე შესთავაზა არლელ **ჟიბრილ სისეს**, რათა ის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდეს. ფორვარდმა, რომელიც ახლა ბერძნულ „პანათინაიკოსში“ თამაშობს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე დრო ითხოვა.

### სენტ ეტიენიდან სევილიაში

ფრანგმა ნახევარმცველმა **მუჰამადუ დაბომ** დატოვა „სენტ ეტიენი“ და თავისუფალი აგენტის სტატუსით „სევილიაში“ გადაბარგდა. „სევილიას“ ოფიციალური საიტის მიხედვით, 23 წლის ფეხბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს 1 ივლისს მოაწერს ხელს. ზუსტად ამ დღეს სრულდება დაბოს ძველი ხელშეკრულება. მცველს ნათამაშები აქვს როგორც სენეგალის, ასევე საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებებში. დაბო მეოთხე ფრანგი მცველი იქნება „სევილიაში“ **აბდულაი კონკოს**, სებასტიენ სკილაჩისა და ჟულიენ ესკუდეს შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები


ფაბიო კაპელო შონ რაიტ-ფილიპსმა გააბრაზა და...

# კაპელო: ყველას დამარცხება შეგვიძლია

**ფაბიო კაპელო** დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში შეუძლია 1966 წლის შემდეგ პირველად გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. იტალიელი მწვრთნელი ამბობს, რომ მისი მიზანი, სულ მცირე, ფინალში გასვლაა. შეგახსენებთ, რომ ინგლისელები მუნდიალს 12 ივნისს აშშ-ის ნაკრებთან თამაშით იწყებენ.

*„ჩვენ ყველა პირობა გვაქვს საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობაზე ვიფიქროთ. საკუთარი თავის, რასაკვირველია უნდა, გვწამდეს. ჩვენ არგენტინის გარდა მსოფლიოს ჩემპიონობის ფავორიტ ყველა გუნდთან ვითამაშეთ და ყოველი შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი. მერწმუნეთ, ნახსენები ნაკრებების ძალა და ფასი ძალიან კარგად ვიცი და ამის გათვალისწინებით ვაცხადებ, რომ ჩემს გუნდს ყველა მათგანის დამარცხება შეუძლია. ფეხბურთელებიც ზუსტად ასეთივე ჭკუაზე არიან. გამარჯვებისთვის კი საკუთარი თავის რწმენა აუცილებელია. ჩემი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშია და ამისათვის ვცდილობ ბიჭებს გამარჯვებული კაცის მენტალიტეტი ყოველდღიური მუშაობით ჩამოვუყალიბო".*

რაც ინგლისის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა, კაპელომ ესპანეთთან, ბრაზილიასა და საფრანგეთთან წააგო, მაგრამ ამბობს, რომ ამ წაგებებმა ჭკუა ასწავლა და იქ დაშვებულ შეცდომებს ინგლისელი ფეხბურთელები სამხრეთ აფრიკაში ჯგუფიდან გასვლის შემდეგ, პლეი ოფში გაითვალისწინებენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

საფრანგეთის ნაკრები

# ლასანა მუნდიალზე ვერ წავა

საფრანგეთის ნაკრებს სამუნდიალო სამზადისიდან მოულოდნელად მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი **ლასანა დიარა** გამოაკლდა. საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება ალპებში, დაბა ტიუნეში დაიწყო. იქ კი ლასანამ თავი შეუძლოდ იგრძნო. ნაკრების ექიმთა დასკვნით, დიარას ავადმყოფობა მაღალმთიანეთში ვარჯიშმა გამოიწვია, ახლა მას დასვენება სჭირდება, თანაც გაურკვეველი ვადით. სწორედ ამიტომ **რაიმონ დომენეკმა** მიიღო გადაწყვეტილება ლასანას შემადგენლობიდან ამოგდების შესახებ.

ვინ შეცვლის დიარას? ეს კითხვა საფრანგეთში ბევრს აღელვებს, თუმცა დომენეკის პერსონისგან გამომდინარე მოულოდნელ გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ. ლოგიკურად, დიარას ნაცვლად **პატრიკ ვიეირას** ნაკრებში დაბრუნება მიიჩნევა, თუმცა მწვრთნელი ალბათ უფრო **იან მვილას** („რენი") ან **ჰატემ ბენ არფას** („მარსელი") უხმობს. არ არის გამორიცხული, რომ დომენეკმა საერთოდ არავის დაუძახოს, გასულ კვირაში მან 24-კაციანი სია გამოაქვეყნა, ახლა კი ფეხბურთელთა რაოდენობა ბუნებრივად დავიდა 23-ამდე. თუმცა დომენეკმა 23-ის ნაცვლად 24 ფეხბურთელი **ვილიამ გალასის** გამო დაასახელა, გალასი ტრავმირებულია და თუკი ის გამოჯანმრთელებას მოასწრებდა, დომენეკი რომელიმე სხვა ფეხბურთელს ამოიღებდა სიიდან, თუ არადა, თავად არსენალელს შეელეოდა, ლასანას ავადმყოფობამ კი ფრანგთა გურუს გეგმები აუწენა.


დომენეკი და დიარა

*„ლასანა ჩვენთან ძალზე გადაღლილი და გამოფიტული მოვიდა, ხოლო დაავადება მას ზღვის დონიდან მაღალი კლიმატის გამო გაუმიზეზდა. ორი კვირის განმავლობაში მან საფუძვლიანად უნდა დაისვენოს. ავადმყოფობა მის კარიერას საფრთხეს არ შეუქმნის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის დასრულებულია. ჩვენ ახლა 23 ფეხბურთელი გვყავს, წავიყვან თუ არა ზუსტად ამ ხალხს, ჯერ მეც არ ვიცი, 1 ივნისამდე დრო მაქვს"*, - განაცხადა რაიმონ დომენეკმა.

25 წლის ლასანა დიარა 2005 წელს „ჩელსიმ" შეიძინა, შემდეგ მან „არსენალში" და „პორტსმუთსა" ითამაშა, 2009 წლის იანვარში კი დიარა 20 მილიონ ფუნტ სტერლინგად მადრიდის „რეალში" გადავიდა. საფრანგეთის ნაკრებში დაცვითი ტიპის ნახევარმცველს 27 თამაში აქვს გამართული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დევიდ ბექჰემმა ინგლისელი ჯარისკაცები მოინახულა

აქცია

# ბექჰემი ავღანეთში

**დევიდ ბექჰემმა** ავღანეთში წარგზავნილ ინგლისელ ჯარისკაცებს ჩააკითხა. მსოფლიო ფეხბურთის დაშავებული მეგავარსკვლავის მხრიდან, მუნდიალის წინ, სადაც ის **ფაბიო კაპელოს** ერთ-ერთ ასისტენტად მიემგზავრება, ეს პატივისცემის გამოხატვა იყო.

„ლოს ანჯელეს გალაქსის" დაშავებულმა ნახევარმცველმა ჰელმანდის პროვინციაში დაბანაკებულ ბრიტანელ სამხედროებთან გადაიღო სურათები და ავტოგრაფებიც ბლომად არიგა. როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, მიზანში გარტყმა ბექჰემს არსდროს ეშლებოდა, მაგრამ იქ, ავღანეთში, ბიჭებმა მისთვის უჩვეულო მოწყობილობიდან ასწავლეს დამიზნება და სროლა. ვარსკვლავთ-ვარსკვლავი მძიმე ტექნიკითაც ატარეს. მან სამხედროებს ასე მიმართა:

*„აქ გუშინაც მოკლეს ერთი ჩვენი ჯარისკაცი. თქვენ ეს ნახეთ, დროშა ნახევრად დახარეთ და საკუთარი მხრებით ატარებთ აქაურ ტვირთს. ძალიან აღელვებული ვარ თქვენთან სტუმრობით ვფიქრობ, მთავარია სამშობლოდან საყოველთაო სიყვარულს გრძნობდეთ".*

შემდეგ ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი მოსაზრება: *„აქ სამსახური ნამდვილად სახიფათოა. ეს ბიჭები მეტისმეტად გულადები არიან. ასეთი ვაჟკაცები ცხოვრებაში არ მინახავს და გულწრფელად გეუბნებით, რომ ჩემთვის აქ ყოფნა დიდი პატივია".*

ბექჰემმა ინტერვიუ მისცა ბრიტანული არმიის საინფორმაციო სააგენტოსაც: *„აქ ერთი ღამით დავრჩი და მინდა გითხრათ, რომ გაცილებით მეტი გამოცდილება მივიღე, ვიდრე წარმომედგინა. ჩვენი ჯარის მორალური სახის ნახვა სასიამოვნო და საამაყოა. ყველაზე მეტად ავღანეთში გაშლილ ამ სამხედრო ბანაკში სწორედ ამან მიიპყრო ჩემი ყურადღება. უყურებ ამ ბიჭების სახეებს და ხვდები, რომ მათ ოჯახებთან განშორება კი უჭირთ, მაგრამ თავიანთ საქმეზე არიან ვაჟკაცურად გადართული და მობილიზებული. ისინი ყოველ წუთს მზად არიან ბრძოლისათვის".*

ბექჰემმა ბანაკში თავისი დღე ჯარისკაცური საუზმით დაიწყო, შემდეგ კი კითხვა-პასუხში მიიღო მონაწილეობა და საავადმყოფოც მოინახულა.

**ილია ბაბუნაშვილი**

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-თურქეთი | 1:2 |
| ხორვატია-უელსი | 2:0 |

## ინგლისი

**ჩემპიონატი. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ბლეკპული-კარდიფი | 3:2 |

## იტალია

**სერია B**

XLI ტური

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-პადოვა | 1:2 |
| ასკოლი-ფროზინონე | 1:2 |
| ბრეშია-სალერნიტანა | 3:0 |
| ჩეზენა-მოდენა | 2:1 |
| ჩიტადელა-კროტონე | 3:0 |
| გალიპოლი-პიაჩენცა | 1:4 |
| გროსეტო-რეჯინა | 2:2 |
| მანტოვა-ტორინო | 0:0 |
| სასუოლო-ემპოლი | 3:2 |
| ტრიესტინა-ანკონა | 2:1 |
| ვიჩენცა-ლეჩე | 0:0 |

**სერია C1/A. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| არეცო-კრემონეზე | 0:2 |
| ბენევენტო-ვარეზე | 2:2 |

**სერია C1/A. პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| პაგანეზე-ვიარეჯო | 1:1 |
| პრო პატრია-პერგოკრემა | 2:2 |

**სერია C1/B. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| რეჯინა-პესკარა | 0:0 |
| რიმინი-ვერონა | 0:1 |

**სერია C1/B. პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ჯულიანოვა-ანდრია | 1:1 |
| პემინა-ფოჯა | 1:2 |

## ესპანეთი

**II დივიზიონი**

XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| ელჩე-ხირონა | 4:0 |
| ალბასეტე-კორდობა | 3:0 |
| კარტახენა-ლევანტე | 3:5 |
| კასტელონი-უესკა | 1:2 |
| სელტა-ლას პალმასი | 1:0 |
| რეალ უნიონი-ნუმანსია | 4:3 |
| რაიო ვალეკანო-სალამანკა | 0:0 |
| ვილიარეალი B-ხიმნასტიკი | 1:0 |
| კადისი-მურსია | 1:0 |
| რეკრეატივო-ერკულესი | 0:0 |
| ბეტისი-სოსიედადი | 1:0 |

## ბელგია

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ეუპენი-მონსი | 2:1 |
| ლომელი-რუზელარე | 4:1 |

## ფინეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| იევასკილა-ჰონკა | 0:1 |
| ვაასა-კუოპიო | 2:0 |
| მარიეჰამნი-იარო | 0:0 |

**II დივიზიონი**

V ტური

ოპს-პამეენლინა 1:2; ტპვ ტამპერე-კპვ 0:4; ესპოო-პოპა 1:0; კოტეპე-კლუბი 04 3:0; მიკელი-კემი 0:0; როვანიემი-პკ35 3:0; ვიიკინგიტი-იიპო 2:2.

## ირლანდია

**II დივიზიონი**

XIII ტური

| | |
|---|---|
| მერვე-ეთლონი | 1:0 |

## ნორვეგია

**II დივიზიონი**

VIII ტური

| | |
|---|---|
| მოსი-ფრედრიქსტადი | 2:5 |

## შვედეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-მიალბიუ | 1:2 |
| იურგორდენი-გეფლე | 1:1 |
| ჰაკენი-კალმარი | 1:1 |
| ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი | 2:1 |
| ტრელებორგი-გაისი | 2:0 |

**II დივიზიონი**

VIII ტური

დეგერფორსი-ასირისკა 2:1; ლიუნგსკილე-ნორჩოპინგი 2:1; ოსტერსი-ფალკენბერგი 0:1; სირიანსკა-ტროლჰატანი 3:0; ვასბი-ბრაგე 1:0.

## თურქეთი

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ადანა-ქარშიაკა | 2:2 |
| ალთაი-კონია | 2:2 |

## ბელარუსი

XI ტური

| | |
|---|---|
| დნეპრი-ბელშინა | 1:3 |
| პარტიზანი-ნემანი | 0:4 |

## ბელარუსის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბატე-ტორპედო | 5:0 |

## ბოსნია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ოლიმპიკი | 0:2 |
| მოდრიჩა-ტრავნიკი | 0:2 |
| ზვიეზდა-შიროკი ბრიეგი | 1:1 |
| რუდარი-სარაევო | 2:2 |
| სლავია-ლეოტარი | 2:0 |
| სლობოდა-ველეჟი | 2:0 |
| ჟელეზნიჩარი-ლაქტაში | 4:1 |
| ზრინსკი-ჩელიკი | 2:0 |

## ჩეხეთი

**II დივიზიონი**

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| იელავა-ტრშინეცი | 4:2 |
| ჰლაშიმი-ვიტკოვიცე | 0:2 |
| ზლინი-ოპავა | 2:0 |
| ვიქტორია-სპარტა II | 2:2 |
| ჰრადეცი-დუკლა | 1:0 |
| კარვინა-სოკოლოვი | 2:2 |

## უნგრეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-ნირედიაზა | 4:3 |
| ჰონვედი-ფერენცვაროში | 2:0 |
| დიოშდიორი-მტკ | 2:5 |
| დიორი-ვიდეოტონი | 1:0 |
| ჰალადაში-პაკში | 4:0 |
| კეჩკემეტი-დებრეცენი | 1:0 |
| ლომბარდ პაპა-კაპოშვარი | 3:1 |
| უიპეშტი-ვაშაში | 1:0 |

## მოლდოვა

XXII ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ნისტრუ | 6:0 |
| დინამო-ისკრა | 1:1 |
| აკადემია-ზიმბრუ | 0:2 |
| სფინტულ-შერიფი | 0:2 |
| ვიიტორული-ოლიმპია | 2:0 |
| ტირასპოლი-დაჩა | 0:2 |

## პოლონეთის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| პოგონი-იაგელონია | 0:1 |

## რუმინეთი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ქლუჯი | 2:4 |
| ტიმიშოარა-ბრაშოვი | 1:2 |
| ვასლუი-დინამო | 2:0 |
| ინტერნაციონალი-სტიაუა | 0:2 |
| პოლიტეხნიკა-უნირეა (უ) | 1:2 |
| რაპიდი-გლორია | 2:1 |
| უნირეა (ა)-პანდური | 0:1 |
| უნივერსიტატეა-ოცელული | 3:0 |
| ასტრა-გაზ მეთანი | 0:0 |

## არგენტინა

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| როსარიო-ოლ ბოისი | 0:3 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ატლ. რაფაელა | 3:1 |

## ბრაზილია

III ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-გოიაში | 3:0 |
| ატ. გოიანიენსე-სანტოსი | 1:2 |
| პალმეირასი-გრემიო | 4:2 |
| ატ. მინეირო-ატ. პარანაენსე | 3:1 |
| სეარა-ვიტორია | 1:0 |
| კორინთიანსი-ფლუმინენსე | 1:0 |
| ინტერნასიონალი-სან პაულუ | 0:2 |

## ეკვადორი

XV ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ესპოლი | 2:3 |
| ინდეპენდიენტე-ემელეკი | 0:0 |
| დეპ. კუენკა-მანტა | 0:0 |
| დეპ. მაკარა-დეპ. კიტო | 1:2 |
| ოლმედო-ნასიონალი | 2:1 |

## პერუ

XV ტური

| | |
|---|---|
| სპ. კრისტალი-სენსიანო | 0:1 |
| სესარ ვალეხო-ალ. ატლეტიკო | 3:0 |
| ქ. ნასიონალი-ხუან აურიჩი | 0:1 |
| სპორტი-ლეონი | 3:2 |
| ტოტალ ჩალაკო-ალ. ლიმა | 0:1 |
| მელგარი-სან მარტინი | 1:4 |

## მექსიკა

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ტოლუკა-სანტოსი | 0:0 პენ. 4:3 |

## აშშ

IX ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-ნიუ ინგლენდი | 1:0 |
| სიეტლი-სან ხოსე | 0:1 |
| ჰიუსტონი-დი სი იუნაიტედი | 2:0 |
| ჩივასი-სოლტ ლეიკი | 1:2 |
| კანზასი-კოლამბუსი | 0:1 |

## იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| ტოკიო-ნიიგატა | 1:0 |
| კიოტო-სერეზო | 2:1 |
| ნაგოია-ომია | 1:3 |
| შონანი-ურავა | 1:2 |
| შიმიძუ-იოკოჰამა | 0:0 |
| იამაგატა-კობე | 1:0 |

# MILITO... MILITO... FINITO!!!

## 45 წლის შემდეგ საფეხბურთო ევროპის ცა კვლავ შავ-ლურჯ ფერებში შეიღება

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

**ბაიერნი–ინტერი 0:2**

**ბაიერნი (4-2-2-1-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, ჰამით ალტინთოფი (63. კლოზე) - თ. მიულერი - ოლიჩი (74. გომესი).

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (68. სტანკოვიჩი) - ხ. ძანეტი, კამბიასო - ეტო'ო, სნეიდერი, პანდევი (79. მუნტარი) - დ. მილიტო (92. მატერაცი).

**გოლები:** 0:1 დ. მილიტო (35), 0:2 დ. მილიტო (70)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 74 954

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დიეგო მილიტო (ინტერი)

### საინტერესო მომენტების სტენოგრამა

**10'** - „ბაიერნის“ შეტევა მარჯვენა ფლანგიდან. **არიენ რობენმა კრისტიან კივუ და ვალტერ სამუელი** დაჯაბნა და საჯარიმოსკენ გაისროლა, სადაც **ივიცა ოლიჩი** შეეცადა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ ააცილა.

**23'** - **თომას მიულერმა** საჯარიმოს ხაზთან ბურთი არტისტულად დაამუშავა, მაგრამ **ლუსიომ** ივაჟკაცა და სახიფათო მომენტი განმუხტა, თუმცა არა ისე, როგორც საჭირო იყო, რადგან ბურთი რობენს მიუვიდა, რომელმაც 15 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი მილანელთა კარს ზემოდან გადააცილა.

**35' - 0:1** - **ჟულიო სეზარის** გრძელი პასი **დიეგო მილიტოს** მისამართით, „ინტერის“ ფორვარდმა ბურთი თავით გადააწოდა **სნეიდერს**, „ბაიერნის“ მცველი **მარტინ დემიკელისი** სიტუაციიდან ამოვარდნილია, სნეიდერი ბრწყინვალე პასით ბურთს მილიტოს უბრუნებს, ეს უკანასკნელი კი **ჰანს-იორგ ბუტთან** პირისპირ რჩება და რეკორდმაისტერის მეკარეს მოგერიების შანსს არ უტოვებს.

**43'** - მილანელთა კონტრშეტევა მარცხენა ფლანგიდან, მილიტოს გამჭოლი პასი საჯარიმოში, სნეიდერი ბურთს თერთმეტმეტრიანის ნიშნულის სიახლოვეს ხვდება და შეუძლია, მშვიდად ამოირჩიოს კუთხე, რომელშიც დაარტყამს, მაგრამ ბურთს არა რომელიმე კუთხისკენ, არამედ შუაში გზავნის, იქ კი ბუტი დგას მოწოდების სიმაღლეზე და დარტყმას იგერიებს.

**46'** - ოლიჩის შესანიშნავი პასი **ჰამით ალტინთოფს**, თურქი ნახევარმცველი საჯარიმოს გვერდითა ხაზიდან შესანიშნავ პასს უკეთებს საჯარიმოში შეჭრილ მიულერს, რომლის წინ მხოლოდ მეკარე სეზარია დარჩენილი, მაგრამ მიუნხენური კლუბის ახალგაზრდა თავდამსხმელი 14 მეტრიდან უხეიროდ ურტყამს. სეზარი იგერიებს.

**47'** - ისევ მილანელთა კონტრშეტევა, მილიტოს პასი **პანდევის** მისამართით, მაკედონიელის შესანიშნავი დარტყმა, მაგრამ „ბაიერნის“ მეკარე ბუტი მოწოდების სიმაღლეზეა.

**70' - 0:2** - „ნერაძურის“ შესაშური, სამაგალითო კონტრშეტევა! **ეტო'ო** ცენტრში მილიტოს პოულობს, რომელიც **დანიელ ვან ბუიტენს** ატყუებს და დაახლოებით 11 მეტრიდან ურტყამს - ბუტი უშანსოდაა, ბურთი კი „ბაიერნის“ კარში.

### ანალიზი

ახლა, როცა ყველაფერი დამთავრებულია, ჩემპიონთა ლიგის თასი მილანშია და „ბაიერნის“ ქომაგებს გულს უფრო მეტად ველარ დავწყვეტთ, გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ვთქვათ: ჩემპიონთა ლიგა „ინტერს“ უნდა მოეგო. გულზე ხელის დადება კი იმისთვის გვჭირდება, რომ ემანდ, თვალები არ დაგვეხუჭოს **მიროსლავ კლოზეს** უკვე ათასჯერ გადამღერებულ გოლზე „ფიორენტინას“ კარში, „ბაიერნის“ იღბლიანობაზე როგორც ფლორენციულ კლუბთან, ისე „მანჩესტერ იუნაიტედთანაც“ და რაც ყველაზე მთავარია, არ დაგვავიწყდეს, რომ „ინტერმა“ მოკლა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) „ჩელსი“ და მოკლა „ბარსელონა“.


მილიტო ხსნის ანგარიშს

**ჟოზე მოურინიოს** გუნდის ტრიუმფი აბსოლუტურად ლოგიკურია. „ბაიერნის“ ტრიუმფი კი, მართალია, რეკორდმაისტერის ქომაგებს არაამქვეყნიურად გაახარებდა, მაგრამ ნაკლებად ლოგიკური იქნებოდა. მიუნხენური გრანდის ფანები ალბათ იტყვიან, ნუ გადაგვაყოლეთ კლოზეს იმ ერთ გოლს, მსაჯების უფრო უტიფარი შეცდომებიც გვინახავსო, მაგრამ კლოზეს ის გოლი აქ მხოლოდ ერთი კომპონენტია. სხვა კომპონენტები? „ინტერის“ დაცვამ მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალედ, თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „ბაიერნის“ დაცვის ხაზზე. სხვა მატჩებს რომ თავი დავანებოთ, ფინალში დანიელ ვან ბუიტენმა დიეგო მილიტოს მეტისმეტად დაამცირებინა თავი.

ზემოთ იღბალი ვახსენეთ. მართალია, მხოლოდ ძლიერებსა და ღირსეულებს უმართლებთ, მაგრამ „ინტერის“ არც ერთი გამარჯვება არ იყო ფორტუნას დამსახურება. მოურინიოს გუნდმა იდეალურად შემუშავებული კონცეფცია ყველა მნიშვნელოვან მატჩში ბოლომდე უშეცდომოდ შეასრულა და ლოგიკას მიჰყვა. „ბაიერნი“ და **ლუის ვან გაალის** შემტევი, სანახაობრივი სტილი კი, შეიძლება, ბევრ ნეიტრალურ ქომაგსაც ესიმპათიურებოდა, მაგრამ გავიხსენოთ „ფიორენტინა“ (2:1, 2:3), გავიხსენოთ „მანჩესტერი“ (2:1, 2:3), გავიხსენოთ არიენ რობენის გოლები და ყველანი დავრწმუნდებით, რომ ლოგიკური „ინტერის“ ტრიუმფი უფრო იყო, ვიდრე „ბაიერნისა“ იქნებოდა.

გერმანელებს ყველაფერში გადამეტება სჩვევიათ. ფინალამდე ოთხი დღით ადრე, საფეხბურთო გერმანია იმაზე ბჭობდა, იქნებ, ეს „ბაიერნი“ ყველა დროის საუკეთესოაო. მერე გამოვიდა იმ „მართლა დიდი“ **ბეკენბაუერ-ბრაიტნერ-გერდ მიულერის** დროინდელი „ბაიერნის“ თავკაცი **უდო ლატეკი** და თქვა, ჯერ ფინალი მოიგეთ, ჩვენ სამი ეგეთი გვაქვს მოგებულიო. პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ამბობდა, რომ დღევანდელი „ბაიერნი“ გაცილებით შემოქმედი გუნდია, ვიდრე 2001 წლისა, როცა მიუნხენელებმა უკანასკნელად მოიგეს ჩემპიონთა ლიგა. შესაძლოა, ასეც იყოს და ულის ბევრი დაეთანხმოს იმაში, რომ რობენრიბერის „ბაიერნი“ მართლაც სჯობია **ეფენბერგ-კან-შოლ-ელბერის** „ბაიერნს“ (პირადად მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები), მაგრამ ნაადრევი იყო, ნაადრევი ამის ლაყბობა...

ფინალში კი ვიხილეთ „ბაიერნი“, რომელმაც ზედმეტად „დიდი პატივი სცა“ მოურინიოს და მის „ინტერს“. მაგრამ იყო კი თავს ზემოთ ძალა? საკითხავი, აი, ეს არის! ჩემი პასუხი: არ იყო! ამ „ინტერის“ დამარცხება თვით „ბარსელონამაც“ ვერ შეძლო და პატარა სასწაული უნდა მომხდარიყო, „ბაიერნს“ რომ მოეხერხებინა.

### მილიტო: მთავარი შემოქმედი მოურინიოა!

*„სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ყველაზე მთავარი: „ინტერს“ ჩვენი თამაში თავზე ვერ მოვახვიეთ. იმისათვის, რომ „ინტერის“ დაცვის ხაზი გაარღვიო, გაცილებით მეტი რამ არის საჭირო. რას ვიზამთ, ჩვენც ადამიანები ვართ. ჩვენ ვუტევდით, „ინტერი“ კი მხოლოდ რეაქციით თამაშობდა. თავდაცვა კი, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია, ვიდრე შეტევა. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ „ინტერის“ გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. გადამწყვეტი როლი ითამაშა იმანაც, თუ რომელ წუთებზე გაიტანა „ინტერმა“ გოლები,“* - ასეთი იყო ვან გაალის მატჩის შემდგომი კომენტარი.

მილანელთა დამრიგებელი მოურინიო კი, ამ გამარჯვებით უკვე ისეთ მწვრთნელებს გაუთანაბრდა, როგორებიც არიან მაგალითად **ერნსტ ჰაპელი, ოტმარ ჰიტცფელდი, კარლო ანჩელოტი** - რომლებსაც ასევე ორ-ორჯერ აქვთ ჩემპიონთა თასი მოგებული. მატჩის შემდეგ კი ჟოზემ ოფიციალურად დაადასტურა ის, რასაც ყველა გრძნობდა - პორტუგალიელი მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალს“ გაწვრთნის. „ბაიერნმა“ 1982, 1987 და 1999 წლების შემდეგ, ჩემპიონთა თასის ფინალი მეოთხედ წააგო. „ინტერმა“ კი არსებობის ისტორიაში მესამედ (1964, 1965) შეძლო ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე ძვირფასი თასის მოგება.

**დიეგო მილიტო:** *„უბედნიერესი ადამიანი ვარ. ბავშვობის ოცნება ამიხდა. ჩვენი გამარჯვების მთავარი შემოქმედი ჩვენი მწვრთნელია. სიტყვები არ მყოფნის იმისათვის, რომ ჟოზე მოურინიოს მადლობა გადავუხადო. ჩემპიონთა ლიგა პირველ რიგში ჟოზემ მოიგო და მხოლოდ ამის მერე ჩვენ! მან მთელი წლის განმავლობაში ფასდაუდებელი სამუშაო გასწია!“*

**ჟოზე მოურინიო:** *„ორივე გუნდი გამარჯვებულია, ორივემ კარგად ითამაშა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გოლი პირველივე ტაიმში გავიტანეთ. მეორე ტაიმში კი ცოტა გაგვიმართლა კიდეც.“*

### ტაქტიკა, შემადგენლობები

თუ არ ჩავთვლით რიბერის დისკვალიფიკაციას, ვან გაალმა საუკეთესო შემადგენლობა ათამაშა. ფრანგი დრიბლიორი კი თურმა ჰამით ალთინთოფმა შეცვალა. რეკორდმაისტერმა თავიდან ბოლომდე ნაცადი 4-2-2-1-1 სქემით ითამაშა.

მოურინიომ კი 4-2-3-1 ტაქტიკა აირჩია - სქემა, რომელსაც „ინტერი“ მთელი სეზონის განმავლობაში ყველაზე ხშირად იყენებდა. ჟოზემ, დისკვალიფიცირებული **ტიაგო მოტას** ნაცვლად, სასტარტო შემადგენლობაში **კრისტიან კივუ** გაამწესა. ოღონდ, ამ უკანასკნელს საყრდენი ნახევარმცველის ადგილი არ დაუკავებია. მოურინიომ მოტას პოზიციაზე **ხავიერ ძანეტი** ასწია, კივუმ კი არგენტინელის ადგილი დაიკავა - დაცვის მარცხენა ფლანგზე.

### საუკეთესო ფეხბურთელი

მატჩში სულ ორი გოლი გავიდა და ორივე ერთი ფეხბურთელის, დიეგო მილიტოს ანგარიშზეა. ასეთ ვითარებაში, დუბლის ავტორის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება ყველაზე მარტივი გამოსავალია, მაგრამ ეს ფინალი იყო, ფინალში კი, დუბლს კი არა, ერთ გოლსაც ოქროს ფასი აქვს ხოლმე. მილიტომ ორი ასეთი გოლი გაიტანა. გოლებს რომ თავი დავანებოთ, მილიტოზე გაცილებით პროდუქტიულები იყვნენ **ვესლი სნეიდერი** და **ესტებან კამბიასო.** ჰოლანდიელი ყველა ასპექტში იდეალური გახლდათ, არგენტინელმა კი ჩამშლელი ნახევარმცველის ფუნქციები შეასრულა სრულყოფილად, მაგრამ დაგვერწმუნეთ, გუშინ და დღეს მსოფლიოს ყველა სპორტულ გამოცემაში სიხარულისგან გადარეული მილიტოს ფოტოები ჭარბობს, რაც იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი საუკეთესო იყო.

### იმედგაცრუება

**ივიცა ოლიჩისგან** სასწაულებს არ ველოდით, რადგან არაერთხელ გვითქვამს, რომ ის „სხვანაირი“ ფეხბურთელი, „სხვანაირი“ თავდამსხმელია. ხორვატმა ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგაში, ფინალამდე შვიდი გოლის გატანა შეძლო, აი, ფინალში კი საერთოდ არ ჩანდა. ლუსიომ და სამუელმა ოლიჩს აბსოლუტურად არაფერი გააბედვინეს და ივიცას კარში ერთხელაც კი არ დაურტყამს. მართალია, შავ სამუშაოს ასრულებდა და ბურთს ენაგადმოგდებული ხშირად საკუთარ საჯარიმომდეც ჩაჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ეს უბრალოდ არ იყო ოლიჩის საღამო.


მიულერი და ლუსიო

## დასკვნა

მაშ ასე: 2010 წელს ევროპა „ინტერისაა“, „ბაიერნის“ ოცნება კი, შეესრულებინა ჰეთ-თრიკი, დაიმსხვრა. მილანური კლუბის გამარჯვება დამსახურებულია. „ნერაძურიმ“ თითქმის ყველა ასპექტში აჯობა რეკორდმაისტერს.

მოურინიოს გუნდმა დაცვაში კომპაქტური დგომითა და გამოჭერაზე თამაშით „ბაიერნი“ აიძულა, დაეშვა ის შეცდომები, რაც მიუნხენური კლუბისთვის საბედისწერო გამოდგა. იმისათვის, რომ ბურთი შეენარჩუნებინათ, ვან გაალის შეგირდებს ზედმეტად ხშირად უწევდათ პასის უკან გაკეთება. შეტევებზე სერიოზულად მხოლოდ მიუნხენელები ფიქრობდნენ, მილანელები კი მორჩილად ელოდებოდნენ თავიანთ შანსს. „ბაიერნი“ მეტწილად მარჯვენა ფრთიდან უტევდა, სადაც მეტ-ნაკლებად კარგად მოქმედებდნენ რობენი და **ლამი**. მაგრამ რეკორდმაისტერის ჰოლანდიელ გარემარბს კივუ და პანდევი კარგად მეურვეობდნენ და ხანდახან მათ კამბიასოც ეხმარებოდა. აი, ასე გააუვნებელყვეს მილანელებმა „ბაიერნის“ მთავარი ფიგურა. ყველაფერთან ერთად, „ბაიერნს“ შეტევაში დინამიკა აკლდა. მიუნხენელთა ცენტრალური ნახევარმცველები, **შვაინშტაიგერი** და **ვან ბომელი** მეტწილად გვერდით გაკეთებული პასებით შემოიფარგლებოდნენ. ისინი ამაოდ ეძებდნენ ხვრელებს „ინტერის“ დაცვის შუა ხაზში.

მეორე ტაიმში „ბაიერნმა“ ზეწოლა გააძლიერა - აგებდა და იმიტომ. და არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, **თომას მიულერს** ბრწყინვალე შანსი რომ გამოეყენებინა და ანგარიში გაეთანაბრებინა. როცა ვან გაალი მიხვდა, რომ არსებული ბერკეტებით არაფერი გამოვიდოდა, აბსოლუტურად გაუვნებელყოფილი ოლიჩი **მარიო გომესით** შეცვალა, მანამდე კი თამაშში **კლოზეც** ჩართო, რითაც წინა ხაზის გაძლიერება სცადა, მაგრამ უშედეგოდ - არც გომესს და არც კლოზეს არანაირი ფხა არ გამოუჩენიათ.


მოურინიო და ვან გაალი

მოურინიოს გუნდი კი მარტივად თამაშობდა - თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. დაეუფლებოდნენ თუ არა მილანელები ბურთს, მაშინვე ეძებდნენ ცენტრში მილიტოს, ფლანგებზე ეტო'ოს ან პანდევს, უფრო ახლოს კი სნეიდერს. „ინტერი“ ძალიან სწრაფად გადადიოდა დაცვიდან შეტევაში. იდეალურად მოქმედებდა სნეიდერი, რომელიც ყველა ბურთს რბილად ამუშავებდა და შეტევებს ყველაზე სასარგებლო მიმართულებებს აძლევდა. მილიტომ კი მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან ანერვიულა „ბაიერნის“ ცენტრალური მცველები - დემიკელისი და ვან ბუიტენი. ვან გაალს მომავალი სეზონისთვის აშკარად უკეთესი უკანახაზელები სჭირდება, მაგრამ ყველაფერი დაცვას არ უნდა დავაბრალოთ. ფაქტია, მიუნხენურმა კლუბმა მთელი მატჩის განმავლობაში ვერც ერთხელ შეძლო რეალური დომინანტის რანგში ყოფნა. „ინტერმა“ კი თავისი ფეხბურთი ითამაშა, საკუთარი კარის მისადგომები იდეალურად გადაკეტა, მეტოქე აიძულა, შეცდომები დაეშვა, ეს შეცდომები ბრწყინვალედ გამოიყენა და არსებობის ისტორიაში პირველად შეასრულა ჰეთ-თრიკი. ამრიგად, ჩემპიონთა ლიგაში იტალიიდან გაისადაც ოთხი გუნდი გავა, ბუნდესლიგამ სერია A-ს ადგილი ვერ წაართვა.

ბრავო, ჟოზე! მილანის „ინტერი“ თითქმის ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონია! 45 წლის შემდეგ, საფეხბურთო ევროპის ცა ისევ შავ-ლურჯ ფერებში შეილება.

**გოტფრიდ ლენცი**


ტოლდო და ძანეტი

იტალიური პრესის გა...

# ინტერი უკვე ლეგენდაა!

*„კორიერე დელო სპორტი“: „მოურინიო ტირის და გვემშვიდობება! ეს იყო ფანტასტიკური „ინტერის“ საღამო, რომელსაც დიადი გამარჯვება დიეგო მილიტოს ბრწყინვალე დუბლმა მოუტანა. მთავარი ტრიუმფატორი კი არაჩვეულებრივი ადამიანი და მწვრთნელი, ჟოზე მოურინიოა, რომელმაც ევროპას „ინტერის“ არსებობის შესახებ შეახსენა.“*


La Gazzetta Sportiva
SOLOINTER
Milito schianta il Bayern. Mou lacrime e addio


CORRIERE DELLA SERA
LA GRANDE INTER E' RINATA
Pensioni e sanità, niente tagli

„გაძეტა დელო სპორტის“ კვირის გამოცემის (ლა გაძეტა სპორტივა) და „კორიერე დელა სერას“ პირველი გვერდები

*„ტუტოსპორტი“: „ინტერმა“ ევროპა დაიპყრო. დიეგო მილიტოს დუბლმა ლუის ვან გაალი გაასამართლა, ჟოზე მოურინიოს კი სამუდამოდ დაუმკვიდრა ადგილი საფეხბურთო მატიანეში. „ნერაძურიმ“ ჰეთ-თრიკი შეასრულა და ახლა უკვე ლეგენდარული გუნდია.“*

*„გაძეტა დელო სპორტი“: „ინტერმა“ ჰეთ-თრიკი მმმ-ის წყალობით შეასრულა: მორატი-მოურინიო-მილიტო. აუფ ვიდერზეენ, „ბაიერნ“! პირველ ნახევარ საათში კიდევ იფიქრებდა კაცი, რომ „ბაიერნი“ „ინტერს“ პრობლემებს შეუქმნიდა, მაგრამ მერე გამოჩნდა „ინდიანა ჯონსი მილიტო“ და გერმანელებმაც კაპიტულაცია გამოაცხადეს!“*

*„რეპუბლიკა“: „ინტერის“ ტრიუმფალური საღამო, მაგრამ მოურინიო მილანიდან მიდის! ჟოზე „ნერაძურის“ ქომაგებს ცრემლებით და დიდი გამარჯვებით, მეფესავით ეთხოვება და ახალი თავგადასავლების საძიებლად, მადრიდის „რეალში“ მიდის.“*

*„კორიერე დელა სერა“: „დიეგო მილიტოს დუბლი და მილანის „ინტერი“ უკვე ლეგენდაა! „ბაიერნმა“ იტალიის ჩემპიონს ვერაფერი დაუპირისპირა. არიენ რობენი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ შაბათს ის მარტო იყო, აბსოლუტურად მარტო. „ინტერი“ კი სრულყოფილების განსახიერებაა. „ნერაძურიმ“ ჯერ ინგლისის ჩემპიონს მოუგო, მერე ესპანეთის ჩემპიონს, ბოლოს კი გერმანიის ჩემპიონიც ზედ მიაყოლა და ევროპაში პირველი გუნდია!“*

გვერდები მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ძიუდო

რიო დე ჟანეიროს ტურნირი

# ტრიომ დაამტკიცა: მთავარი ხარისხია

მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა - ჩვენი სამკაცა ნაკრების გამოსვლა რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე“ სრულად ამართლებს ამ მარტივ ჭეშმარიტებას. ქართულმა ტრიომ იქ ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა - **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100), **დავით ქევხიშვილი** (81) კი მეხუთეზე გავიდა. ერთი მხრივ, ცუდია ოქროს გარეშე დარჩენა, მაგრამ სამკაციანი გუნდისთვის ეს ურიგო შედეგი არაა. რაც მთავარია, ბიჭების ჭიდაობაში გარკვეული დადებითი ტენდენციებიც გამოჩნდა, თუმცა იყო ხარვეზები. განსაკუთრებით, ლიპარტელიანის წაგებულ შეხვედრაში რუს **კირილ დენისოვთან**.

ლიპარტელიანმა პირველ შეხვედრაში ამერიკელი **აარონ კოენი** გაფრთხილებებით მოახსნევინა, მერე კი შვეიცარიელი **დომინიკ ჰიშირი** დააიპონა და ნახევარფინალში რუს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **კირილ დენისოვს** შეხვდა. ლიპარტელიანს მასთან რევანში ჰქონდა ასაღები კანოს „დიდ მუზარადზე“ დამარცხებისთვის, შეხვედრა აქტიურადაც დაიწყო, მაგრამ უსიამოვნო ტრადიცია მაინც გაგრძელდა და ჩვენებური რუსთან ისევ დამარცხდა. ეს ორთაბრძოლაც ძალიან ჰგავდა კანოს ტურნირისას - დენისოვი მაშინაც მაქსიმალურად ერიდებოდა ამის ამოსმულებს და დისტანციაზე იჭერდა ჩვენებურს. ახლაც ასე იყო - დენისოვი კვლავ ჩავლებით ცდილობდა მის შორს დაჭერას, მაგრამ ამჯერად ლიპარტელიანი ბევრად აქტიური გახლდათ და უტევდა, თუმცა ძირითადად ისევ ამოსმულების იმედად იყო. მართალია, ამან გდება ვერ მოუტანა, მაგრამ მეტოქეს აქტიურობით იმდენად ალემატებოდა, დენისოვის გაფრთხილება დროის საქმე იყო და არც ამან დააყოვნა. თუმცა რაც დრო გადიოდა, ჩვენებურს დაღლაც უფრო ეტყობოდა, რამაც შეხვედრის მიწურულს უკვე აშკარად იჩინა თავი. ამასთან, ჩვენებურის ჭიდაობაში არც ილეთის გასაკეთებელი რეზერვი ჩანდა გინდ ფიზიკური მომზადების და გინდ ტექნიკის მხრივ. ყველაფრიდან ეტყობოდა, რომ მისი ხსნა კიდევ ერთ გაფრთხილებაში იყო და მწვრთნელი გურამ მოდებაზე სწორედ ამისკენ მოუწოდებდა - შეუტიე, ერთი გაფრთხილება გინდაო. სამწუხაროდ, ლიპარტელიანს შეტევისთვის ძალა აღარ ეყო და მისი მარცხის მთავარი მიზეზიც ეს გახდა - შეხვედრის მიწურულს დენისოვი ბევრად მხნედ გამოიყურებოდა.

ძირითადი დროის მეორე ნახევარში იყო მომენტი, როცა ლიპარტელიანი წელში შევიდა და კარგად შეეკრა მეტოქეს, თითქოს ილეთსაც ამზადებდა, მაგრამ დენისოვმა ფეხი ჩაუხვია და კინაღამ ქულა მიითვალა. სამწუხაროდ, ეს მომენტი ზუსტად განმეორდა დამატებით დროში - ისევ ლიპარტელიანი შეეკრა და თითქოს ილეთს ამზადებდა, დენისოვმა კი ისევ ჩაუხვია ფეხი, ოღონდ ამჯერად ბევრად წარმატებით და ფინალშიც გავიდა. მასთან ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო როგორც ფიზმომზადებაში, ასევე - არსენალის გამრავალფეროვნებაში.

ძლიერად იჭიდავა ჟორჟოლიანმაც, რომელმაც ვაზარით მასპინძელი მსოფლიოს ჩემპიონი **ლუსიანო კორეა** დაამარცხა. ამ მოგებით ჩვენებური ურთიერთშეხვედრაშიც დაწინაურდა - აქამდე ორივეს ორ-ორი მოგება ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ჟორჟოლიანი მას ზედიზედ მეორედ უგებს ანუ ბოლო შეხვედრებში აშკარა უპირატესობა მის მხარესაა - დეკემბერში კანოს ტურნირზეც აჯობა. კორეასთან წარმატებამდე ჩვენებურმა მექსიკელი **სერხიო გარსია** ორჯერ დააგდო ვაზარზე, იაპონელი **კაიჰან ტაკაგი** კი იუკოს მერე პირდაპირ ბეჭებით გააკრა ტატამს.

ნახევარფინალში ჟორჟოლიანი ბევრად ძლიერ იაპონელს შეხვდა - მსოფლიოს პრიზიორ **ტაკამასა ანაის**. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ დამწყებმა ჟორჟოლიანმა ანაის 2007 წელს თბილისის ტურნირის ფინალში უზადო ამოსმულით წმინდად მოუგო, ამჯერად კი იგივე ილეთით იპონი და რევანში ანაიმ მითვალა. ცუდია, რომ ჟორჟოლიანი ფინალში ვერ გავიდა, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ის ამ ტურნირზე უფრო თავისუფლად ჭიდაობდა, უფრო მეტს უტევდა, მოძრაობდა, ცდილობდა. იგივე ანაისთან იპონამდე იუკოც დაკარგა, მაგრამ უფრო თამამად ჭიდაობდა, ვიდრე - ადრე ასეთ საპასუხიმგებლო შეხვედრებში. მესამე ადგილზე გასვლისთვის ლიპარტელიანმაც და ჟორჟოლიანმაც 120 ქულა და 1500-1500 დოლარი მიიღეს. მათ ბრინჯაოები ტუნისის „დიდ პრიზზეც“ მოიპოვეს და სალიცენზიო რეიტინგში უკვე 200-200 ქულა აქვთ.

უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, იყოჩაღა დიდი ხნის შესვენების შემდეგ ძიუდოში დაბრუნებულმა და ახალ წონაში გადაბარგებულმა ქევხიშვილმაც. ერთი შეხედვით, მას წილისყრამ არ გაუმართლა - პირველი წრეში მეტოქედ რუსთა დაღესტნელი ფალავანი **სირაზუდინ მაგომედოვი** ერგო, რომელმაც აპრილში ტრიუმფით მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ამ შეხვედრაში ჭკვიანი ტაქტიკოსი ქევხიშვილი კიდევ ერთხელ დადგა საკუთარ თავზე მაღლა და გაფრთხილებებით მოიგო. მართალია, არც ნაევროპალი მაგომედოვი ჰგავდა საკუთარ თავს, მაგრამ ჭკვიანურად წარმართულ შეხვედრას ნურც ქევხიშვილს დავუკარგავთ. მან შეძლო და მთელი შეხვედრა საკუთარი კარნახით ჩაატარა, მეტოქეს ბოლომდე მოახვია თავისი სტილი და საწადელსაც მიაღწია. ნიშანდობლივი იყო მისი საქციელი საფინალო სასტვენის შემდეგ, როცა ტატამზე ჩამხობილი და ასე უმოწყალოდ გაბითურებული ახალგაზრდა ლიდერი წამოაყენა და ნუგეშის ნიშნად მხარზეც დაარტყა ხელი - ვინ ვინ და ქევხიშვილმა ნამდვილად იცის ადამიანებთან მოქცევა.

მაგომედოვთან მისი გამარჯვება რომ მეტოქის სისუსტით არ იყო განპირობებული და ის შეხვედრა ალალად მოიგო, უკვე საკმაოდ გამოცდილ უნგრელ **შანდორ ნაგისოლიმოშთანაც** დამტკიცდა - ვაზარით მოუგო. ისე, გდება ბოლომდე ვერ დაასრულა, თორემ ჩვენებურმა რამდენჯერმე მაგომედოვიც წამოიღო ილეთზე, ერთხელ კი მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა. სიმართლე გითხრათ, ამდენი გაცდენის შემდეგ მისგან ამ დონის ჭიდაობას არ ველოდი. ბრაზილიელ ოლიმპიურ პრიზიორ **ფლავიო კანტოსთან** მარცხის მიუხედავად, ქევხიშვილმა მაინც სასიამოვნოდ გაგვაოცა. ბოლო წლებში ის კანადაში ცხოვრობს, სადაც კი ვარჯიშობს, მაგრამ წასვლის ძირითადი მიზანი ინგლისურის კარგად შესწავლაა. ის განათლებით იურისტია და კარიერაზე სერიოზულად ფიქრობს.

ქევხიშვილმა კანტოსთან იპონით წააგო. ათენის ოლიმპიადის პრიზიორი, 35 წლის კანტო ნახევარფინალში წმინდა მოგებებით გავიდა და გვეგონა, იქაც ასევე მოიგებდა, რადგან ნაკლებადცნობილ ხორვატ **ტომისლავ მარიჯანოვიჩს** ხვდებოდა, თუმცა, მოულოდნელად, ხორვატმა გარეფეხით ისე დააიპონა, თქვენი მოწონებული! სხვათა შორის, ნახევარფინალში ბრაზილიელთა კიდევ ერთი ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **ლეანდრო გილეიროც** გავიდა, რომელმაც ის მედალი ასევე ათენში მოიპოვა, ოღონდ - 73-ში და მაშინ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სწორედ ქევხიშვილს მოუგო, თუმცა დიდწილად მსაჯთა არაობიექტურობით. მისი მეტოქე ჰოლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის წლევანდელ პირველობაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში **ლევან ნიკლაურის** მომგები **ხიიომ ელმონტი** იყო. მასპინძელთა სამწუხაროდ, გილეიროც დამარცხდა. მეხუთე ადგილზე გასვლით ქევხიშვილმა სალიცენზიო რეიტინგში 60 ქულა ჩაიწერა.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

ალი ისაევის ტურნირი

# მოძმანაშვილი ბრინჯაოთი ბრუნდება



მძიმეწონოსანმა **დავით მოძმანაშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მახაჩყალაში დამთავრებულ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ალი ისაევის ხსოვნის ტურნირში. ეს მეტად პრესტიჟული და წარმომადგენლობითი შეჯიბრებაა, სადაც მუდამ ძლიერი შემადგენლობა იკრიბება. გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრება ყოფილა და ჩვენებურის მიღწევა მით უფრო გასახარია. თან გავითვალისწინოთ, რომ ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, ეს მისთვის სულ მესამე ტურნირი იყო და ახლა შედის ფორმაში, თუმცა საამისოდ ჯერ კიდევ ბევრი შრომა მართებს. მთავარია, დაბრუნება შედგა და ისიც ნელ-ნელა აუმჯობესებს როგორც შედეგს, ასევე - ხარისხს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, შეიძლება ითქვას, მოძმანაშვილი გამოცდას აბარებს. იგი წილისყრით დამარცხდა აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **ტოხტარ ტემრეზოვთან**, რომელიც ასევე რუსეთიდან - კრასნოიარსკიდან ჰყავთ გადაბირებული ბაქოელებს. სანუგეშო წრეში მოძმანაშვილმა ჯერ მასპინძელი **თეიმურაზ თიგიევი** დაამარცხა, მერე კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ძირითად დროში სომეხი ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **რუსლან ბასიევი** დაჯაბნა. აქ ჩვენებურმა პირველი პერიოდი წილისყრით მოიგო, მეორეში კი ქულებით აჯობა - 2:1. ფინალი აზერბაიჯანელმა ევროპის ჩემპიონმა **ალი ისაევმა** მოიგო, რომელმაც თანაგუნდელი ტემრეზოვი წმინდად დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ალიევი მოძმანაშვილს დამარცხებული ჰყავს ფინურ ტამპერეში, მისთვის ავადსახსენებელი 2008 წლის ევროპის პირველობის ნახევარფინალში, როცა თვითონ დოპინგზე ჩავარდა.

სამწუხაროდ, ადრევე წააგო ჩვენი გუნდის მეორე წევრმა - **გიორგი ნიკურაძემ**.

ალიევის სახელობის ტურნირი წლეულს ორმოცდამეერთედ ჩატარდა და ის მახაჩყალაში საგანგებიოდ აგებულ სპორტის სასახლეში გაიმართა. ის დარბაზი 6 ათას კაცზეა გათვლილი, ალიევის სახელიც მიენიჭა და ეზოში სახელოვანი ფალავნის ძეგლიც დაიდგა. დარბაზი საზეიმოდ ამ ტურნირისთვის გაიხსნა. ცერემონიალში რუსეთის ჭიდაობის ფედერაციისა თუ დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად მთელი რუსული საჭიდაო ელიტა მონაწილეობდა, ლენტის გაჭრის პატივი კი დაღესტნის რესპუბლიკის პრეზიდენტ **მაგომედსალამ მაგომედოვსა** და თავისუფალ ჭიდაობაში ჩრდილო კავკასიიდან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ **ზაგალავ აბდულბეკოვს** ერგოთ. მისი გახსნა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის დაღესტნელმა ვიცე-პრეზიდენტმა **ომარ მურთუზალიევმა** შეაფასა, როგორც პოზიტიური მომენტი დაღესტნის ცხოვრებაში.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



მამუკა ქაცარავა (მარცხნივ) აჯილდოებს მერაბ გაგუნაშვილს — ავტორის ფოტო

# მერიის თასი მერაბ გაგუნაშვილს

შარშან თბილისის მერიის თასის პირველ გათამაშებაში დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** გაიმარჯვა. წლეულს მან ტიტულის დაცვა ვერ მოახერხა, რადგან უკრაინის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობდა. თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო ტურის წინ მთავარი პრიზის მოპოვების რეალური შანსი საქართველოს ნაკრების წევრმა **მერაბ გაგუნაშვილმა** შეინარჩუნა. გუშინ იგი **ლუკა პაიჭაძეს** დაუზავდა და 7,5 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი დაიკავა, თან სოლიდური საპრიზო თანხა — 10.000 ლარიც დაიმსახურა.

გაგუნაშვილი 25 წლისაა. ჭაბუკობისას მრავალჯერ მოუპოვებია თანატოლთა შორის საქართველოს პირველობებზე საპრიზო ადგილები. 2002 წელს 17 წლისამ შეასრულა დიდოსტატობა, რაც ჩვენთან დღემდე მოუხსნელი რეკორდია. იმავე წელს ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე IV ადგილი დაიკავა. 2003-ში კი ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე დიდი ბრინჯაოს მედალი და თავის დაფაზე II ადგილისთვის მცირე ვერცხლი ხვდა.

შარშან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე მეორე იყო, წლეულს კი მსგავს შეჯიბრებაზე ყველას აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა. ახლა კი, როგორც აღვნიშნეთ, მერიის თასის დაისაკუთრა.

ტურნირზე **მიხეილ მჭედლიშვილის** ძლევით 7,5 ქულა მოაგროვა სომეხმა **ტიგრან კოტანჯიანმაც**, მაგრამ მას უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი და 6500 ლარი ერგო. 7 ქულით მესამე ადგილი საქართველოს ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ** დაიკავა. იგი 4500 ლარით დაჯილდოვდა. ქალებში 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა **სოფიკო ხუხაშვილი**. მას ჯილდოდ 2000 ლარი ხვდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა **ნინო ბაციაშვილი**.

მერიის თასის საპრიზო ფონდი (64 თასი ლარი) 55-მა საუკეთესო შედეგების მქონე მოჭადრაკემ გაინაწილა სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით.

*„მადლობა ქართველ მოჭადრაკეებს, რომლებმაც მერიის თასი შეინარჩუნეს, მადლიერი ვართ სტუმრებისაც, მათმა მონაწილეობამ შეჯიბრება მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა. ვეცდებით, სამომავლოდ საპრიზო ფონდი გავზარდოთ და მეტი ძლიერი უცხოელი დიდოსტატი მივიზიდოთ. მათი მონაწილეობა ჩვენი გოგო-ბიჭებისთვის ოსტატობის ამაღლების კარგი საშუალება იქნება. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისა და თანადგომისთვის მადლობა მინდა ვუთხრა თბილისისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციების პრეზიდენტებს დავით ხოსრუაშვილს და გია გიორგაძეს. ერთიანი ძალით მომავალში მეტს შევძლებთ“*, — თქვა ტურნირის საზეიმო დახურვისას თბილისის მერიის სოციალური დაცვისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **მამუკა ქაცარავამ**.

**ვაჟა დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

პოზნანის ტურნირი

# უმედლოდ და ულიცენზიოდ

ჭაბუკ ბერძენრომაელთა ნაკრები მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშების გარეშე დარჩა. პოზნანში დამთავრებულ ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში ხუთი ქართველიდან მედლისთვის მხოლოდ ერთმა - **აკაკი კანდელაკმა** (100) იჭიდავა, მაგრამ იმანაც ბრინჯაოსთვის, რომელიც წააგო და უმედლოდ დარჩა. მან პირველივე შეხვედრა დათმო სომეხ **ვაროს პეტროსიანთან**, რომელიც მერე ფინალში გავიდა და ჩვენებურსაც სანუგეშოში გადართვის საშუალება მიეცა. კანდელაკმა შანსი ნაწილობრივ გამოიყენა - ხორვატი **ივორ დრებოვიჩი** და უნგრელი **ზოლტან კერი** ქულათა დიდი უპირატესობით დაამარცხა და დამამშვიდებლის ფინალშიც გავიდა. ბრინჯაოსთვის შეხვედრაც ენერგიულად დაიწყო უკრაინელ **არტემ კირიჩენკოსთან** და პირველი პერიოდი 3:2 მოიგო. თითქოს მედალიც ახლოს იყო, მაგრამ მეორე პერიოდი უკრაინელმა შეუდარებლად ძლიერად ჩაატარა და 5:2 იმარჯვა. ბრინჯაოს მოპოვების შანსი ჯერ კიდევ რჩებოდა, თუ ჩვენებური მესამე პერიოდს მოიგებდა, მაგრამ თითქოს ხელ-ფეხი შეეკრაო, 1:6 დათმო და მეხუთეზე დარჩა. არადა, კანდელაკმა იმ ორ მოგებულ შეხვედრაში ძალიან ბევრი ქულა დააგროვა და ტექნიკური ჭიდაობით გამოიჩინა თავი.

დანარჩენი ოთხი ქართველიდან დამამშვიდებელში მხოლოდ ერთმა იჭიდავა - **მათე ბოლქვაძემ** (69). პირველ წრეში მან ორივე პერიოდი ქულებით სუფთად მოუგო ბერძენ **დიმიტრიოს ცეკერიდისს**, მერე კი მომავალ ჩემპიონთან, თურქ **მუსა გედრიკთან** წააგო. სამწუხაროდ, ის სანუგეშოშიც მალევე დამარცხდა ხორვატ **ივან ზირდუმთან**, თუმცა კი მინიმალური სხვაობით - ორივე პერიოდი 0:1 დათმო.

დანარჩენმა ქართველებმა დამამშვიდებელს ვერ უწიეს. მათგან ორმა - **ედნარ შავაძემ** (42) და **რამაზ სურმანიძემ** (58) პირველივე შეხვედრები წააგეს, **შმაგი ბოლქვაძემ** (50) კი ორიდან ერთი შეხვედრის მოგება მოახერხა. მან ორივე ბრძოლა სომხებთან გამართა. მათგან პირველი - **არდაშეს არუთინიანი** რუსეთის ღირსებას იცავდა და ჩვენებურმა ძირითად დროში დაამარცხა, მეორე - **რუდიკ მკრტიჩიანი** კი სამშობლოს სახელით ჭიდაობდა. ეს დაძაბული და დრამატული ორთაბრძოლა ცოტა უცნაურიც გამოდგა - პირველი პერიოდი ბოლქვაძემ ქულებით სუფთად, 6:0 მოიგო, მეორეში კი ლამის ასეთივე სხვაობით დამარცხდა - 0:5. გადამწყვეტ პერიოდში ისევ სომეხმა იმარჯვა მცირე უპირატესობით - 1:0, მაგრამ ფინალამდე დამარცხდა და ჩვენებურიც ნაადრევად დაემშვიდობა ტურნირს.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი | საერთაშორისო ტურნირი

# მთავარი პრიზი ლიგამუსს ხვდა

„ლაგუნა ვერეს" აუზში მეოთხედ გათამაშდა უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა წყალბურთელის **ზუკა სახელაშვილის** თასი. შეჯიბრებაში ამჯერადაც ორ ჯგუფად რვა გუნდი ჩაება, მათ შორის ორი — უცხოეთიდან (ბელარუსი, ჩერნოგორია).

A ჯგუფში შესანიშნავად ითამაშა ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსმა", რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ბელარუსი, „დინამო", „ლაგუნა ვერე" ერთნაირი ანგარიშით — 2:0 (მინიწყალბურთში თითოეული სეტი 6 გატანილ ბურთამდე გრძელდება 4-4 მოთამაშის მონაწილეობით) და პირველი ადგილი დაიკავა. B ჯუფში მსგავს წარმატებას ჩერნოგორიის, საქართველოს ვეტერანთა ნაკრებისა და „ნეპტუნის" მძლეველმა „თბილისმა" (ორივე პირველადგილოსანი გუნდი უმთავრესად დაკომპლექტებულია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებით, რომლებმაც ორიოდე დღის წინათ „ოლიმპიკის" რეკონსტრუირებულ აუზში თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგეს) მიაღწია.

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიგამუსი | | 2:0 | 2:0 | 2:0 | 6 |
| 2 | ბელარუსი | 0:2 | | 2:0 | 2:0 | 4 |
| 3 | დინამო | 0:2 | 0:2 | | 2:1 | 2 |
| 4 | ლაგუნა ვერე | 0:2 | 0:2 | 1:2 | | 0 |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | | 2:0 | 2:0 | 2:0 | 6 |
| 2 | ჩერნოგორია | 0:2 | | 2:0 | 2:0 | 4 |
| 3 | ვეტერანები | 0:2 | 0:2 | | 2:1 | 2 |
| 4 | ნეპტუნი | 0:2 | 0:2 | 1:2 | | 0 |

გუშინ ნახევარფინალში „ლიგამუსმა" (**ზურაბ ჭუმბურიძე, ლუკა ტუკვაძე, კოტე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა, ლევან როსტოშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, გიორგი ხვედელიანი,** მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**) ჩერნოგორიას 2:0 მოუგო და ფინალში „თბილისს" (**სანდრო ნამორაძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, მიხეილ ბალათურია, ნოდარ რაფავა, ლევან ყაველაშვილი, ბექა ქავთარაძე,** მწვრთნელები — **იოვან პოპოვიჩი და ირაკლი კიკალიშვილი**) დაუპირისპირდა, რომელმაც ბელარუსებს აჯობა. მთავარი პრიზისთვის პაექრობაში ლიგამუსელებმა იოლად დაჯაბნეს მეტოქე — 6:3, 6:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი ჩერნოგორიელებს ხვდათ, რომლებმაც ბელარუსებს დააყრევინეს ფარ-ხმალი — 6:4, 6:1.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ **ტატო ნიკოლეიშვილი** აღიარეს, საუკეთესო თავდამსხმელად — **ალექსანდრე ბითაძე,** მცველად — **ბექა ქავთარაძე,** მეკარედ — **მიხეილ ნაბიჯაშვილი** (საგულისხმოა, რომ ბითაძე და ნაბიჯაშვილი ვეტერანები არიან). 22 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა ჩერნოგორიელი **მარკო კორდიჩი.** სპეციალური პრიზი ხვდა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზვიად დავითიანს,** რომელიც ზუკას თასზე ვეტერანთა გუნდის კარს იცავდა.

*„მიხარია, რომ ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. სამომავლოდ შევეცდებით, უცხოელთა მეტი ძლიერი გუნდი მოვიწვიოთ, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში წყალბურთის განვითარებასა და პოპულარობას. სპორტის დეპარტამენტისა და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გარდა, გვერდით დაგვიდგნენ „კასპიცემენტი", „ინვესტბანკი", „ბილაინი", „ნატახტარი", „ქართუ ჯგუფი" და „ლაგუნა ვერეს" ხელმძღვანელობა",* — გვითხრა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ზუკას დამ **თათა სახელაშვილმა.**

**ვაჟა დანელია**



ლიგამუსი თათა სახელაშვილმა დააჯილდოვა

ავტორის ფოტო

ძალოსნობა

# ოქრო და ბრინჯაო ფარდის დაშვებამდე

ესპანურ ვალენსიაში გამგზავრების წინ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, რომ 94 კილოსა და მძიმე წონაში მედლებს აუცილებლად მოვიპოვებთ, სავარაუდოდ, ორივე ჯილდო ოქროსი იქნებაო. მართლაც, 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობის ბოლო დღეს ჩვენი ბიჭები კვარცხლბეკზე ავიდნენ, მაგრამ მსგავსი შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული **ვილიამინ ალექსიძე** (94) მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. 181-კილოგრამიანი შტანგის დამორჩილებით მან აკვრაში მცირე ოქრო დაიმსახურა, ატაცში კი 140 კილო დაძლია და ორჭიდის ჯამში 321 კილოგრამით მესამე ადგილზე გავიდა. მეორეადგილოსან ბელარუს **ალექსანდრ ვენსკელს** 1 კილოთი ჩამორჩა, ევროპის ჩემპიონ **თემურ ნანიევს** - 6 კილოთი, არადა, შარშან მას 10 კილოგრამით აჯობა.

ჩვენს გუნდს ოქროს ჯილდო მძიმე წონაში ცნობილი ძალოსნის **კობა ტალახაძის** ვაჟმა - **ლაშამ** მოუტანა. მან ექვსივე ცდა გამოიყენა. ორჭიდში 345 კილოს მოუყარა თავი და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ცალკეულ მოძრაობებში ქართველ სპორტსმენს ორი ოქროც ხვდა. საგულისხმოა, რომ სინგაპურში მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ ლაშა ტალახაძე გაემგზავრება.

**ვაჟა დანელია**



ლაშა ტალახაძე (მარცხნივ) და ვილიამინ ალექსიძე

ავტორის ფოტო

სუმო | ნაცუ ბაშო. 9-23 მაისი, ტოკიო (იაპონია)



ჰაკუჰო იმპერატორის თასით



ოსი არანი და ქართველი ტოჩინოშინი პრიზებით

# მებრძოლი სულის პრიზი ტოჩინოშინს

## ელიტა გაგამარუს... ანტირეკორდი კოკაის

2010 წლის ზაფხულის ბაშო ისტორიული გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის, ორმა მათგანმა მნიშვნელოვნად წაიწია კარიერაში - 22 წლის **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ბაშოზე „მებრძოლი სულის" პრიზს შეწვდა და, თუ სუმოს ასოციაციაში რამე ექსტრაორდინარული არ მოიფიქრეს, შემდეგ ბაშოზე კომუსუბის ტიტულით იასპარეზებს, 23 წლის **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** კი მაკუუჩის (უმაღლესი) დივიზიონის საგზური მოიპოვა. ივლისის ბაშოზე ელიტაში ერთბაშად სამი ფალავანი გვეყოლება.

შაბათ-კვირას „კოკუგიკანში" ბაშოს ბოლო ორი, გადამწყვეტი დღე იყო, 25 წლის მონღოლი **ჰაკუჰო** პუბლიკის წინაშე ახალი შეფერილობის მავაშით წარდგა, დიდი ჩემპიონი, მორიგი თასის აღნიშვნის ნიშნად, ოქროსფერი მავაშით გამოვიდა საჭიდაოდ. მისი მეტოქე ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** იყო, რომელიც დიდმა მონღოლმა იორიტაოშის ილეთით დაამარცხა. გუშინ შანსი არ დაუტოვა კიდევ ერთ ოძეკის, **ჰარუმაფუჯის,** მან თანამემამულე იორიკირით გაიყვანა დოჰიოდან. მაშ ასე, ჰაკუჰომ 15-0 ბალანსით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ნაცუ ბაშოზე. მონღოლს მე-14-ედ გადასცეს იმპერატორის თასი. უკვე 32 ორთაბრძოლაა, ჰაკუჰო გამარჯვებული გამოდის დოჰიოდან. ზედიზედ მეორე ძენშო (ყველა მოგება) ფენომენური მიღწევაა. ჰაკუჰოსთან ახლოს კი ვერავინ მივიდა, 12-3 ბალანსით ვიცე-ჩემპიონი ოსი რიკიში **არანი** გახდა (მაეგაშირა 10). 11 მოგებაც კი ვერავინ დააგროვა. მართალია, მხოლოდ 9 მოგება მიითვალა ოძეკი **კაიომ,** მაგრამ ბოლო ღირსშესანიშნავი იყო, 37 წლის ვეტერანმა კარიერაში მე-1000 შეხვედრა მოიგო.

ტურნირის დასრულების შემდეგ იმპერატორის თასის გარდა სხვა პრიზებიც გაიცა, თუმცა სუმოს ასოციაციამ „იძუნნა", ტექნიკური რიკიშის და „ბრწყინვალე ასპარეზობის" პრიზი არავის შეხვდა. ჰაკუჰოს გარდა მხოლოდ ორი რიკიში გამოარჩიეს, ორივეს „მებრძოლი სულის" პრიზი (კანტო-შო) მისცეს - ქართველ ტოჩინოშინს და ოს არანს. ლევანმა კარიერაში მეორედ მოიგო ეს პრიზი, რომლისთვისაც ჰონორარის სახით დაახლოებით 20 ათასი დოლარი მიიღო. ლევანს პრიზი 4 ოძეკის დამარცხებისთვის მისცეს.

ტოჩინოშინმა დადებითი ბალანსის საკითხი ბოლო დღემდე ვერ გადაჭრა, შაბათს მან მოულოდნელად წააგო მე-6 მაეგაშირა **ტოკიტენკუსთან** (კატასუკაში). ასე რომ, გადამწყვეტი ბოლო ორთაბრძოლა გამოდგა - როგორც მას, ასევე მის მეტოქეს მე-4 მაეგაშირა **კიტატაიკის** 7-7 ბალანსი ჰქონდათ. წაგება მთელ ნაშრომს წყალში ჩაყრიდა. გადამწყვეტ მომენტში ჩვენებურმა შეძლო მოგება, ბაშოზე მეოთხედ გამოიყენა ცურიდაშის ილეთი, რომელიც დიდ ძალ-ღონეს მოითხოვს შემსრულებლისგან.

ტოჩინოშინი დასავლეთის მე-2 მაეგაშირაა და ის უპირველესი კანდიდატია მისი თანაკლუბელის, **ტოჩიოძანის** (7-8) მიერ გამოთავისუფლებული კომუსუბის ტიტულის მოსაპოვებლად. ოფიციალურად ამის შესახებ მხოლოდ 28 ივნისს გამოცხადდება, როცა სუმოს ახალი რეიტინგი (ბანძუკე) გამოქვეყნდება. ასე რომ, 11-25 ივლისს ტოჩინოშინი გახდება ისტორიაში მეორე კომუსუბი ქართველი (კოკაის შემდეგ), რომელიც სუმოს რანგით მეოთხე ტიტულით იჭიდავებს. ზემოთ ექსტრაორდინარული ვახსენეთ და აი, რა შეიძლება მოხდეს (თუმცა საფრთხე მინიმალურია): კომუსუბის ერთი ადგილი გათავისუფლდა, ამ ადგილისთვის ბრძოლაში კი ტოჩინოშინი ყველაზე მაღალი რანგის მაეგაშირაა, რომელმაც დადებითი ბალანსით დაასრულა ბაშო. საფრთხეს წარმოადგენს მე-5 მაეგაშირა **ჰაკუბას** შედეგი - 10-5. შესაძლოა, სუმოს ასოციაციამ ორით მეტი მოგება დაუფასოს მას, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა ნიუანსი უნდა გაითვალისწინონ და ესენი ტოჩინოშინის სასარგებლოდ მეტყველებს, მან 4 ოძეკი დაამარცხა, ჰაკუბამ - 2, ტოჩინოშინმა ჰაკუბას იოლად მოუგო ორთაბრძოლა, ჰაკუბამ ძალიან ბევრჯერ გამოიყენა ჰენკა (სასტარტო დაჯახებისგან თავის არიდება), ტოჩინოშინი რეიტინგში ხუთი რიკიშით წინ არის, ვიდრე ჰაკუბა, ჰაკუბაც უცხოელია, როგორც ჩვენებური, ასე რომ, არც ასოციაციის წევრების მიკერძოებისა უნდა გვეშინოდეს.

29 წლის **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კი საკუთარი ანტირეკორდი გაიმეორა. აქამდე სამჯერ მოხდა ისე, რომ „შავმა ზღვამ" სამზე მეტი ორთაბრძოლა ვერ მოიგო ბაშოზე. შაბათ-კვირას მან ჯერ მე-3 მაეგაშირა **ვაკანოსატოსთან** წააგო, შემდეგ კი სეკივაკე **ამინიშიკისთან** დათმო. 3-12 ბალანსი, ასეთია კოკაის საბოლოო შედეგი, კიდევ კარგი, ის საკმაოდ მაღლა იყო რეიტინგში (მე-6 მაეგაშირა), თორემ ელიტიდან გავარდნა არ ასცდებოდა.

ძურიოს დივიზიონში მთავარი ამოცანა გაგამარუს გადაჭრილი ჰქონდა, უმაღლესის საგზური მე-12 დღეს მოიპოვა, მაგრამ შეეძლო ძურიოს ჩემპიონობაც, რაც დაახლოებით 20 ათასი დოლარის ტოლფასია. სამწუხაროდ, გაგამარუ ამ პრიზს ვეღარ შეწვდა, რადგან ბოლოსწინა დღეს ძურიოს მე-5 ნომერ **მასაცუკასასთან** დამარცხდა (უვატენაგე). მართალია, ბოლო დღეს მან აჯობა სეკივაკე ამინიშიკის უფროს ძმას **ასოფუჯის,** მაგრამ 10-5 ბალანსი ჩემპიონობისთვის არ ეყო, ძურიოს ჩემპიონი **ბუშუიამა** გახდა - 11-4. რაც მთავარია, 202-კილოგრამიან ქართველს ივლისის ბაშოზე ელიტაში ვიხილავთ.

### მაკუუჩი

**XIV დღე: ჰაკუჰო**-კოტოოშუ (იორიტაოში), **კაიო**-ამინიშიკი (ოკურიდაში), **ბარუტო**-კიტატაიკი (უვატენაგე), **კოტომიცუკი**-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), **კისენოსატო**-ჰაკუბა (ოშიდაში), **ტოჩიოძანი**-ასასეკირიუ (ოკურიდაში), **კოტოშოგიკუ**-მიაბიამა (იორიკირი), **კაკურიუ**-ტოიონოშიმა (ჰიკიოტოში), **ტოკიტენკუ**-ტოჩინოშინი (კატასუკაში), **ვაკანოსატო**-კოკაი (იორიტაოში), **კიოკუტენჰო**-ტაკეკაძე (კოტენაგე), **კორიუ**-ტამავაში (ცუკიოტოში), **ტოიოჰიბიკი**-ტაკამისაკარი (ოშიდაში), **კიმურაიამა**-კაკიძოე (ოშიტაოში), **გოეიდო**-ჰოკუტორიკი (ჰიკიოტოში), **ტოსაიუტაკა**-ტოჩინონადა (იორიკირი), **არანი**-ოკინოუმი (იორიკირი), **მოკონამი**-ტოკუსეგავა (იორიკირი), **ვაკაკოიუ**-იოშიკაძე (ოშიდაში), **შიმოტორი**-ტამანოშიმა (კატასუკაში).

**ბოლო დღე: ჰაკუჰო**-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), **კაიო**-კოტოოშუ (იორიკირი), **კოტომიცუკი**-ბარუტო (შიტატენაგე), **ასასეკირიუ**-კისენოსატო (იორიკირი), **ამინიშიკი**-კოკაი (ჰიკიოტოში), **ჰაკუბა**-კოტოშოგიკუ (ჰატაკიკომი), **ტოკიტენკუ**-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), **ტოიონოშიმა**-ტამავაში (ჰიკიოტოში), **კიოკუტენჰო**-მიაბიამა (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-კიტატაიკი (ცურიდაში), **ტოსაიუტაკა**-კაკურიუ (იორიკირი), **ვაკანოსატო**-კიმურაიამა (ჰატაკიკომი), **იოშიკაძე**-კაკიძოე (ოკურიტაოში), **ვაკაკოიუ**-ტოიოჰიბიკი (ოშიტაოში), **გოეიდო**-ტაკამისაკარი (იორიკირი), **არანი**-ჰოკუტორიკი (იორიკირი), **შიმოტორი**-ოკინოუმი (სუკუინაგე), **ტაკეკაძე**-მოკონამი (შიტატენაგე), **ტოკუსეგავა**-კორიუ (კოტენაგე), **კასუგაო**-ტოჩინონადა (უვატენაგე), **ტამანოშიმა**-ჩიოჰაკუჰო (ოშიდაში).

### საბოლოო მდგომარეობა:

**15-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა). **12-3: არანი** (მაეგაშირა 10). **10-5: ბარუტო** (ოძეკი), **ჰაკუბა** (მ 5), **ვაკაკოიუ** (მ 15), **შიმოტორი** (მ 15) **9-6: ჰარუმაფუჯი** (ოძეკი), **კოტოოშუ** (ოძეკი), **კოტომიცუკი** (ოძეკი), **კაიო** (ოძეკი), **კოტოშოგიკუ** (კომუსუბი), **ასასეკირიუ** (მ 4), **კიოკუტენჰო** (მ 7), **გოეიდო** (მ 9), **ტოკუსეგავა** (მ 11), **იოშიკაძე** (მ 13). **8-7: კისენოსატო** (სეკივაკე), **ტოჩინოშინი** (მ 2), **ტოკიტენკუ** (მ 6), **ტოიოჰიბიკი** (მ 8), **მოკონამი** (მ 11), **ტაკეკაძე** (მ 12), **ტაკამისაკარი** (მ 13). **7-8: ტოჩიოძანი** (კომუსუბი), **კიტატაიკი** (მ 4), **კაკიძოე** (მ 8), **ტოსაიუტაკა** (მ 9), **კიმურაიამა** (მ 12), **ჰოკუტორიკი** (მ 14). **6-9: კაკურიუ** (მ 3), **ვაკანოსატო** (მ 3). **5-10: ამინიშიკი** (სეკივაკე), **ტოიონოშიმა** (მ 1), **მიაბიამა** (მ 1), **ოკინოუმი** (მ 10), **კორიუ** (მ 16), **ტამანოშიმა** (მ 16). **3-12: კოკაი** (მ 6), **ტამავაში** (მ 7), **ტოჩინონადა** (მ 14). **0-15: ჰომაშო** (მ 2), **ივაკიამა** (მ 4).

**იმპერატორის თასი: ჰაკუჰო** (მე-14); **მებრძოლი სული: არანი** (პირველი), **ტოჩინოშინი** (მე-2). **ტექნიკური რიკიში:** არავის **ბრწყინვალე ასპარეზობა:** არავის **ძურიოს ჩემპიონი: ბუშუიამა** (მე-2) **მაკუშიტას ჩემპიონი: მაეტა** სანდანმეს ჩემპიონი: **ტაკუნიშიკი;** ჯონიდანის ჩემპიონი: **საიშინი;** ჯონოკუჩის ჩემპიონი: **რიუონამი**

### ძურიო

**XIV დღე: მასაცუკასა**-გაგამარუ (უვატენაგე), **ტოკუშინჰო**-საგაცუკასა (ოშიდაში), **კოტოკასუგა**-კასუგანიშიკი (უვატენაგე). **ბოლო დღე: გაგამარუ**-ასოფუჯი (ჰიკიოტოში), **საგაცუკასა**-საკაიზავა (იორიკირი), **ბუშუიამა**-სადანოფუჯი (უვატენაგე).

საბოლოო მდგომარეობა: **11-4: ბუშუიამა** (ძურიო 5). **10-5: გაგამარუ** (ძ 1), **ტამაასუკა** (ძ 4), **დაიდო** (ძ 8), **კიოსეუმი** (ძ 10).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული სპორტი

კალათბურთი



ბურთით ვიქტორ სანიკიძე

# სანიკიძის აფეთქებამ ვირტუსს ვერ უშველა

**მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩშიც დაამტკიცა, რომ რეგულარული ეტაპი ზედა ოთხეულში შემთხვევით არ დაუსრულებია. კანტუელებმა „ვირტუსი" მეორე საშინაო მატჩშიც დაამარცხეს (74:68) და სერიაში 2:0 დაწინაურდნენ. აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალში გასასვლელად „კანტუს" ერთი გამარჯვებაღა სჭირდება, ხოლო „ვირტუსმა" ზედიზედ სამი მატჩი უნდა მოიგოს. მომდევნო შეხვედრას, 24 მაისს ბოლონია უმასპინძლებს.

მარკოიშვილმა ისე ვერ ითამაშა, როგორც თავად სურდა - პირველ ტაიმში მწვრთნელი ცდილობდა, მანუ ზედმეტად არ დაეტვირთა, რადგან ხვდებოდა, რომ მეოთხე პერიოდში დასჭირდებოდა. თუმცა მესამე ათწუთეულის ბოლოს მარკოიშვილს ოთხი ჯარიმა მოუგროვდა და მწვრთნელმა იგი ოდენ მეოთხე რაუნდის ბოლო წუთზე შეიყვანა.

ქართველმა კანტუელმა 14 წუთში 4 ქულა (3-დან 2 ორქულიანი) და 2 მოხსნა მოაგროვა.

ნაგების მიუხედავად, **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიური პრესისგან დადებითი შეფასება დაიმსახურა. *„სანიკიძეს ბოლო პერიოდში თანაგუნდელები რომ აჰყოლოდნენ, შეიძლება, „ვირტუსს" თამაშიც შემოეტრიალებინა. ქართველი ფორვარდი ამჯერადაც კარგი სტატისტიკით გამოირჩა და დაამტკიცა, რომ იმ მოთამაშეთა კატეგორიიდანაა, რომლებიც არასოდეს გიმტყუნებენ"*, - ვკითხულობთ გამოცემა „ტუტობასკეტის" ოფიციალურ საიტზე. ვიქტორმა, ჩვეულებისამებრ, თავი გადამწყვეტ მომენტში გამოიდო: **ვლადიმირ მიკოვის** ორი საჯარიმოს შემდეგ (34-ე წუთზე) „კანტუ" 60:49 დაწინაურდა. ამის მერე შეტევაში იფეთქა სანიკიძემ, ორჯერ ჩატენა, ერთი ფარქვეშიდან ჩააგდო და 6:1 გაქცევა მოაწყო, რომლის შემდეგ სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა - 55:61. ბოლოსწინა წუთზე **აარონ ჯექსონმა** და **დიეგო ფახარდომ** „ვირტუსს" არაერთი ქულა შესძინეს, თუმცა უქმად არც კანტუელები იყვნენ და, როგორც გითხარით, ბოლონიელები 6 ქულის სხვაობით დაამარცხეს.

სანიკიძემ 30 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 დაფარება და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მართალია, მან ორი სამქულიანი ააცილა, მაგრამ მის სნაიპერობაზე აუგის თქმა მაინც ძნელია - ექვსივე ორქულიანი ჩააგდო და რაც უფრო მნიშვნელოვანია - 12-დან 8 ქულა ჩატენვებით მოაგროვა.

„კანტუს" მხრიდან **ჯერი გრინი** გამოირჩა - 23 ქულით, ხოლო „ვირტუსში" - დიეგო ფახარდო - 18 ქულა.

*„ანგარიში 2:0 დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. წინ ბოლონიური მატჩებია, რომლებიც გაცილებით რთული იქნება, ვიდრე საშინაო შეხვედრები. დღეს გულიანი თამაშის წყალობით მოვიგეთ"*, - მშვიდი კომენტარი გააკეთა „კანტუს" დამრიგებელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ**.

„ვირტუსის" თავკაცი **ლარდო ლინო** ფიზიკურ კონდიციებს უჩიოდა:

- მეტოქემ ფიზიკურად გვაჯობა. ასევე აშკარა იყო „კანტუს" უპირატესობა ფარქვეშ, მოხსნებში 36:23 იმარჯვა. მომდევნო მატჩისთვის ეს კომპონენტები თუ არ გავაუმჯობესეთ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. „კანტუმ" ორივე მატჩი დამსახურებულად მოგვიგო.

ვაჟა სიმონიშვილი




## 15-წლამდელთა ნაკრები

# მესამენი

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ ტარსუში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა. **გია კაზანჯიანის** გუნდმა მესამე ადგილისთვის მატჩში ადგილობრივი „თოფაში" 66:52 დაამარცხა.

ქართველები ამ გუნდს პირველ ეტაპზეც შეხვდნენ და დამარცხდნენ, რამაც ჩვენების ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა განაპირობა. ნახევარფინალში ჩვენი ნაკრები „ბურსას" დაუპირისპირდა და 54:88 წააგო. ჩვენი ნაკრების თავკაცმა გია კაზანჯიანმა ეს წაგება ფიზიკური სისუსტითა და ტრავმებით ახსნა:

- მატჩის წინ თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მოედანზე გასვლიდან მალევე ყველას დაღლა დაეტყო. „ბურსასთან" დაპირისპირებამდე ორ დღეში სამი მატჩი ჩავატარეთ. ვერ ითამაშა ტრავმირებულმა სანდრო ბოლქვაძემ. ამას დაემატა ისიც, რომ „ბურსასთან" მატჩის პირველ მეოთხედში ფეხი იტკინა ბექა დარახველიძემ და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

ბოლოს ჯგუფური ეტაპის სამ მატჩზე ვთქვათ. სტარტი წარმატებული გამოდგა: 15-წლამდელთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ანკარის „ტურკ ტელეკომს" 81:68 მოუგო. მეორე დღეს ქართველებმა ორი მატჩი ჩაატარეს - ტარსუს კოლეჯი 78:64 დაამარცხეს, ხოლო „თოფაშთან" 61:67 წააგეს.

ვაჟა სიმონიშვილი

# ზადარი შეყოვნდა

ხორვატიის ჩემპიონატის ფინალის გზაზე „შეყოვნდა" **ვლადიმერ ბოისას** „ზადარი" - საშინაო მატჩის მოგების შემდეგ ზადარელებმა „ცედევიტასთან" სტუმრად 76:83 დათმეს და მეტოქეს სერიაში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს - 1:1. ვიდრე ბოისას მონაგარს შევეხებოდეთ, გეტყვით, რომ გადამწყვეტი, მესამე შეხვედრა 25 მაისს ზადარში გაიმართება. სერია ორ მოგებამდეა.

სტუმრად გამართულ მატჩში „ზადარმა" ძირითადად 5 კალათბურთელით ითამაშა. სათადარიგოებიდან ყველაზე მეტი, 8 წუთი მოედანზე **ტრენტ პლაისტედმა** გაატარა. რა თქმა უნდა, ვოვა სასტარტო ხუთეულში იყო, 34 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 3-3 საჯარიმოდან და სამქულიანიდან თითო ჩააგდო, ხოლო 7 ორქულიანიდან მიზანში 3 მოარტყა.

მატჩის ბომბარდირობა ზადარელ **ჰროვე პერიჩს** მხოლოდ წაგებისგან დასამშვიდებლად თუ გამოადგება. მან 30 ქულა მიითვალა.

დაველოდოთ 25 მაისს და იმედი დავიტოვოთ, რომ ბოისა ზედიზედ მეორედ ითამაშებს ხორვატიის ჩემპიონატის ფინალში. მეორე ნახევარფინალში „ციბონა" „ზაგრებს" 1:0-ს უგებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ვლადიმერ ბოისა



# შერმადინი ფინალშია

საქართველოს ნაკრების მეფარე **გიორგი შერმადინი** საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს. მისმა „პანათინაიკოსმა" „პანელინიოსს" მესამე ნახევარფინალიც მოუგო და ფინალის საგზური მოიპოვა. ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ ბრძოლას „მწვანეებს" „ოლიმპიაკოსი" გაუმართავს. სერიის პირველი მატჩი „პანათინაიკოსის" არენაზე 26 მაისს გაიმართება.

„პანელინიოსთან" გიორგის თანაგუნდელებს პირველ ტაიმში გაუჭირდათ, მე-20 წუთამდე მდევრის როლში იყვნენ. თანაბარი ბრძოლა მეოთხე რაუნდამდე გაგრძელდა, გადამწყვეტ მეოთხედში „პანათინაიკოსმა" სტუმრებს შანსი არ დაუტოვა და 10 ქულის სხვაობით მოუგო - 75:65.

ქართველი ცენტრი მწვრთნელმა თამაშში ბოლო პერიოდში ჩართო. გიორგიმ 2 წუთში ერთი ორქულიანის ჩაგდება მოასწრო. 14-14 ქულით მატჩის სნაიპერობა **შარუნას იასიკიავიჩუსმა** და **მაიკ ბატისტმა** იკისრეს.

ვაჟა სიმონიშვილი

ჰოკეი — მსოფლიოს ჩემპიონატი

# სამამულო ომი ყინულზე

## სომხები ისევ დასაჯეს

გამონაკლისი ნახევარფინალი იყო, თორემ სხვა მატჩებში რუსეთის ნაკრებს, რომელსაც აქ უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, არათუ რუსი, არამედ გერმანელი ქომაგების უდიდესი მხარდაჭერაც გარანტირებული აქვს.

თუ რა მნიშვნელობა აქვს გულშემატკივრის ფაქტორს, ამაზე გერმანიის ნაკრების მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები, რომლებიც ადრე ჰოკეის გრანდებთან თითქმის ყოველთვის უიმედოდ მარცხდებოდნენ, კინაღამ ფინალამდე მივიდნენ. ამ მიღწევასთან ისინი ძალიან ახლოს იყვნენ და ალბათ, ფინალამდე სულ ცოტა გამოცდილება და კლასი დააკლდათ. გერმანიის ნაკრები ძლიერი მეკარითა და დაცვით გამოირჩევა, მაგრამ შეტევაში უჭირს და ამიტომაც კონტრიერიშებზე თამაშს ამჯობინებს. სწორედ წინა ხაზის სისუსტე გახდა ნახევარფინალში განცდილი მარცხის მიზეზი. მართალია, გერმანიამ პირველ პერიოდში ანგარიშის გახსნა შეძლო, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როცა რუსები უმცირესობაში იყვნენ. პირველ პერიოდში მსოფლიოს ჩემპიონები კარგა ხანს თამაშობდნენ ოთხი მოთამაშით, ორი წუთის განმავლობაში კი სულაც სამნი დარჩნენ. სწორედ ამ დროს მართებდათ გერმანელებს მინიმუმ კიდევ ერთი შაიბის გატანა, რაც ვერ შეძლეს და სწორედ ეს აღმოჩნდა მათთვის საბედისწერო.

ბუნებრივია, გერმანელი ქომაგები თავისიანებს ერთგულად და ენერგიულად ამხნევებდნენ, მაგრამ მაინც უმცირესობაში იყვნენ. კი, საჩემპიონატო განწყობა მთელ კიოლნში იგრძნობა, მაგრამ ამ მხრივ ამინდს ისევ და ისევ რუსები ქმნიან. ბევრი გერმანელი გულშემატკივარი მატჩამდე პესიმისტურად იყო განწყობილი. აქაურებს ეგონათ, პირველივე პერიოდის მერე მათი გუნდი უშანსოდ დარჩებოდა და იმასღა ეშურებოდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის მიესწროთ. თუმცა გერმანელმა ჰოკეისტებმა გუშინწინ გერმანელ ფეხბურთელებზე გაცილებით უკეთ ითამაშეს და კიოლნელებმაც სპორტულ ბარებში მისვლა დააგვიანეს. ალბათ, არც უნანიათ, რადგან ტელეეკრანებზე გაცილებით უარესი სურათი დახვდათ, ვიდრე "ლანქსეს არენაზე".

გერმანია-რუსეთის ნახევარფინალზე არენა მთლიანად შეივსო. მატჩის წინ სალაროებში ბილეთები აღარ იყო, გადამყიდველებს კი ცოცხალი რიგი დაუდგათ. 80-100 ევროს ხალხი დაუნანებლად იხდიდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვიაჩესლავ ბიკოვს** გერმანიასთან მატჩში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი სამკლავური ეკეთა...

პირველი ნახევარფინალური შეხვედრა არანაკლებ დაძაბული გამოდგა. ჩეხებმა ზედიზედ მეორე საპლეიოფო შეხვედრა მოიგეს ბულიტებით, რაც შემთხვევითობა სულაც არაა. ჩეხეთი ღირსეული ფინალისტია, მაგრამ ბევრს ეჭვი ეპარებოდა, რომ იქ რუსეთს წინააღმდეგობას გაუწევდა. ფაქტია, რომ რუსები გერმანელებს უფრო უფრთხოდნენ და რაკი მათ გასცდნენ, თავი უკვე ჩემპიონებად დაიგულეს.

ამ რეპორტაჟის წაკითხვისას კი მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა უკვე გეცოდინებათ და დანარჩენი თავად განსაჯეთ...

ბოლოს ორიოდე სიტყვით ქართულ ჰოკეიზე. მსოფლიოს ჩემპიონატზე ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (IIHF) ყველა წევრია ჩამოსული, მათ შორის, ქართული ფედერაციის ხელმძღვანელობა. IIHF-მ ჩვენთან დაკავშირებით უკვე ორი გადაწყვეტილება მიიღო – ერთი ცუდი, მეორე – კარგი.

ცუდი ისაა, რომ სტანდარტული ზომის ყინულის მოედნის არქონის გამო მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში არ დაგვიშვეს და იქ მაქსიმუმ კვლავაც უკონკურსოდ ვითამაშოთ.

კარგს რაც შეეხება, გაუქმდა ის 1:22 მარცხი, რომელიც ერევანში ამერიკელ ჰოკეისტებთან (და არა სომხეთის მოქალაქეებთან) განვიცადეთ. აპრილში ერევანში გამართულ მესამე დივიზიონის ტურნირში სომხეთა ნაკრებში სომხური წარმოშობის ამერიკელებმა ითამაშეს. შედეგად, სომხეთის ყინულის ჰოკეის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მიიღო (ერთი და იმავე მიზეზით მეორედ ბოლო ორ წელიწადში!) და IIHF-ის შეჯიბრებებიდან მოიკვეთა.

"ნაღდ" სომხებთან კი, შეგახსენებთ, სხვადასხვა ტურნირში ურთიერთშეხვედრათა დადებითი ბალანსი გვაქვს. გავიხსენოთ თუნდაც ის 7:0, რომელიც ბაკურიანის "მიმინომ" სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს აგემა.

ლევან ჯანეზაშვილი
კიოლნიდან

ტექნიკური შედეგები იხილეთ მე-15 გვერდზე

ჩოგბურთი

# საფრანგეთიდან იტალიაში გადაინაცვლეს



ოქსანა კალაშნიკოვა როლან გაროსზე

როლან გაროსის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადის მონაწილე სამი ქართველიდან ორი, **ანა ტატიშვილი** (154) და **ოქსანა კალაშნიკოვა** (163) პარიზიდან იტალიაში გაემგზავრა, სადაც ქალაქ გრადოს მე-13 საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) მიიღებს მონაწილეობას. ტატიშვილი, სავარაუდოდ, მე-5 ნომრად იქნება განთესილი, კალაშნიკოვა - მე-7 ნომრად. ფავორიტთა პირველი ოთხეულიც პარიზში ხელმოცარულთაგან არის დაკომპლექტებული: **კრისტინა კუჩოვა** (სლოვაკეთი, 139), **პატრისია მაირი** (ავსტრია, 126), **ლურდეს დომინგეს-ლინო** (ესპანეთი, 166) და **ანა ფლორისი** (იტალია, 149).

თურქეთის ქალაქ იზმირშიც 25-ათასიანი ტურნირი გაჩაღდა. შეჯიბრების ძირითად ბადეში სამი ქართველია: **სოფიო შაფათავა** (338), **მანანა შაფაქიძე** (396) და **სოფიო ქვაცაბაია** (444). საკვალიფიკაციო ბადეში მე-4 ნომრად **ეკა გორგოძე** (520) განთესეს, პირველ წრეში ის თავისუფალი იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე 14



ფური დუ პრის გამარჯვების ლელო

# სამხრეთაფრიკული ფინალი: ბულზი-სთორმერზი

| ბლუ ბულზი-კრუსეიდერზი | 39:24 |
|---|---|

ბლუ ბულზი (15-9) კირშნერი, ფან დერ ვესტჰოიზენი, პრეტორიუსი (დიპინარი 67), ულფიე (ი.პოთხიტერი 72), ჰაუგარდი, სტეინი, დუ პრი. (1-8) სტინკამპი, გ.ბოთა (ჯაკუ 70), კრუხრეი, როსუ (ფან დერ მერვე 61), მეთფილდი, სტეგმანი (კუნი 67), დ.პოთხიტერი (ფანენბურხი 56), სპისი

პლ: სპისი, კირშნერი, დუ პრი. პვ,ნს: სტეინი

კრუსეიდერზი (15-9) სლედი, მიტლანდი, ფრუენი (ბეთმენი 57), ბოუდენი, გუილდფორდი, კარტერი, ელისი (ფოტუალიი 67). (1-8) ო.ფრენკსი (ქროკეთი 56), ტიი (პერინი 75), ბ.ფრენკსი, თორნი (ჯაკი 57), ს.ვაითლოქი, გ. ვაითლოქი (ვალდრომი 49), მაკქოუ, რიდი.

პლ: ს.ვაითლოქი, მაკქოუ, მიტლანდი. პვ,ს: კარტერი

მსაჯი: სტიუარტ დიკინსონი (ავსტრალია)

| სთორმერზი-ვორათაზი | 25:6 |
|---|---|

სთორმერზი (15-9) პიტერსენი, ეფლონი, ჟ.ფური, დე იონგი, ჰაბანა, გრანტი, დუვენაგე (იანუარი 70). (1-8) ბლაავი (გუინასუ 67), ლიბენბერხი (დ.ფური 70), ჰარისი, ფონდსი (ფან ზილი 61), ბეკერი, ბურხერი, ლოუ, ვერმულენი

ლ: დე იონგი. ნს,გ: გრანტი.

ვორათაზი (15-9) ბეილი, ტერნერი, ჰორნი (სიდი 74), კარტერი, მიტჩელი, ბარნსი, ბარჯესი (ჰოლმსი 74). (1-8) ბაქსტერი, პოლოტა-ნაუ (ფიცპატრიკი 78), პელმერი (ტილსე 41), მამი, დაგლასი, მაკკუტჩონი (დენისი 61), ვოგი, მოვენი

ს,ა: ბარნსი

მსაჯი: მარკ ლოურენსი

ზე 14-ის გათამაშების ფინალი, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთაფრიკული იქნება. იოჰანესბურგთან ახლოს, „ორლანდო სთედიუმზე" ჩემპიონის ტიტულისთვის წლევანდელი სეზონის ობიექტურად ყველაზე ძლიერი გუნდები, პრეტორიის „ბლუ ბულზი" და კეიპთაუნის „სთორმერზი" იბრძოლებენ.

ნახევარფინალში ორივე სამხრეთაფრიკულმა გუნდმა დამაჯერებლად სძლია მეტოქეებს. შარშანდელმა ჩემპიონმა „ბლუ ბულზმა", რომელიც ცნობილი მიზეზების გამო საშინაო მატჩებს მშობლიური „ლოფტუს ვერსფილდის" ნაცვლად იოჰანესბურგთან ახლოს, „ორლანდო სთედიუმზე" ატარებს, ზე 14-ის შვიდგზის ჩემპიონს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" უმასპინძლა და 39:24 მოუგო.

თამაში ახალზელანდიელებმა აქტიურად დაიწყეს, მეტოქეს თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ რაკში თამაშისას ბურთი დაკარგეს და „ბლუ ბულზმა" საპასუხო, შედეგიანი შეტევა წამოიწყო. მატჩის დაწყებიდან სამი წუთი ისე გავიდა, არბიტრს თამაში არ გაუჩერებია. მასპინძელთა მრავალფაზიანი, ლამაზი შეტევა კი მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო რვა ნომერმა **პიერ სპისმა** ლელოთი დაასრულა. მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტეინს კარში დარტყმების ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. მან სამივე ლელო გარდასახა და ზედ ექვსი საჯარიმოც მიაყოლა (24 ქულა). მისი კრუსეიდერზელი ვიზავის, **დენ კარტერის** ანგარიშზე კი მხოლოდ ცხრა ქულაა (სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმო).

„ბლუ ბულზს" ლელოს გატანა სულ რაღაც ერთ წუთში ისევ შეეძლო. პრეტორიელი ქომაგების სამწუხაროდ, მეორეხაზელ **დენი როსუს** ლელოში ბურთი ხელიდან გაუვარდა. თუმცა მალევე, მე-9 წუთზე სტეინმა საჯარიმოთი სხვაობა ათ ქულამდე გაზარდა - 10:0.

მასპინძელთა თავბრუდამხვევ შეტევებს მხარი სტუმრებმაც აუბეს. კრუსეიდერზელებმა მეტოქეს მისსავე ოცდაორმეტრიან ზონაში, რაკში ბურთი გაუჭედეს. დანიშნული შერკინებიდან თამაში მოლში გადაიტანეს და დაახლოებით ათი მეტრი იარეს. „ბლუ ბულზის" ლელოში ბურთი მესამეხაზელმა **რიჩი მაკქოუმ** შეიტანა. კარტერმა გარდასახა - 7:10.

ვითარება მკვეთრად დაიძაბა, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა მაკქოუს საბედისწერო შეცდომა. მე-15 წუთზე კარტერმა ბურთი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ფეხით გამოიტანა. ის პრეტორიელთა ფულბეკმა **ზენ კირშნერმა** დაიჭირა და აზრაგანით უკანვე დაუბრუნა, თუმცა ბურთი უეცრად მაკქოუს თავში მოხვდა და კრუსეიდერზელთა ლელოსკენ გადაგორდა. ყველას ისევ კირშნერმა დაასწრო და ლელო გაიტანა. სტეინმა გარდასახვა ისევ ზუსტად დაარტყა - 17:7.

მანვე ტაიმის ბოლომდე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, რაზეც კარტერმა მხოლოდ ერთით უპასუხა. მასპინძლებმა პირველი ნახევარი 23:10 მოიგეს და თამაშიდანაც ნათლად ჩანდა, რომ არაფრის დათმობას არ აპირებდნენ.

თუმცა მეორე ტაიმი „კრუსეიდერზმა", რომელსაც დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, საკმაოდ მწვავე შეტევებით დაიწყო და 45-ე წუთზე მრავალფაზიანი, ჩვეულ სტილში, ხელდახელ გათამაშებულ კომბინაცია გარემარბმა **შეინ მიტლანდმა** ლელოთი დაასრულა. კარტერი გარდასახვისას ამჯერადაც ზუსტი იყო - 17:23.

ოთხ წუთში სტეინმა საჯარიმოთი სხვაობა ცხრამდე გაზარდა - 26:19. 63-ე წუთზე კი პრეტორიელთა ცხრა ნომერმა **ფური დუ პრიმ,** ფაქტობრივად, გამარჯვების ლელო გაიტანა.

ახალზელანდიელთა ლელოდან დაახლოებით ოცდაათ მეტრში მასპინძელთა სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. დუ პრიმ დროულად შენიშნა, რომ მეტოქეს მარცხენა, მოკლე ფრთა დაუცველი ჰქონდა. ბურთი შერკინებიდან გამოიტანა და კიდეზე ლელომდე ისე ირბინა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. „კრუსეიდერზს" ეს ბავშვური შეცდომა მარცხის ფასად დაუჯდა. ფურის ლელო სტეინმა გარდასახა - 30:17.

მომდევნო 14 წუთში სტეინმა სამჯერ დალაშქრა საჯარიმოდან სტუმართა კარი და სხვაობა 22 ქულამდე გაზარდა - 39:17. „კრუსეიდერზმა" კიდევ ერთი პრესტიჟის ლელო ბოლო წუთზე გაიტანა, თუმცა ეს მატჩის შედეგზე რაიმე გავლენას ვერაფრით იქონიებდა - 24:39.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად საინტერესო გამოდგა „სთორმერზისა" და „ვორათაზის" დაპირისპირება კეიპთაუნში. ავსტრალიელებმა ბოლო დროს საკმაოდ მოღონიერებულ სამხრეთაფრიკულ გუნდს წინააღმდეგობა კი გაუწიეს, მაგრამ რაიმე სახეირო ვერაფერი შექმნეს და 6:25 წააგეს.

„ვორათაზმა" უჩვეულოდ ცოტა, ექვსი ქულა დააგროვა, თუმცა ეს გასაკვირი ერთი შეხედვით ჩანს. თუ გავიხსენებთ, რომ რეგულარულ გათამაშებაში სთორმერზელებმა მეტოქე 27:6 დაამარცხეს, ყველაფერი ნათელი გახდება.

ავსტრალიელთაგან გამორჩეული მგეზავი **ბერეკ ბარნსი** იყო. მან თითო საჯარიმო და არეკნი გაიტანა. რაც დაარტყა, ყველა გაიტანა „სთორმერზის" მგეზავმა **პიტერ გრანტმა.** მის ანგარიშზე 20 ქულაა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა). მატჩში ერთადერთი ლელო 25-ე წუთზე „სთორმერზის" შუამარბმა **იან დე იონგმა** გაიტანა.

| ფინალი |
|---|
| 29 მაისი |
| ბლუ ბულზი-სთორმერზი |

ლეგიონერები

# ქართული ლეგიონის უიღბლო უქმეები

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ და მეორე დივიზიონებში ბოლო, ფინალური შეხვედრების გამართვის დრო დადგა. ჩემპიონის ტიტულისთვის **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" განაგრძობს ბრძოლას. „ვულკანები" ფინალში შარშანდელ ჩემპიონს, კატალონიურ „პერპინიანს" 29 მაისს „სტად დე ფრანსზე" დაუპირისპირდებიან.

მანამდე კი ელიტური, მეორე დივიზიონის გათამაშების პლეი ოფის ფინალი გაიმართა. **გურამ კავთიძის** „ლიონმა" გადამწყვეტი ბრძოლა „ლა როშელთან" წააგო 26:32 და გზა პირველ დივიზიონში მეტოქეს დაუთმო. კავთიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

შაბათს გაიმართა ევროტურნირების ფინალური შეხვედრებიც. „ემლინ ჩელენჯ კაპის" მოპოვებისთვის საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯის, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" იბრძოდა. ჩვენებურის გუნდის მეტოქე მარსელის „ველოდრომზე" უელსის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „კარდიფი" იყო.

პირველი ტაიმი ტულონელთა უპირატესობით წარიმართა და 13:6 დასრულდა. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმცა მწვრთნელმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალა. კარდიფელებმა ნელ-ნელა მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს, ხოლო მას შემდეგ, რაც მე-60 წუთზე ტულონელთა მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** საჯარიმოს დარტყმისას დაშავდა, სათამაშო უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს.

შედეგად, უელსელებმა მეტოქე 28:21 დაამარცხეს და „ემლინ ჩელენჯ კაპის" მფლობელები გახდნენ.

ყველაზე პრესტიჟული, „ჰეინეკენის თასის" მფლობელი კი გახდა ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი", რომელმაც ფინალში **დიმიტრი იაშვილის** ბასკური „ბიარიცი" დაამარცხა 21:19. იაშვილმა, რომელიც 70-ე წუთზე შეცვალეს, ოთხი საჯარიმო გაიტანა (12 ქულა).

ქალთა რაგბი

ევროპის ჩემპიონატი

# ქალები ისევ მეხუთეზე

საქართველოს ქალთა შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ასპარეზობს, დანიის ქალაქ ოდენსეში გამართულ შეჯიბრებაში შარშანდელი შედეგი გაიმეორა. ჩვენმა მორაგბეებმა შვიდი თამაშიდან ხუთი მოიგეს, ერთი წააგეს, ერთშიც ფრეს დასჯერდნენ, მეხუთე ადგილზე გავიდნენ და სინის მფლობელები გახდნენ.

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფურ ტურნირში ხუთიდან სამი შეხვედრა მოიგო. პირველ მატჩში ჩვენმა ქალებმა „ჩრდილოელი ბარბაროსები" დაამარცხეს - 7:0, მერე კი სერბეთის ნაკრები გაანადგურეს - 35:0. მესამე შეხვედრაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ტურნირის მომავალი გამარჯვებული - უკრაინის ნაკრები იყო. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა მეტოქის დამარცხება ვერ შეძლო - 7:24.

მომდევნო შეხვედრას პოლონეთის ნაკრებთან უნდა გამოევლინა ჯგუფში მეორეადგილოსანი, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების საშუალება ეძლეოდა. მატჩი ფრედ - 14:14 დამთავრდა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრებმა სლოვენიას მშრალი ანგარიშით - 31:0 მოუგო, ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდა.

ტურნირში მეხუთე ადგილისთვის, ანუ სინისთვის ნახევარფინალში ჩვენმა ქალებმა მასპინძელთა გუნდს ურთულეს ბრძოლაში 19:15 მოუგეს. ფინალში კი ლიტველთა დამარცხება არ გასჭირვებიათ - 31:5.

**საქართველოს ნაკრები**

**ანა პოლოსიანი, ეკატერინე ბალარჯიშვილი, შორენა გამსახურდია, ბელა გოგსაძე, მარეხ მაისურაძე, ნინო ელოშვილი, ეთერ თათულაშვილი, ნათია გიორგაძე, ლია გვიანიძე, ნათია ცინცქილაძე, ანა ანდღულაძე და ირინე ლეონიძე.**

ჯგუფური ტურნირი: **საქართველო-ჩრდილოელი ბარბაროსები 7:0, საქართველო-სერბეთი 35:0, საქართველო-უკრაინა 7:26, საქართველო-პოლონეთი 14:14, საქართველო-სლოვენია 31:0, საქართველო-დანია 19:15**

სინის ნახევარფინალი: **საქართველო-დანია 19:15**

სინის ფინალი: **საქართველო-ლიტვა 31:5**



საქართველოს ნაკრების ლიდერი ანა პოლოსიანი

რეპეშაჟი

# რუმინეთმა რეპეშაჟი მოგებით დაიწყო

ევროპის ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე რუმინეთის ეროვნული გუნდი 2011 წლის მსოფლიო თასის რეპეშაჟში ჩაერთო. „სტეჟარიმ" პირველი შეხვედრა კიევში გამართა უკრაინის ნაკრებთან და 33:3 მოუგო.

აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებმა მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ 11 ქულით - 3:14 წააგეს. აღსანიშნავია, რომ უკრაინელები მომავალი წლიდან ერთა თასზე გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ჩაანაცვლებენ.

განმეორებითი შეხვედრა ამ გუნდებს შორის ერთი კვირის თავზე რუმინეთში გაიმართება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ზაფხულში ასევე ორრაუნდიან ბრძოლას გამართავს აფრიკის კონტინენტის ხელმოცარულ, ტუნისის ნაკრებთან. აქ გამარჯვების შემთხვევაში კი კიდევ ორჯერ დაუპირისპირდება ურუგვაისა და ყაზახეთის გუნდებს შორის გამარჯვებულს. აი, აქ მოგებული კი მსოფლიო თასზე ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მოხვდება.

ერთი სიტყვით, „ბორჯღალოსნების" სავარაუდო მეტოქეები ურუგვაისა და რუმინეთის ნაკრებები არიან. ვისთან მოუწევს პაექრობა ჩვენს გუნდს ახალ ზელანდიაში, სწორედ ამათ დავაში გადაწყდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# რამდენიმე მოულოდნელობა

საინტერესოდ დაიწყო „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირი - საფრანგეთის ღია პირველობა. განსაკუთრებით ეს ქალთა ტურნირზე ითქმის, სადაც გუშინ რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა.

პირველი დღის მიმოხილვა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** სამარცხვინო წაგებით დავიწყოთ. მართალია, მას მეტოქედ ძლიერი არგენტინელი **ხისელა დულკო** ჰყავდა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბელარუსი მეტოქეს მხოლოდ სამ გეიმს აართმევდა.

აზარენკა ბოლო პერიოდში ღრმა კრიზისში იმყოფება. სეზონის სტარტზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ (მეოთხედფინალი ავსტრალიის ღიაზე და ფინალი - დუბაის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე), ვიქტორიას ჩავარდნის პერიოდი დაეწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. 10 აპრილიდან მოყოლებული, როლან გაროსის ჩათვლით აზარენკამ ხუთი ტურნირი ითამაშა და ჯამში მხოლოდ ორი თამაში მოიგო. გუშინ მან ვერაფერი მოუხერხა დულკოს. საათი და 11 წუთის განმავლობაში არგენტინელმა ხუთი ბრეიკის გაკეთება შეძლო, თავად ერთხელ დათმო საკუთარი გეიმი და 6:1, 6:2 გაიმარჯვა.

მეორე მოულოდნელობა გახდა მსოფლიოს 98-ე ჩოგნის, უზბეკი **აკგულ ამანმურადოვას** გამარჯვება რეიტინგის მე-20 ნომერთან - ესპანელ **მარია ხოსე მარტინეს-სანჩესთან**. ეს ის ესპანელია, რომელმაც მაისის დასაწყისში რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი მოიგო, სადაც ერთმანეთის მოყოლებით დაამარცხა **სკიავონე, ვოზნიაცკი, საფაროვა, ივანოვიჩი** და იანკოვიჩი, თანაც ისე, რომ არც ერთისთვის სეტი არ დაუთმია.

მოულოდნელად ამანმურადოვამ ძალიან იოლად დაამარცხა მარტინეს-სანჩესი. ორივე ჩოგბურთელი ბევრს სცოდავდა საკუთარ მოწოდებაზე. მაყურებელმა ჯამში სულ 9 ბრეიკი იხილა, აქედან ექვსჯერ მეტოქის გეიმი უზბეკმა აიღო, სამჯერ - ესპანელმა, რაც საბოლოოდ ასეთ ანგარიშში გამოიხატა - 6:2, 6:4.

დანარჩენი მატჩები კანონზომიერად დასრულდა. მეთერთმეტედ ხვდებოდა ამერიკელი **ვენუს უილიამსი** შვეიცარიელ **პატი შნიდერს** და მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 11:0 (!) გახდა. უფროსმა უილიამსმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგო - 6:3. ამერიკელს პრობლემები მხოლოდ მოწოდებისას ჰქონდა - სულ 2 ეისი ჩააწოდა და 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ვენუსს მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგი აქვს ქალთა ტურში - 27 მოგება და 4 წაგება. ამერიკელმა ორი ტურნირი მოიგო და ორჯერ ფინალში ითამაშა, მათ შორის ერთი კვირის წინ მადრიდში, სადაც გადამწყვეტი მატჩი ფრანგ **არავან რეზაისთან** წააგო. 2010 წელს თიხნარზე უილიამსის სტატისტიკა 13 გამარჯვებასა და 2 მარცხს შეადგენს.

ეს მონაცემები ვენუსს როლან გაროსის ერთ-ერთ ფავორიტად აქცევს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პარიზული თიხნარი სულაც არ არის ფეხბედნიერი მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის. უფროს უილიამსს 13-ჯერ მიუღია მონაწილეობა საფრანგეთის ღიაში და მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს მიაღწია ნახევარფინალს, ბოლო ხუთ წელიწადში კი ვენუსმა ერთადერთხელ გააღწია მეოთხე წრეში.

■ ■ ■

კაცებში ერთადერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. პირველ წრეში დაასრულა როლან გაროსზე გამოსვლა ლატვიელმა **ერნესტ გულბისმა**, რომლისგანაც ამ ტურნირზე ძალიან ბევრს ელოდნენ. 21 წლის ბალტიისპირელმა თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა გამოცდილ ფრანგ **ჟულიან ბენეტოსთან**. პირველ პარტიაში ბრძოლა ასე თუ ისე იყო და გულბისმა ერთი ბრეიკით დათმო სეტი - 4:6. ამის შემდეგ, ფრანგის უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა და მეორე პარტიაში მან მხოლოდ ორი გეიმი დაანება მეტოქეს. ლატვიელის ცუდი თამაშის მიზეზი მესამე სეტში გაირკვა, სადაც კიდევ ერთი გეიმის წაგების შემდეგ, გულბისმა ტრავმა მოიმიზეზა და ბრძოლა შეწყვიტა.

არადა, გულბისმა სათიხნარო სეზონი კარგად წარმართა, ერთხელ **როჯერ ფედერერს** მოუგო და ბევრის შეფასებით, ამ როლან გაროსის აღმოჩენა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამის სანაცვლოდ, ერნესტმა ასე უსახელოდ დაასრულდა პარიზულ კორტებზე გამოსვლა.

კინალამ პირველი წრიდან გამოეთიშა ტურნირს ფრანგების იმედი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელსაც ხუთი სეტის ჩატარება მოუხდა მსოფლიოს 89-ე ნომერ **დანიელ ბრანდსთან**. საინტერესოა, რომ მეხუთე პარტიაში ახალგაზრდა გერმანელი ბრეიკით უგებდა ცონგას, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ბოლო სეტი 5:7 დასრულდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## I წრე

### კაცები

**ალეხანდრო ფალა (კოლ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:1, 6:2, 6:3; **ფაბიო ფონინი (იტა)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:1, 3:6, 2:6, 6:3, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 10)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:1, 3:6, 6:3, 6:1; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ერნესტ გულბისი (ლატ, 23) 6:4, 6:2, 1:0 გულბისის უარი; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 29)**-სტეფანო გალვანი (იტა) 6:3, 6:3, 6:3; **ტობიას კამკე (გერ)**-სტეფან რობერი (საფ) 6:0, 6:4, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ლორან რეკუდე (საფ) 6:0, 6:2, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:0, 6:4, 7:6; **მარკო ჩიუდინელი (შვეიც)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:3, 3:6, 6:3, 3:6, 6:3; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 1:6, 4:6, 6:3,7:6, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 11)**-მიხალ პრსიეჟნი (პოლ) 6:1, 6:0, 6:4; მაიკლ იანი (აშშ)-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:4, 6:7, 6:7, 7:6, 8:8 შეწყდა; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 32)**-რაინერ შუტლერი (გერ) 7:5, 6:4, 6:2; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-ოლივიე პატიენსი (საფ) 6:4, 5:7, 6:4, 6:3; **ჟოსელენ უანა (საფ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:6, 6:7,6:2, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 4:6, 6:3, 6:2, 6:7, 7:5.

### ქალები

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:3, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-ელენა ვესნინა (რუს) 4:6, 6:1, 6:4; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-კლერ ფოიერშტაინი (საფ) 7:6(4), 6:3; **მარია კირილენკო (რუს, 30)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 7:6(5), 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 14)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:2, 6:2; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 20) 6:2, 6:4; **იოანა ლარსონი (შვედ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:2, 6:2; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:2, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 10) 6:1, 6:2; **არავან რეზაი (საფ, 15)**-ჰეიდი ელ თაბახი (კან) 6:1, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 5:7, 7:6(2), 6:4; **აგნეს შავაი (უნგ)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 6:2, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 19)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 6:0, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 26)**-ეკატერინა ივანოვა (რუს) 6:2, 6:0; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 7:5, 6:3; **ვ. უილიამსი (აშშ, 2)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:3, 6:3.

## უიმბლდონი. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

| 1/64 |
|---|
| ს. უილიამსი (აშშ, 1) |
| ფოგელი (შვეიც) |
| ჩინკი (უნგ) |
| გორგესი (გერ) |
| ობრაიენი (ბრიტ) |
| კრეიბასი (აშშ) |
| კორნე (საფ) |
| პავლიუჩენკოვა (რუს, 29) |
| პეერი (ისრ, 18) |
| ლაგოსტერა ვივეს (ესპ) |
| კინგი (აშშ) |
| პენგი (ჩინ) |
| პერი (აშშ) |
| სანჩესი (საფ) |
| კამერინი (იტა) |
| ბარტოლი (საფ, 13) |
| შარაპოვა (რუს, 12) |
| პერვაკი (რუს) |
| მორიტა (იაპ) |
| ფლიპკენსი (ბელ) |
| ზაკოპალოვა (ჩეხ) |
| სრებოტნიკი (სლოვენ) |
| პირონკოვა (ბულ) |
| ანენი (ბელ, 22) |
| ჟენგი (ჩინ, 25) |
| ბიჩკოვა (რუს) |
| პივოვაროვა (რუს) |
| ოლარუ (რუმ) |
| ბ. ზახვალოვა (ჩეხ) |
| დე ლოს რიოსი (პარ) |
| ჰალეპი (რუმ) |
| სტოსური (ავსტრა, 7) |
| იანკოვიჩი (სერ, 4) |
| მოლიკი (ავსტრა) |
| კანეპი (ესტ) |
| პარმენტიე (საფ) |
| არვიდსონი (შვედ) |
| რიბარიკოვა (სლოვაკ) |
| დუშევინა (რუს) |
| ა. ბონდარენკო (უკრ, 27) |
| ჰანტუხოვა (სლოვაკ, 23) |
| ტანასუგარნი (ტაილ) |
| გოვორცოვა (ბლრ) |
| სუარეს ნავარო (ესპ) |
| დუკე მარინო (კოლ) |
| ბამერი (ავსტრია) |
| ს. ზახვალოვა (ჩეხ) |
| ვიკმაიერი (ბელ, 16) |
| საფინა (რუს, 9) |
| დატე კრუმი (იაპ) |
| გროტი (ავსტრა) |
| ჩანი (ტაივ) |
| როდიონოვა (ავსტრა) |
| მაკაროვა (რუს) |
| ბრიანტი (იტა) |
| ზვონარევა (რუს, 21) |
| კლეიბანოვა (რუს, 28) |
| კორიტცევა (უკრ) |
| ჩანგი (ტაივ) |
| ივანოვიჩი (სერ) |
| ერანი (იტა) |
| შვედოვა (ყაზ) |
| ბალტაჩა (ბრიტ) |
| ა. რადვანსკა (პოლ, 8) |

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

| 1/64 |
|---|
| კუზნეცოვა (რუს, 6) |
| კირსტეა (რუმ) |
| ვესნინა (რუს) |
| პეტკოვიჩი (გერ) |
| მოისბურგერი (ავსტრი) |
| ფოიერშტაინი (გერ) |
| შპრემი (ხორ) |
| კირილენკო (რუს, 30) |
| სკიავონე (იტა, 17) |
| კულიკოვა (რუს) |
| კვიტოვა (ჩეხ) |
| ფერგიუსონი (ავსტრა) |
| დუბუა (კან) |
| კოენ-ალორო (საფ) |
| მლადენოვიჩი (საფ) |
| ნა ლი (ჩინ, 12) |
| პენეტა (იტა, 14) |
| კეოტავონგი (ბრიტ) |
| ვინჩი (იტა) |
| რაზანო (საფ) |
| დოი (იაპ) |
| ჰერცოგი (სლოვენ) |
| დოკიჩი (ავსტრა) |
| საფაროვა (ჩეხ, 24) |
| დულგერუ (რუმ, 31) |
| ჰრადეცკა (ჩეხ) |
| ბაშჩინსკი (შვეიც) |
| მალეკი (გერ) |
| ბაროისი (გერ) |
| გარბინი (იტა) |
| კუდრიავცევა (რუს) |
| ვოზნიაცკი (დან, 3) |
| დემენტიევა (რუს, 5) |
| მარტიჩი (ხორ) |
| იუდინი (აშშ) |
| მედინა გარიგესი (ესპ) |
| ვოზნიაკი (კან) |
| ბენეშოვა (ჩეხ) |
| კუანი (საფ) |
| კ. ბონდარენკო (უკრ, 32) |
| მარტ. სანჩესი (ესპ, 20) |
| ამანმურადოვა (უზბ) |
| ლარსონი (შვედ) |
| სევასტოვა (ლატ) |
| იოჰანსონი (საფ) |
| სხეპერსი (ს. აფრ) |
| დულკო (არგ) |
| აზარენკა (ბლრ, 10) |
| რეზაი (საფ, 15) |
| ელ თაბახი (კან) |
| ჩაკვეტაძე (რუს) |
| კერბერი (გერ) |
| შავაი (უნგ) |
| ფორეტცი (საფ) |
| ჟანგი (ჩინ) |
| პეტროვა (რუს, 19) |
| ციბულკოვა (სლოვაკ, 26) |
| ივანოვა (რუს) |
| მაკჰეილი (აშშ) |
| ლეპჩენკო (აშშ) |
| პარა სანტონხა (ესპ) |
| ნარა (იაპ) |
| შნიდერი (შვეიც) |
| ვ. უილიამსი (აშშ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# უზბეკი მოგებით დაბრუნდა

გასულ უიქ ენდზე საინტერესო ორთაბრძოლა ჩატარდა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში, რომელსაც გერმანიის ქალაქმა როსტოკმა უმასპინძლა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ რინგს დაუბრუნდა მსოფლიოს ექსჩემპიონი **რუსლან ჩაგაევი**, რომელიც ავსტრალიელ **კალი მიანს** ხვდებოდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან, ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** ჩხუბის უფლებას მიიღებდა.

პირველი ორი რაუნდი მოკრივეებმა დაზვერვას მოანდომეს. უზბეკი მიხვდა, რომ ავსტრალიელის ნაქები მარჯვენა არც ისე სახიფათო იყო და მესამე რაუნდიდან აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. ჩაგაევის მარცხენა ხშირად აღწევდა მიზანს და ავსტრალიელს ისღა დარჩენოდა, კლინჩისთვის მიემართა, რითაც რიტმიდან აგდებდა მოწინააღმდეგეს.

დროთა განმავლობაში ჩაგაევმა თავისი წარმატებული დარტყმების არსენალი მარჯვენა ჰუკით შეავსო, რამაც ავსტრალიელი ცოტა ხნით გააბრუა, თუმცა მიანმა ბოლოს მაინც მოიკრიბა ძალები და რამდენჯერმე შეაწუხა უზბეკი მოკრივე. მაგრამ საბოლოოდ, 12 რაუნდის შემდეგ სამივე მსაჯმა უპირატესობა რუსლან ჩაგაევს მიანიჭა - 117:111, 117:112, 118:110.

ასე რომ, უზბეკი მოკრივე დევიდ ჰეისთან სატიტულო ბრძოლის აუცილებელი პრეტენდენტი გახდა.

ჰოკეი — NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# რეაქტიული ჩიკაგოელები

დასავლეთი კონფერენციის ჩემპიონმა „სან ხოსემ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო „ჩიკაგოსთან" და თითქმის გამოეთხოვა სტენლის თასის ფინალში თამაშის შანსს. მართალია, მიმდინარე პლეი ოფში „ფილადელფიამ" შეძლო „ბოსტონთან" 0:3-ის ჩამორჩენის გაბათილება და სერიის მოგება, მაგრამ „შარქსი" აბსოლუტურად უსუსური ჩანს სწრაფი „ჩიკაგოს" წინააღმდეგ - ამ გუნდმა ვერაფრით იპოვა სწორი ტაქტიკა ასეთ სიტუაციაში სერიის გადასარჩენად.

„სან ხოსე" უფრო ხშირად უტევდა და ამაზე დარტყმების სტატისტიკაც მეტყველებს, მაგრამ სახიფათო მომენტები უფრო მეტი „ჩიკაგოს" ჰქონდა. „ზვიგენების" მცველები ვერ უმკლავდებოდნენ რეაქტიულ ჩიკაგოელებს და სტუმრების ყველა მცველმა მინიმუმ ერთხელ მაინც დაკარგა საკუთარ ზონაში შაიბა.

„ჩიკაგოს" შეეძლო ძირითად დროში მოემთავრებინა საქმე, მაგრამ **პატრიკ მარლოს** ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. შემდეგ იყო ოვერტაიმი, სადაც მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს და ბოლო ძალები წაართვეს „ზვიგენებს". „სან ხოსე" მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოიგებდა - თუ „ჩიკაგო" უმცირესობაში დარჩებოდა, მაგრამ „ბლეკჰოქსმა" მეტოქეს ეს უპირატესობა არ მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების გოლი ოვერტაიმში **დასტინ ბაფლინმა** გაიტანა, თამაშის მთავარ გმირად **დეივ ბოლანდი** მოინათლა. „ჩიკაგოს" ცენტრფორვარდი გაუმკლავდა **ჯო ტორნტონის** მეურვეობას, თანაც ორი ქულა (1+1) დააგროვა. „სან ხოსეს" პირველ ხუთეულს თავდაცვა უჭირდა, როცა მოედანზე ბოლანდი და კომპანია იყო. „ჩიკაგოს" 36-ე ნომერმა მნიშვნელოვანი მეორე გოლი გაიტანა, დამატებით დროში კი იდეალური პასი მისცა ბაფლინს...

აგრძელებს ბრწყინვალე თამაშს „ჩიკაგოს" კაპიტანი **ჯონათან ტეუვზი**. მან მთლიანად დაკეტა **ჯო პაველსკი**, შესანიშნავად იცავდა თავს რიცხობრივ უმცირესობაში, გენიალურად უბრალო პასით პირველი შაიბა გაატანინა **პატრიკ შარპს**, ბოლოს კი ჩაჭრა „სან ხოსეს" შეტევა, რომელსაც **ნაბოკოვის** კარში ბოლო შაიბა მოჰყვა. და კიდევ, ტეივზს პლეი ოფის 15 შეხვედრაში 25 ქულა აქვს დაგროვილი.

როგორც ყოველთვის, „ჩიკაგოს" რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფინელი მეკარე **ანტი ნიემი**, რომელმაც 44 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

სულ ერთი მარცხი იკმარა „ფილადელფიას" მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ ლავიოლეტმა** იმის გასარკვევად, როგორ არ უნდა ითამაშოს Bell Centre-ში „მონრეალის" წინააღმდეგ. გუშინდელ გამარჯვებას „მფრინავებმა" დაცვაში ბრწყინვალე თამაშით მიაღწიეს. ამ შეხვედრაში **კრის პრონგერის** მოქმედება DVD-ზე უნდა ჩაიწეროს და ჰოკეის სკოლებში დარიგდეს. პრონგერის მეწყვილე **მეტ კარლმა** წინა მატჩის ჩაგდებისთვის 6 ბლოკითა და რამდენიმე ძალისმიერი ილეთით გამოისყიდა დანაშაული. სწორედ ამ დუეტმა გაუქრო „მონრეალს" მეტოქის კართან მიახლოების სურვილი. ამ მხრივ მასპინძლებისთვის ყველაზე კოშმარული მეორე პერიოდი იყო, როცა „კანადიენსმა" ერთი (!) ზუსტი დარტყმის შესრულება მოახერხა, ჯამში კი კანადელებმა 17-ჯერ დაარტყეს **მაიკლ ლეიტონის** კარში. ასე რომ, „ფილადელფიას" მეკარეს არ გასჭირვებია სერიაში მესამე „შათაუტის" შესრულება.

დუბლი შეასრულა ფორვარდმა **კლოდ ჟირუმ**, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უსარგებლო ფიგურა იყო „ფილადელფიაში" რეგულარული ჩემპიონატის დროს, სტენლის თასზე მას უკვე რვა გოლი დაუგროვდა. სწორედ მან გახსნა ანგარიში მატჩში, ბოლოს კი შეხვედრის გადარჩენის შანსი მოუსპო მეტოქეს.

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ყველაზე მეტად „ფილადელფიას" გენერალურ მენეჯერს **პოლ ჰოლმგრენს** აკრიტიკებდნენ - მას სატრანსფერო პოლიტიკა დაუწუნეს. არადა, სწორედ იმ პერიოდში აყვანილმა ლეიტონმა უკვე სამი „მშრალი" მატჩი ჩაატარა, ხოლო „დეტროიტიდან" თითქმის უფასოდ გადაბირებული **ვილე ლეინო** ქულას ქულაზე აგროვებს.



| ჩიკაგო-სან ხოსე | 3:2 (ო) |
|---|---|

0:0, 1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 მარლო-6 (პაველსკი-7, ბოილი-11), 1:1 შარპი-7 (ტეუვზი-17, პ. კეინი-12), 2:1 ბოლანდი-4 (ტეუვზი-18), 2:2 მარლო-7 (ჰიტლი-11, ბოილი-12), 3:2 ბაფლინი-7 (ბოლანდი-5, ბ. კემპბელი-3).

**სერია: 3:0**

| მონრეალი-ფილადელფია | 0:3 |
|---|---|

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ჟირუ-7 (ტიმონენი-7), 0:2 ლეინო-4 (პრონგერი-10), 0:3 ჟირუ-8.

**სერია: 1:3**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ამბები

ფრენბურთი

## რუსი ვარსკვლავი მარიხუანას ეწევა

რუსულმა სადოპინგო სენმა ფრენბურთშიც შეაღწია. 8 მაისს აღებულმა დოპინგსინჯმა ამ ქვეყნის ნაკრების წევრის **ალექსეი ჩერემისინის** ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სპორტსმენი მარიხუანას ეწეოდა. ვიდრე ცნობილი გახდება B სინჯის შედეგები, რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტომ ფრენბურთელი დროებით ჩამოაშორა ყველა შეკრებასა და ოფიციალურ ტურნირს.

ჩერემისინი თავის დროზე ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფრენბურთელად ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ B ჰეპატიტით დაავადდა და ორი წელი გამოტოვა. ეროვნულ ნაკრებში დებიუტი 2009 წელს ჰქონდა. სხვათა შორის, ჩერემისინი 2010 წელს მსოფლიოს ლიგის განაცხადში იყო შეყვანილი.

კალათბურთი

## ჟალგირისს ბრაუნი გაწვრთნის

ამერიკელი **მარკუს ბრაუნი**, რომელიც მოსკოვის ცსკა-სა და „ჟალგირისში" გამოსვლებით არის ცნობილი, ლიტვური გრანდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება „ჟალგირისის" მფლობელმა **ვლადიმირ რომანოვმა** მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ კაუნასური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს **დარიუს მასკოლიუნასი**, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მატჩების შეგნებულად დათმობაში დაადანაშაულეს.

ველოსპორტი

ჯირო დ'იტალია

**XIV ეტაპი**

ფერარა-ოსოლო. 205 კმ

1. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - 4.47,51; 2. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +0,23; 3. **მიკელე სკარპონი** (იტა, Androni-Giocattoli) - იგივე დრო; 4. **კედელ ევანსი** (ავსტრა, BMC Racing Team) - იგივე დრო; 5. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +1,34; 6. **ბრონისლავ სამოილოვი** (ბლრ, Quick Step) - +2,25...

**საერთო ჩათვლა**

1. **დავიდ აროიო** (ესპ, Caisse d'Epargne); 2. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Saxo-Bank) - +0,39; 3. **ხავიერ ტონდო** (ესპ, Cervelo TestTeam) - +2,12; 4. **რობერტ კისერლოვსკი** (ხორ, Liquigas) - +2,25; 5. **ლინუს გერდემანი** (გერ, Team Milram) - +3,52; 6. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +5,27...

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 89:77 |
| პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 75:65 |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-რეალი | 71:76 |
| გრან კანარია-ბარსელონა | 47:65 |
| უნიკახა-ვალენსია | 85:76 |
| ესტუდიანტ.-კახა ლაბორალი | 83:85 |
| **იტალია** | |
| მილანი-მონტეგრანარო | 67:65 |
| კანტუ-ვირტუსი | 74:68 |
| სიენა-ბენეტონი | 99:88 (ო) |
| იუვე კაზერტა-რომა | 78:76 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-რუანი | 65:55 |
| ნანსი-გრაველინი | 58:74 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ჩიკაგო-სან ხოსე | 4:2 |

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| შვედეთი-ჩეხეთი | 2:3 (ბ) |
| რუსეთი-გერმანია | 2:1 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| შვედეთი-გერმანია | 3:1 |
| **ფინალი** | |
| რუსეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ნიცა** | |
| ვერდასკო-გასკე | 3:6, 7:5, 6:7 |
| **ATP. მს. ჩემპიონატი** | |
| მონაკო-კუერი | 1:6, 6:2, 6:3 |
| სებალიოსი-ჯინეპრი | 6:4, 6:7, 7:5 |
| **WTA. ვარშავა** | |
| დულგერუ-ჟიე ჟენგი | 6:3, 6:4 |
| **WTA. სტრასბური** | |
| შარაპოვა-ბაროისი | 7:5, 6:1 |

TV პროგრამა

**24 მაისი. ორშაბათი**

**I არხი**

**22:00** არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:00** ევროპის ლიგა. ფინალი. ატლეტიკო-ფულჰემი.
**09:30** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ინტერი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.
**14:10** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ინტერი.
**16:40** ახალი ამბები.
**17:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
**19:15** ახალი ამბები.
**19:40** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**21:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
**22:55** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-მექსიკა (LIVE).
**01:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-ბორდო.
**03:00** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-მექსიკა.
**04:50** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:30** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია.
**11:45** ჩოგბურთი. როლან გაროსი. I დღე.
**12:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. II დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**23:00** მულტისპორტი.
**23:05** პრო-რესტლინგი.
**00:30** მულტისპორტი.
**00:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**01:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**01:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:45** ჩოგბურთი. როლან გაროსი. II დღე.
**03:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**06:00, 06:30, 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 11:00, 11:30, 13:00, 14:30, 15:15, 18:45, 21:30, 02:00, 02:30, 03:00, 03:30, 04:00, 04:30, 05:00, 05:30** ახალი ამბები.
**06:15, 06:45, 07:15, 07:45, 08:15, 08:45, 09:15, 09:45, 10:15, 11:15, 11:45, 23:45, 02:15, 02:45, 03:15, 03:45, 04:15, 04:45, 05:15, 05:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**12:00** ფეხბურთი. იაპონიის თასი. ჯგუფური ტურნირი. III დღე. ნაგოია-ომიია.
**13:30** ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. I მატჩი. ლემგო (გერმანია)-კადეტენი (შვეიცარია).
**15:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**16:00** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VIII ეტაპი. აშშ.
**16:30** ხელბურთი. თასების მფლობელთა თასი. ფინალი. I მატჩი. გუმერსბახი (გერმანია)-გრანოლერსი (ესპანეთი).
**17:15** ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. I მატჩი. ლემგო (გერმანია)-კადეტენი (შვეიცარია).
**18:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი.
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პორტუგალია. ვადუცი. ლიხტენშტაინი (LIVE).
**20:45** სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
**21:45** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ინგლისი. ვადუცი. ლიხტენშტაინი (LIVE).
**00:00** მულტისპორტი.
**00:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**01:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.

ჰოკეი — მსოფლიოს ჩემპიონატი

**1/2 ფინალი**

| შვედეთი-ჩეხეთი | 2:3 (ბ) |
|---|---|

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰარიუ-4 (კარლსონი-3, უმარკი-3), 1:1 მოჟისი-1 (კასპარი-1, როლინეკი-1), 2:1 ენკივსტი-1 (მარტენსონი-4, ეკმან ლარსონი-2), 2:2 რახუნეკი-2 (ვორაჩეკი-2, კლეპიში-4).

**ბულიტები: გაიტანეს:** კასპარი (ჩეხეთი), უმარკი (შვედეთი), მარეკი (ჩეხეთი).

| რუსეთი-გერმანია | 2:1 |
|---|---|

0:1, 1:0: 1:0

**გოლები:** 0:1 გოკი-2 (მულტცი-3, ერჰოფი-2), 1:1 მალკინი-5 (გონჩარი-3, კოვალჩუკი-9), 2:1 დაციუკი-5.

**მე-3 ადგილისთვის**

| შვედეთი-გერმანია | 3:1 |
|---|---|

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 პააირვი სვენსონი-5 (ბეკმანი-3), 1:1 ბარტა-3 (კროიტცერი-3), 2:1 ანდერსონი-5 (ვალინი-5, მ. იოჰანსონი-3), 3:1 ანდერსონი-6 (მ. მოჰანსონი-4).

**ფინალი**

| ჩეხეთი-რუსეთი | 2:1 |
|---|---|

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კლეპიში-3 (იაგრი-4), 2:0 როლინეკი-4 (რახუნეკი-2), 2:1 დაციუკი-6 (კოვალჩუკი-10, გონჩარი-4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ბოსტონი ფინალშია

„ორლანდო“ მზად არ აღმოჩნდა კონფერენციის ფინალში სათამაშოდ და მით უმეტეს, NBA-ის საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად. „ჩვენ საერთოდ არ ვიცავდით თავს, - გაკვირვებული ამბობდა მესამე მატჩის შემდეგ „მეჯიქის“ დამრიგებელი **სტენ ვან განდი**. - რამდენიმე მომენტი, სადაც სრული თავდადება იყო საჭირო, მასპინძლებს დარჩათ. ისინი თითოეულ ეპიზოდში მინიმუმ ერთი ნაბიჯით გვისწრებდნენ და დამსახურებულად მოიგეს ეს შეხვედრა. ყველაზე მეტად ის ფაქტი მთრგუნავს, რომ ვერ შევძელი ბიჭების საბრძოლოდ განწყობა, არადა, ეს ჩემს მოვალეობაში შედის. როგორც მწვრთნელი, უკმაყოფილო ვარ თამაშით. ჩემმა გეგმამ არ იმუშავა, ჩემი კორექტივები არ შეისმინეს“.

გაუგებარია, რა დაემართა ამ სერიაში „ორლანდოს“. სად გაქრა **რაშარდ ლუისი**? სარფიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ის მომავალ სამ წელს 65 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, რაშარდს გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს, ლუისმა კი „ბოსტონთან“ სამი მატჩის განმავლობაში სულ 15 (!) ქულა დააგროვა და ერთადერთი (!) სამქულიანი ჩააგდო. რას აკეთებდა მოედანზე კარიერის ზენიტში მყოფი გამთამაშებელი **ჯამირ ნელსონი**? შვიდი შედეგიანი პასი 108 წუთის განმავლობაში - ძალიან სუსტი მაჩვენებელია. სად გაქრა **მეტ ბარნსის** განწყობა, რომელიც ამბობდა, რომ „ძვლებიანად შეჭამდა“ მეტოქის ლიდერ **პოლ პირსს**? ამ ფორვარდის ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი იყო ჰოკეისთვის დამახასიათებელი ძალისმიერი ილეთი **კევინ გარნეტის** წინააღმდეგ, რის შემდეგაც კეი ჯი ტრიბუნისკენ გაფრინდა და გზად კინაღამ სტუმრების მწვრთნელი ვან განდი გადათელა. აშკარაა „ჯადოქრების“ აშკარა ფსიქოლოგიური ჩავარდნა, მაგრამ რის გამო მოხდა ეს, ამას, ალბათ, ვერ შევიტყობთ. და არც აქვს მნიშვნელობა. ანგარიში ისედაც სახეზეა.

„საფინალო სირენის შემდეგ ჩვენს გასახდელში კრება ჩატარდა, - განაცხადა ვან განდიმ. - მას ესწრებოდა გუნდის პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი. ჩვენ დიდი ხანი მივდიოდით მწვერვალისკენ, ვაშენებდით გუნდს, ბევრს ვმუშაობდით... საქმე მხოლოდ დღევანდელ გამანადგურებელ მარცხში არ არის. თავდადება საერთოდ არ ყოფილა. როცა სერიაში 0:2-ს აგებ, გადარჩენისა და საკუთარი ძალის ჩვენების სურვილი უნდა გაგიჩნდეს. თუ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია, მაშინ კონფერენციის ფინალშიც არაფერი გვესაქმება“.



აღნიშნული მატჩის შეწყვეტა მეორე მეოთხედის მსვლელობისას შეიძლებოდა - დიდ შესვენებამდე რვა წუთით ადრე, როცა **რაჟონ რონდომ** 36:17 გახადა ანგარიში. სტუმრები მანამდეც უნიათოდ გამოიყურებოდნენ, ამის შემდეგ კი საერთოდ შეწყვიტეს წინააღმდეგობა. რა თქმა უნდა, 19-ქულიანი უპირატესობა გამარჯვების გარანტიას არ იძლევა, მით უმეტეს, როცა საფინალო სირენამდე ნახევარ მატჩზე მეტია დარჩენილი. სამწუხარო ისაა, რომ „ორლანდოს“ ბრძოლის არანაირი სურვილი არ ეტყობოდა.

„ჯადოქრების“ დაცინვა ამის შემდეგაც გაგრძელდა: აგდებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა: რონდო, პირსი, **რეი და ტონი ალენები**, გარნეტი, **გლენ დევისი, რაშიდ უოლასი**. ბოლო მეოთხედში ამ უკანასკნელის შორეული ტყორცნის შემდეგ სხვაობამ 32 ქულა შეადგინა - 85:53. **დოკ რივერსმა** მოედანზე ღრმა რეზერვისტები შეუშვა. თამაშის საშუალება მიეცა **ნეიტ რობინსონსაც**, რომელმაც ბოლო ქულები ორი კვირის წინ დააგროვა. „ბოსტონმა“ შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა - 94:71, სერიაში ანგარიში კი 3:0-მდე გაიზარდა. ალბათ, არ ღირს იმის შეხსენება, რომ NBA-ის ისტორიაში ასეთი უპირატესობა არც ერთ გუნდს არ დაუთმია. ასე რომ, „სელტიქსი“ ერთწლიანი შესვენების შემდეგ NBA-ის ფინალურ სერიაში მიიღებს მონაწილეობას.

**ბოსტონი-ორლანდო 94:71**

**27:12, 24:22, 24:13, 19:24**

**ბ:** დევისი (17+6 მოხსნა), პირსი (15+9 მოხსნა), რ. ალენი (14+6 მოხსნა+6 ჩაჭრა), რონდო (11+12 პასი+4 ჩაჭრა), გარნეტი (10+6 მოხსნა), უოლასი (10), პერკინსი (6+6 მოხსნა), დენიელსი (6), ტ. ალენი (4), რობინსონი (1), ფინლი, შ. უილიამსი.

**ო:** კარტერი (15+5 მოხსნა), ნელსონი (15+4 მოხსნა), პიეტრუსი (12), რედიკი (9), ჰოვარდი (7+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. უილიამსი (5), ლუისი (4), ბარნსი (2), ბასი (2), გორტატი (0+6 მოხსნა), ანდერსონი.

**სერია: 3:0**



# ნოვიცკი თავისუფალი აგენტი იქნება

ტელეარხ ESPN.com-ის ინფორმაციით, „დალას მავერიქსის“ ლიდერი **დირკ ნოვიცკი** არ აპირებს თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას და ამ ზაფხულს შეუზღუდავი თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეცდება ახალი კლუბის მოძებნას.

თავის მხრივ, ტეხასური კლუბი თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერის (12 სეზონში 21 111 ქულა) შენარჩუნებას აპირებს, თუმცა მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ბოლო სიტყვა კალათბურთელზეა.

კალათბურთის მოყვარულებს ამ ზაფხულში საინტერესო სატრანსფერო სეზონი ელით - 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი** და **კრის ბოში**...

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ 100 ათასი დოლარით დასაჯა „დალას მავერიქსის“ მფლობელი **მარკ ქიუბანი**, რომელმაც „კლივლენდის“ ლიდერ ლებრონ ჯეიმსის გადაბირების მომავალ სქემაზე საჯაროდ ილაპარაკა. ლიგის წესების თანახმად, 1 ივლისამდე კლუბებს აკრძალული აქვთ ნებისმიერი სავარაუდო ტრანსფერის განხილვა. გასულ კვირას ქიუბანმა განაცხადა, რომ ნებისმიერი კლუბი ისურვებდა ლებრონის შეძენას და „მავერიქსსაც“ აქვს ამ ვარსკვლავის შეძენის შანსი. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „კლივლენდი“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს ორგზის MVP-სთან და შემდეგ „დალასს“ გაუცვლის მას.

უფრო მოკრძალებული თანხით დაისაჯა „ფინიქსის“ გენერალური მენეჯერმი **სტივ კერი**. ის 10 ათას დოლარს გადაიხდის იმავე ლებრონ ჯეიმსის შესახებ სახუმარო განცხადების გამო. კერმა განაცხადა, რომ ლებრონი შეიძლება გახდეს „სანზის“ მოთამაშე, ოღონდ ამისთვის ხელფასის სამჯერ შემცირებას უნდა დათანხმდეს და წელიწადში 5.6-მილიონიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.






ფორმულა 1

# ბრიატორე ისევ შარშია



„რენოს“ ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** მორიგ უსიამოვნო სკანდალში გაეხვია. ამჯერად მას სამართალდამცავებთან მოუწია ურთიერთობის გარკვევამ, რადგან მათ იტალიელის იახტა დააკავეს.

ფლავიო წინა კვირას საკუთარი იახტით მონაკოს გრან-პრის ესტუმრა, რის შემდეგაც სამშობლოში ბრუნდებოდა, როცა სპეციისა და გენუის წყლებში მას პოლიცია კატერებით გამოეკიდა. საინტერესოა, რომ ამ დროს ბრიატორეს იახტაზე მისი მეუღლე **ელიზაბეტა** და ახალ დაბადებული ვაჟი **ფალკო** იმყოფებოდნენ.

ადგილობრივმა პროკურორმა **ვალტერ კოტუნიომ** იახტის დაკავების მიზეზად ამ სატრანსპორტო საშუალების არასწორი რეგისტრაცია დაასახელა. იახტა გაფორმებულია, როგორც ჩარტერული, თუმცა გამომძიებლები ირწმუნებიან, რომ მას მხოლოდ ბრიატორების ოჯახი იყენებს.

იტალიის პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბრიატორეს იახტა კაიმანის კუნძულებზეა რეგისტრირებული და „რენოს“ ყოფილი ხელმძღვანელი კვირაში 275 ათას ევროს იხდიდა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა გადასახადი, რომელიც ევროპის აკვატორიებში მოცურავე ყველა იახტას ეკისრება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**